

ISSN 1512 - 4649



# ეკონომისტი

სამართაშობისო რეკონსტრუქციული დო რეკონსტრუქციული  
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1591  
2010

№3 2010 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, ბიზნესმენთა დო მეცნიერთა პოზიციები)


ბადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

ბიზნესი დო მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი, მეანაბრე)

საბანკომდებლო სიხსლენი (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა გითხვები დო პროფესიონალთა პასუხები





**ჟურნალი "ახალი ეკონომისტი"  
რეჟიმირდება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის  
ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ  
რეჟიმირებულ ჟურნალში".

**აღიარებულია რეჟიმირებულია:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ევროპული უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. მინსკი, ბელორუსია).

**ტექნიკური პერსონალი:**  
მარკეტინგი: **რუსუდან მაისურაძე**  
კორექტურა: **ხათუნა ბურჭულაძე**  
დისაინი: **გიორგი ჯანბეგაშვილი**

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი  
ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ ფოსტა: [info@economisti.ge](mailto:info@economisti.ge); [info@loi.ge](mailto:info@loi.ge)  
ვებ-გვერდი: [www.economisti.ge](http://www.economisti.ge); [www.loi.ge](http://www.loi.ge)



**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New  
Economist) IS REVIEWED:**

In "Georgian Reviewed Magazine" –  
P.L.L.E. Institute of Techninform

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Iliia Chavchavadze State University;
- Georgian Technical University;
- Tbilisi State University of Economic Relations;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Gori University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- European University;
- Akaki Tsereteli State University;
- Odessa Mechnikov National University (Odessa, Ukraine);
- Institute of Strategic Studies of the Caucasus (Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia (Minsk, Byelorussia).

**TECHNICAL PERSONS:**  
Marketing: **RUSUDAN MAISURADZE**  
Corrections: **KHATUNA BURCHULADZE**  
Design: **GEORGI JANIBEGASHVILI**

**ADDRESS:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105  
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
e-mail: [info@economisti.ge](mailto:info@economisti.ge); [info@loi.ge](mailto:info@loi.ge)  
web-site: [www.economisti.ge](http://www.economisti.ge); [www.loi.ge](http://www.loi.ge)



# საგარეო უკონომიკური სამსახური

საგარეო უკონომიკური სამსახურის (საგარეო უკონომიკური სამსახური) რეორგანიზაციის და რეკონსტრუქციის  
სამსახურის (საგარეო უკონომიკური სამსახური) შიდა ნაწილი №3(18), 2010

შინაგარეო უკონომიკური და საგარეო უკონომიკური კოლეგიის თავმჯდომარე:  
ლორე ქარაძე

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

აბთაძე ილიკო - ნომრის რედაქტორი

(საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)

66

რამაზ აბთაძე (საქართველოს ეროვნული აკადემიის  
პ. გუგუშვილის ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი);  
ანდროს აბრამაძე; იური ანანიავაძე;  
როსტომ ასათიანი; ვახანი ბარათაშვილი;  
როსტომ ბერიძე (ბალუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლის  
დირექტორი); ბიძინა ბაგრატიანი; თამარ  
ბაგრატიანი; თინათინა ბაგრატიანი (ახალციხის  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი);  
სიმონ ბელაშვილი; რევაზ ბეჟინიანი  
(ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების  
ქართული-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი);  
მიხეილ გობატიანი; ვასილ გობატიანი  
(თბილისი, უკრაინა); ვლადიმერ გობატიანი (მოსკოვი,  
რუსეთის ფედერაცია); ალექსი ბაგრატიანი  
(ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბელარუსია);  
ვილჟანა ვახანი (ბერლინი, გერმანია); შოთა  
ვარაძე (ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი);  
ნუგზარ თორაძე; გიორგი თორაძე (მ.ს.ო.  
„ქართული კრედიტის“ აღმასრულებელი დირექტორი);  
სერგეი იაკოვოვი (ოფისის ეროვნული  
უნივერსიტეტი, უკრაინა); ელენე ისაიანი  
(კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის  
დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის  
რევიზორი); რევაზ კაკაბაძე; მირაბ  
კაკაბაძე; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო  
ნაწილის რედაქტორი, ეროვნული რობაქიძის სახელობის  
უნივერსიტეტის ბიზნესისა  
და მართვის ფაკულტეტის დეკანი); ირაკლი  
კვიციანი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა  
აკადემიის წევრი); პირაძე კენი (ბრანდენბურგი,  
გერმანია); ძაბიძე მანუჩი (აზერბაიჯანის  
სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომპიუტერი  
ფაკულტეტის დეკანი); იოსებ მასრაშვილი;

შალვა მახარაძე (კავკასიის უნივერსიტეტის  
ვიცე-პრეზიდენტი სამეცნიერო დარგში); მურთაზ  
მარაბაძე; იაკოვ მისხია; ელენე  
მეჩავაძე; თინათინა მუხომბერი; დავით  
მურთაზი; თეიმურაზ ნიშიანი; ეთერ სარჯველაძე;  
ბელა სვირიცი; მიხეილ ტყეშელაშვილი; სლავა  
ფეტიშინა; რუსუდან ძუბინა  
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კომპიუტერულ-  
სოციალური ფაკულტეტის დეკანი); ლარისა  
ყორაძე; თეიმურაზ შინაბერი; ბიორგი  
შინაბერი (თბილისის სახელმწიფო  
აკადემიისა და სემინარიის დეკტორი); ლალი  
ჩაბერი (თბილისის ეკონომიკური  
ურთიერთობებისა და საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის  
მართვის სამსახურის უფროსი); მიხეილ ჩიკვაძე;  
ლევო ჩიკვაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პაატა გუგუშვილის  
სახელობის უნივერსიტეტის რექტორი); ნიკო  
ჩხეიძე; აბთაძე ილიკო (თბილისის  
ეკონომიკური ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი); აბაში ცოცხია; ნორდარ ხალოძე;  
ელენე ხარაბაძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ეთერ  
ხარაბაძე; რევაზ ხარაბაძე; ნორდარ  
ხარაბაძე; მირაბ ხალოძე; დავით ჯალოძე  
(სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და  
ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); დიმიტრი  
ჯალოძე (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესისა და საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანი);  
ჯამალე ჯანაშვილი (მთავარი რედაქტორის  
მოადგილე); ენდარ ჯემბაძე (ეროვნული  
„საქართველოს ეკონომიკის“ მთავარი რედაქტორი);  
მიხეილ ჯიბუცი; ანდრე კოცანი (მახარაძე,  
სოხანი)

საგარეო უკონომიკური სამსახური



# akhali EKONOMISTI



QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED №3(18), 2010

**Editor-in-Chief and Head of Editorial Board:**  
**LOID KARCHAVA**

**EDITORIAL BOARD**  
Doctors of science, Professors:

**AVTANDILSILAGADZE - Editor**  
(Corresponding-member of Georgian National Academy of Science)

**RAMAZ ABESADZE** (Director of P. Gugushvili Economic Institute of Science Academy of Georgia); **ANZORABRALAVA**; **IURIANIANASHVILI**; **ROZETA ASATIANI**; **EVGENI BARATASHVILI**; **ROSTOM BERIDZE**; **GIVI GAMSAKHURDIA**; **TAMAR GAMSAKHURDIA**; **TINA GELASHVILI** (Rector of Akhalsikhe State University); **SIMON GELASHVILI**; **REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI**; **VASYL GORBACHUK** (Kiev, Ukraine); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian federation); **ALEKSEY DANILCHENKO** (Minsk, State University of Byelorusia); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE** (Rector of European University); **NUGZAR TODUA**; **GOCHA TUTBERIDZE** (Executive Director of MFO "Georgian Credit"); **SERGEY YAKUBOVSKIY** (Odesa Mechnikov National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA**; **MERAB KAKULIA**; **MURTAZ KVIRKVAIA** (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University); **IRAKLI KOVZANADZE**; **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **QABIL MANAFOV** (Dean of Comms Faculty of Azerbaijan State Economical University); **IOSEB MASURASHVILI**; **SHALVA**

**MACHAVARIANI** (Vice-Prasident of Caucasus University in sciens field); **MURTAZ MAGRADZE**; **JAKOB MESKHIA**; **ELGUJA MEQVABISHVILI**; **TEA MUNJISHVILI**; **DAVID NARMANIA**; **TEDO NINIDZE**; **ETER SARJVELADZE**; **GELASVIRAVA**; (Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **MIRIAN TUKHASHVILI**; **SLAVA FETELAVA**; **RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Humanitarian-Social Faculty of Georgian Tecnical University); **LARISA KORGANASHVILI**; **TEMUR SHENGELIA**; **GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **LALI CHAGELISHVILI** (Dean of Business and Management Faculty of Tbilisi Economical Relations and Law University); **MICHAEL CHIKVILADZE**; **LEO CHIKAVA** (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Rector of Paata Gugushvili University) **NIKO CHIKHLADZE**; **AVTANDIL CHUTLASHVILI** (Rector of Tbilisi Economical Relations State University); **AKAKI TSOMAIA**; **NODAR KHADURI**; **ELENE KHARABADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakishvili Tbilisi State University); **ETER KHARAISHVILI**; **REVAZ KHAREBAVA**; **NODAR KHASAIA**; **MERAB KHMALADZE**; **DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); **JAMLET JANJGAVA** (Deputy of Editor-in-Chief); **DIMITRI JAFARIDZE** (Dean of Business and Legal Faculty of Ilia State University); **EMZAR JGERENAI** (Editor-in-Chief of magazine "Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI**; **JEANNETTE HOMMES** (Maastricht, Netherlands).

ISSN 2306-0806





**ექო-დაიჯესტი**

**მენეიერება**

რევაზ ბჟელანიანი - კონკურენციის პოლიტიკის ამოცანები და პრობლემები . . . . . 7

პაატა კოლუაშვილი - საქართველოს აგრარული პოლიტიკის კონცეფციისათვის . . . . . 12

მეზარ ჯულაყიძე, შალვა ჯულაყიძე - მცირე ბიზნესი და საწარმოო პერსონალის მართვის პრობლემები . . . . . 24

ნუზარ ბაბუაძე - წინეთის ეკონომიკური რეფორმების გამოცდილება . . . . . 28

შოთა მუშაყიძე - ილია ჭავჭავაძე ეკონომიკური თავისუფლების ღირებულებით საფუძვლების შესახებ . . . . . 37

თამარ ალაფაშვილი - განათლების როლი შრომის ბაზრის რეგულირებაში . . . . . 42

ელზარ კავთიძე - ბუნებრივი სტიმულები და ეკონომიკის პრინციპები . . . . . 46

პარინე ბერძენიშვილი - კორპორაციული კულტურის ცნების განსაზღვრისათვის . . . . . 50

ZOYA TADEVOSYAN – THE MODERN IMPERATIVE OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN REPUBLIC OF ARMENIA AND GEORGIA . . . . . 55

MAKABUGULASHVILI – THE POLITICS OF REGULATION: REGULATION OR DEREGULATION? . . . . . 60

SERGEY SHOSHIN – КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ СОВРЕМЕННОГО РОССИЙСКОГО ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ И ПРОЯВЛЕНИЯ НЕЕСТЕСТВЕННОГО МОНОПОЛИЗМА . . . . . 67

**უცხოეთის ეკონომიკური სიხლენი**

**რეგენიები ახალ წიანებზე**

დემოგრაფიული ნაზრევი საქართველოში - უძველესი დროიდან დღემდე . . . . . 77

**წერილი რედაქციას**

ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი . . . . . 79

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის განკარგულებაში





საგარეო ურთიერთობები

**ECO-DIGEST** . . . . .

**SCIENCE**

REVAZ GVELESIANI – THE PROBLEMS AND OBJECTIVES OF COMPETITION POLICY . . . . . 7

PAATA KOGUASHVILI – FOR THE CONCEPTION OF GEORGIAN AGRICULTURE POLITICS . . . . . 12

EMZAR JULAKIDZE, SHALVA JULAKIDZE – SMALL BUSINESS AND THE PROBLEMS PERSONAL  
MANAGEMENT IN ENTERPRISES . . . . . 24

NUGZAR BABUADZE – EXPERIENCE OF CHINA'S ECONOMIC REFORMS . . . . . 28

SHOTAVESHAPIDZE – ILIA CHAVCHAVADZE ABOUT VALUE BASIS OF ECONOMICAL LIBERTY . . . . . 37

TAMARALADASHVILI – THE ROLE OF EDUCATION IN DEVELOPMENT OF LABOR MARKET . . . . . 42

EDWARD KAVTIDZE – NATURAL INCENTIVES AND ECONOMIC PRINCIPLES . . . . . 46

KARINE BERDZNISHVILI – FOR THE DEFINITION OF CORPORATIVE CULTURE'S IDEA . . . . . 50

ZOYA TADEVOSYAN – THE MODERN IMPERATIVE OF ECONOMIC COOPERATION BETWEEN REPUBLIC  
OF ARMENIA AND GEORGIA . . . . . 55

MAKA BUGULASHVILI – THE POLITICS OF REGULATION: REGULATION OR DEREGULATION? . . . . . 60

SERGEY SHOSHIN - THE COMPETITIVENESS OF CONTEMPORARY RUSSIAN HIGHER EDUCATION AND  
EXPRESSIONS UNNATURAL MONOPOLY . . . . . 67

**FOREIGN ECONOMIC NEWS** . . . . . 75

**REVIEWS ABOUT NEW BOOKS** . . . . . 77

**LETTER TO EDITOR**

STATE UNIVERSITY OF BYELORUSSIA . . . . . 79



# ეკო-დაიჯესტი

## დეკორატივის მოცულობა იზრდება

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ინფორმაციით საბანკო სექტორში დეპოზიტების მოცულობა 2010 წლის ივლისის თვესთან შედარებით 16%-ით გაიზარდა და პირველი აგვისტოსათვის 4,5 მილიარდ ლარს მიაღწია. დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 7,7 %-ს შეადგენს.

## რთველის სუბსიდირება 6 მილიონზე მეტი ღირებულებით

როგორც კახეთის გუბერნატორის მოადგილემა ბატონმა გიორგი სიბაშვილმა აღნიშნა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან რთველის სუბსიდირებისათვის 6 მილიონ 100 ათასი ლარი გამოყოფა. როგორც მან აღნიშნა მოსაყვამი სავარაუდოდ 85 584 ტონას მიაღწევს და სუბსიდირებისათვის განკუთვნილ თანხას მოსახლეობა იმ ღვინის ქარხნებში მიიღებს რომლებიც წელს ყურძენს ჩაიბარებენ.

## წიგნების სერვისის ტურისტების მიმართ მათთვის მათთვის

„უკრაინისკაია პრედა“-ს კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველო იმ საუკეთესო ქვეყანათა ხუთეულშია, სადაც შემოდგომაზე კომფორტულად შეიძლება დასვენება. გამოკითხვის შედეგებით საქართველო უსწრებს თურქეთს, იტალიას, ესპანეთს და პორტუგალიას.

როგორც ირკვევა ტურისტების უმეტესობას საშემოდგომო სეზონზე საქართველოში აგრო და სათავგადასავლო ტურები იზიდავთ. შესაბამისად, ისინი ძირითადად რთველითა და ღვინის დაწურვის პროცესით ინტერესდებიან, რის გამოც საშემოდგომო ტურისტთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კახეთს ესტუმრება. ასევე, დიდია დაინტერესება სამცხე-ჯავახეთის და დასავლეთ საქართველოს ისტორიული ძეგლებით.

## იუველირები ყველაზე უპიკეთესი მომსახურების არიან

კომპანია PennyLane Realty-ის კვლევის შედეგების თანახმად, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მომსახურებები იუველირები არიან: ისინი, როგორც წესი, მცირე, 50-70 კვადრატული მეტრის ფართს ქირობენ და თითოეულ კვადრატულ მეტრში წელიწადში საშუალოდ 3 500 დოლარს იხდიან.

ამ კვლევის შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე მობილური კაშის კომპანიები არიან, რომლებიც კვადრატულ მეტრში 1000-დან 4 ათას დოლარამდე იხდიან, ხოლო მესამე პოზიციაზე პარფიუმერიისა და კოსმეტიკის მცირე მაღაზიები გავიდნენ, რომლებიც ერთი კვადრატული მეტრი ფართის ქირაში 500-1500 დოლარს იხდიან. რაც შეეხება მეოთხე და მეხუთე ადგილებს, მათზე, შესაბამისად აფთიაქები და ოპტიკის მაღაზიები და მომსახურების (ქიმიკა, ფეხსაცმლის შეკეთება, ატელიე და ა.შ.) ობიექტები გავიდნენ.

## ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე ურთიერთმართვის ტარიფები შემცირდა

2010 წლის 1 აგვისტოდან, ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრზე ურთიერთმართვის ტარიფები 14,8 თეთრიდან 7 თეთრამდე (დღეს-გარეშე) შემცირდა. თუმცა, ეს არ დაკისრებია „მობიტელს“ („პოლიანის“ სამარკო ნიშნის მფლობელს), რადგან ის „მაგთ“-სა და „ჯეოსელი“-საგან განსხვავებით, ბაზარზე მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე არ არის. ასევე, მოსალოდნელია სექტემბრის თვიდან მოხდეს ფიქსირებული კავშირგაბმულობის ბაზრზე არსებული ურთიერთმართვის ტარიფის 4 თეთრიდან 2 თეთრამდე დაწვევა.

## „ნაბუკო“ ირანულ ბაზარზე უარი თქვა

„ნაბუკოს“ კონსორციუმმა გაზის მიწოდების ორი უპირატესი მარშუტი განსაზღვრა და ირანულ

საქართველოს ინჟინერო-სააგრო-მშენებლო საბჭო

2780







გაზე უარი თქვა. მილსადენისათვის განიხილება მარშრუტები საქართველო-თურქეთისა და თურქეთ-ერაყის საზღვრიდან. შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, კონსორციუმმა მიზანშეწონილად არ მიიჩნია გაზის მიღება მესამე წყაროდან, ირანიდან. გაზსადენი შეივსება აზერბაიჯანული, თურქმენული და ერაყული გაზით.

**იმსპორტი 41%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი -12%-ით**

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2010 წლის იანვარ-ივლისში, შარშანდელ იმავე პერიოდთან შედარებით, 18%-ით გაიზარდა და 3,507 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვიდან ექსპორტი 865 მლნ აშშ დოლარია (41%-ით მეტი 2009 წლის იანვარ-ივლისთან შედარებით), ხოლო იმპორტი 2,642 მლრდ აშშ დოლარი (12%-ით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა ამ პერიოდში 1,777 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა თურქეთია, ხოლო თურქეთში უმსხვილესი საქსპორტო პროდუქცია კვლავ შავი ლითონების ჯგირთია.

**სათამაშო ბიზნესის სფეროში მოსაპირებლები გაიზარდა**

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების ქვედა და ზედა ზღვარი 1-ლი სექტემბრიდან 2,5-ჯერ გაიზარდა. „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, თითოეულ სალაროზე მოსაკრებლის განაკვეთი 3750-7500 ლარამდე გაიზარდა (ნაცვლად 1500-3000 ლარისა), თითოეულ სათამაშო აპარატზე მოსაკრებელმა 1500-3000 ლარამდე მოიმატა (ნაცვლად 600-1200 ლარისა).

**სსსხმის უმეტესობა ვაჭრობაზე მოდის**

2010 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, თურქული პირების დაკრედიტების მთლიან მოცულობაში (3,366 მლრდ ლარი) ყველაზე დიდი ხვედრითი წილი (48,3%) ვაჭრობის სფეროზე გაცემულ კრედიტებზე მოდის. ეს წილი თვეზე 1,7%-ით მეტია. მიუწველობაზე გაცემული სესხების წილი 21,2%-ია, მშენებლობაზე – 11,1%.

**აზიის განვითარების ბანკი მენიცი პალწოში ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს დააფინანსებს**

აზიის განვითარების ბანკი (ADB) საქართველოს 300 მილიონ აშშ დოლარის სესხს გამოუყოფს, ურბანული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. „თანხა ქალაქების სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება: მოწესრიგდება საავტომობილო მოძრაობა, შემცირდება საცობები, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას“, – აცხადებენ აზიის განვითარების ბანკში. პირველი ტრანში, 85 მილიონი აშშ დოლარი საავტომობილო გზების განვითარებას, თბილისის მეტროს ხაზების გაფართოებას, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისათვის გამოყოფილი გზების მოწყობასა (ქალაქებში, მათ შორის მესტიაში) და ტურისთვის განვითარებას მოხმარდება. მეორე ტრანშის მოცულობა 100 მილიონი აშშ დოლარია, მესამის – 115 მილიონი აშშ დოლარი. პირველი ტრანშის ვადიანობა 32 წელია, საშეღავათო პერიოდი – 8 წელი, 1%-იანი წლიური განაკვეთით. დანარჩენ პერიოდში 1,5%-ი იქნება.

მკო-დაიჯესტი ქართულ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა **თამთა შამტალაშაძემ**

ახალი მკონომისტი





**რეზა გველსიანი,**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, სრული პროფესორი

კონკურენციის პოლიტიკით სზოგადად ხელი უნდა შეეწყოთ ეკონომიკურ თავისუფლებას. კონკურენციის თავისუფლება არის ინდივიდუალური თავისუფლების გამოხატულება და ამდენად გააჩნია ინდივიდუალური სარგებელი, რომელიც მაგალითად, პიროვნების თავისუფალ განვითარებაში უღივდება. თუ კონკურენციას მიუყვართ ეკონომიკურ ოპტიმალ ურობასთან და ზრდასთან, იგი თავისთავად გულისხმობს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ყველაფერი უნდა გაკეთდეს კონკურენციის დაცვისათვის, და კერძოდ, ყველაზე სადაც კონკურენციას თავისი ფუნქციების განხორციელებისას საფრთხე ეშუქება. რადგანც ყოველ საზოგადოებაში არსებობს ეკონომიკის დარგები, რომლებშიც არ ფუნქციონირებს ან მოქმედებს კონკურენცია, მეორე მხარე კონკურენციის ხელ შეწყობა ხდება (მაგალითად, მონოპოლების არსებობისას). თუ არ მოხერხდება არსებული საწარმოების დაქვემდებარება ინტენსიური კონკურენციისადმი, მაშინ ეკონომიკური პოლიტიკისათვის შესაძ მიზნად ბაზრებზე გაბატონებული საწარმოების, კონკურენციის საწინააღმდეგო საქმიანობის და საერთოდ, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესწორების მექანიზმის ფორმირება უნდა დაევისახთ. ამით უნდა შეეაწიროთ ეკონომიკური ძალაუფლების პოლიტიკური გავლენის საშუალებად გამოყენება. მსგავსი მიზნები აქვს კონკურენციას ევროპული ინტეგრაციის პროცესში. კონკურენციის პოლიტიკამ შესაძლებელი უნდა გახადოს ბაზრებზე სამეწარმეო ინიციატივისა და ინოვაციური საქმიანობის განვითარებისათვის საჭირო მოქნილობის დამკვიდრება და რესურსების ქმედითუნარიანი, დინამიკური ალოკაცია. ამით ხელი უნდა შეეწყოს

№3(18), 2010 წელი

ევროგაერთიანების ერთობლივი მიზნების განხორციელებას, კერძოდ: 1) ეკონომიკური ცხოვრების პარმონიულ და დაბალანსებულ განვითარებას; 2) მდგრად, არაინფლაციურ ეკონომიკურ ზრდას გარემოს დაცვის გათვალისწინებით; 3) დასაქმების მაღალ დონეს; 4) სოციალური დაცვის გაუმჯობესებას და 5) ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას. ამით ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას და მისი თითოეული მოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლებას.

თავისუფლება და ეკონომიკური ზრდა ხელს უწყობს მთელი საზოგადოების კეთილდღეობას. მას მივალწევთ, რაც შეიძლება სწრაფად, თუ კონკურენციის ფუნქციები განხორციელდება. ამ ფუნქციების რეალიზაციის წინაპირობაა წარმატებები კონკურენციის პოლიტიკის სამ მნიშვნელოვან სფეროში (კონკურენციის დაცვა, კონკურენციის ხელ შეწყობა, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე კონტროლი). არსებითად ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალაშია კონკურენციის პოლიტიკის ერთი და იგივე მიზნები. ამასთან – განპირობებულია რა ინტეგრაციის პროგრესით – ევროკავშირის მიზნები კიდევ უფრო კარგად შეიძლება განისაზღვროს. იგი გავლენას ახდენს ევროპულ ეკონომიკაზე თავისი სტრუქტურებით, ხელს უწყობს ინოვაციებს და შიდა ბაზარზე რესურსების დინამიკურ ალოკაციას. კონკურენციის პოლიტიკის ასეთ სტრუქტურულად დაქვემდებარებულ ორიენტაციას მიყვაროთ ურთიერთქმედებასთან პოლიტიკის სხვა სფეროებთან (ისეთებთან, როგორცაა შიდა ბაზრის გადრმავება, დასაქმების ზრდის, კვლევისა და განვითარების, ასევე გარემოსა და მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკის ხელ შეწყობა). და ბოლოს, ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკა ტარდება

საქართველო ინტელექტუალური პოლიტიკის



იმ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რომლებიც გლობალიზაციის პროცესში წარმოიშობა, როგორც ცნობილია, გლობალურ ეკონომიკებში ოლიგოპოლიები არიან გაბატონებული, ამიტომ კონკურენციის შესახებ ადრე არსებული წარმოდგენები დღევანდელ სინამდვილას არ შეესაბამება. სრულყოფილ კონკურენციას დღეს არც რეალისტურია და არც მთლად სასურველი. განსაკუთრებით ნათელია ეს კონკურენციის ინოვაციის ფუნქციასა და მის პროდუქტიულ ეფექტთან მიმართებაში: კონკურენტობა სრული ტრანსპარენტულობის გამო პოლიპოლისტური მონაწილეებისათვის არ ღირს იყენებ ინოვაციური მწარმოებლები. ახალი პროდუქტების შექმნა შესაძლებელი ხდის წარმოქმნას ახალი ბაზრები, რომლებზეც დროებით მაინც იქნება მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მიმწოდებელი. მცირე მასშტაბის მიმწოდებლებისათვის არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ინოვაციურები იყენებ. თუმცა, აქ კვლავ აღსანიშნავია ინოვაციათა დამკვიდრების ბაზრები (ფინანსები, პატენტის უფლება და ა.შ.). არ უნდა გაგვივიწყრდეს, რომ შეხედულებები ეფექტიანი კონკურენციის პირობების შესახებ ბოლო პერიოდში არსებითად შეიცვალა.

სრულყოფილ კონკურენციის მოქმედებას აღარ უყვებენ, როგორც „აირველი საუკეთესოს“ მეთოდს, დღეს უფრო ხშირად, ბაზრის არასრულყოფილების გათვალისწინებით, საკითხის წარმატებით გადაჭრას „მეორე საუკეთესოს“ მეთოდის გამოყენებით ახორციელებენ.

კონკურენციის პოლიტიკისათვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ დღეს ეკონომიკური აგენტები აღარ ცდილობენ დაამკვიდრონ ეკონომიკური და პოლიტიკური ნორმები, ამის ნაცვლად ისინი ორიენტირებული არიან კონფლიქტზე, რომელსაც მტკიცე კავშირი აქვთ რეალობასთან და ახლოს დგანან კონკურენციის პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტებთან.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იყენებდნენ ე.წ. ფუნქციონირებისუნარიანი (ქმედითუნარიანი) კონკურენციის კონცეფციას. ამ კონცეფციით ცდილობენ (1) განსაზღვრონ ბაზრის სტრუქტურის თვისებები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენციას, (2) კონკურენციული მოქმედების წესების გამოკვლევას და (3) კრიტერიუმების დადგენას, რომლებიც გამოიყენება ბაზრის შედეგების შესაფასებლად. ბაზრის სტრუქტურის გამოკვლევა მოიცავს ყველა სიდიდის დადგენას,

რომლებიც უნდა განსაზღვრონ ბაზრის მონაწილეთა მოქმედება. მასში ბაზრის მონაწილეთა რაოდენობასთან ერთად შედის აგრეთვე ფაქტორები, რომლებზეც ცალკეული საწარმოები საერთოდ გაველენას ვერ ახდენენ (მაგალითად, სამართლებრივი ჩარხო პირობები). აქ იგულისხმება აგრეთვე ინფორმაცია საწარმოთა კონცენტრაციის შესახებ. მთ საფუძველზე კეთდება დასკვნები ეკონომიკის დაბალანსების მნიშვნელობაზე და ამით გამოწვეულ ბაზარზე შესვლის შესუღდვის არსებობაზე. ეკონომიკის დაბალანსებას აქვს თვისება, რომლის მიხედვითაც ახალი მიმწოდებლებისათვის არ არის ადვილი იმავე წარმატებით აწარმოონ საქონელი ან მომსახურება, როგორც უკვე გამოცდილმა საწარმოებმა. მათ (გამოცდილ საწარმოებს) შეუძლიათ „ახალშემოსულთა შეტევა“ ფასთა შემცირების სტრატეგიით შეზღუდონ. ამ კონცეფციაში კონკურენტთა რაოდენობის მატება ან კლება არ შეიძლება ყოველგვარი პირობების გარეშე განვიხილოთ, როგორც კონკურენციის ზრდა ან შემცირება.

ქმედითუნარიანი კონკურენციის კონცეფციაში იგულისხმება ბაზრის ის ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ კონკურენციის ფუნქციის რეალიზებას. ეს ძალაშია მსხვილი ოლიგოპოლიებისათვის, მაშინ როცა მცირე ოლიგოპოლიებში არსებობს კონკურენციის შესუღდვის საშიშროება. თუკი ბაზარზე ახალ კონკურენტთა შესვლა, მაშინ დროთა განმავლობაში მიმწოდებელთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს, ისე რომ კონცენტრაციის ხარისხი აიწვეს. ასეთ ბაზარზე მიმწოდებლები აგრესიულ შეტევებს (მაგალითად, ბძოლა ფასების საფუძველზე) არ ახორციელებენ. ამ კონცეფციის წარმატებისუნარიანობა გადაჭარბებით არ უნდა შეფასდეს, რადგან სამი კრიტერიუმი (საბაზრო სტრუქტურა, ბაზარზე მოქმედება და ბაზრის შედეგები) ერთმანეთზე ახდენენ ზეგავლენას. მსუღლობა და მოსაზრების გამოთქმა იმის შესახებ თუ ბაზარზე გამომდინარეობს რამედი საბაზრო სტრუქტურიდან გამომდინარეობს, სხვადასხვა საბაზრო სიტუაციიდან რა საბაზრო შედეგებია მოსალოდნელი და ემსახურება თუ არა ეს მომხმარებელთა ობტიმალურ უზრუნველყოფას, ცხადია შეიძლება, მაგრამ დასკვნების გაკეთებისას თავშეკავება ვეძარტობს.

კანტენბახის მიხედვით, ქმედითუნარიანი კონკურენციისაგან, პირველ რიგში, მოსალოდნელია

ახალი მარონომისტ

1 KANTZENBACH, Erhard, Die Funktionsfahigkeit des Wettbewerbs, 2. Aufl., Goettingen 1967.





დინამიკური კონკურენციის, ანუ ინოვაციის ფუნქციის განხორციელება და მონაცემთა ცვლილებებთან შესაბამისობის მაღალი ეფექტიანობა. ამასთან, რწმუნელოვან როლს თამაშობს სინქრე, მონიტორინგ გეუქმდება იმიტაციების მიერ მოგების უპირატესობა. ამით წინა პლანზე დგება კონკურენციის ინსტრუმენტების ხასიათი. უნდა გამოიყენებოდეთ, როდის არსებობს კონკურენციის ხელსაყრელი პირობები. ისინი მოიაზრება ძირითადად ისეთ ბაზრებზე, რომლებსაც მსხვილ ოლიგოპოლიებს უწოდებენ. ამ ტიპის ბაზრებს ახასიათებს საწარმოთა შეთანხმებული რეაქცია. იგი მცირე ოლიგოპოლიებთან ძლიერი კონცენტრაციის გამო ძალზე მაღალია. ასე რომ ასეთ ბაზრებზე დინამიკური განვითარება თითქმის არ ხდება. სამაგიეროდ, პოლიპოლიაში იგი ძალზე სუსტადაა გამოკეული. საბოლოო ჯამში კანტენაბის მიხედვით, წინაპირობები უფრო უკეთესად სრულდება მსხვილ ოლიგოპოლიაში, რომელიც ხასიათდება პროდუქტთა ზომიერი დიფერენცირებით. აქ შეთანხმებული რეაქცია მართალია არსებობს, მაგრამ არა ისეთი ყოვლისმომცველი, რომ მოხდეს პროდუქტთა სწრაფი რეალიზებით პოტენციური იმიტაციორების დეზორგანიზება. აგრეთვე არ შეიძლება კონკურენცია საარსებო რისკის გამოძირცხავი მოქმედების საფუძველზე. ბაზრის სწორედ ამ ფორმაში კონკურენციის წესების დარღვევა განსაკუთრებით მისაღებია. ამას ემატება ისიც, რომ მიწოდებულთა რაოდენობა საკმაოდ დიდაა და თითოეული საწარმო საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რომ მიიღოს მასობრივი წარმოების უპირატესობა, დააფინანსოს ინოვაციები და სხვა საქმიანობა.

თავისუფალი კონკურენციის კონცეფციაში პოპმანის მიხედვით<sup>2</sup> იქედან ამოდიან, რომ კონკურენცია თავისთავად ღირებულებებს ფლობს: კონკურენციის თავისუფლების ფუნქცია წინა პლანზე დგება. კონკურენციით ბაზრის მონაწილეებს ეძლევათ თავისუფლების არეალი, რომელსაც სასურველ საბაზრო შედეგებამდე მიყვარათ. კონკურენციული მოქმედებისათვის თავისუფლებაა საჭირო, მაგრამ იგი არასაკმარისი პირობაა მისთვის. არსებული შესაძლებლობები უნდა იქნეს გამოყენებული, რისთვისაც წინა პლანზე იწვევს კონკურენციის ნება და უნარი. კონკურენციის თავისუფლებას თითოეულისათვის

დამატებითი ეკონომიკური უპირატესობანი მოაქვს თუ კონკურენციის თავისუფლება, პირიქით შეიზღუდება. მაშინ გაუარესდება ბაზარზე მისაღწევი შედეგები და შეიძლება წარმოიშვას საბაზრო ძალაუფლება, რომელიც ბოროტად გამოყენებული თავისუფალი მოქმედების არეალის შესაზღუდად. კონცეფცია გვაგონებს კლასიკურ ლიბერალიზმს, რომელსაც კონკურენცია ესმოდა, როგორც დინამიკური პროცესი, რომელშიც დადებულია ეკონომიკური თავისუფლება და მომხმარებელთა ოპტიმალური უზრუნველყოფა ხდება.

ბაზრის სტრუქტურის, ბაზარზე მოქმედების და საბაზრო შედეგების პარადიგმის გამოყენების არასაკმარისი აღქმის საფუძველზე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე დამახასიათებელი იყო ამერიკული ანტიტრესტული პოლიტიკისათვის, ჩიკაგოს სკოლამ XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში შექმნა საკუთარი კონცეფცია. კონკურენცია განიხილება როგორც დინამიკური პროცესი, რომელიც აიძულებს ბაზრის მონაწილეებს მიმდინარე პროცესებთან მისადაგებას და ამით ავლენს წინასწორების ტენდენციას (თუნდაც იგი არასდროს იყოს მიღწეული). მიზნად ცხადდება მომხმარებელთა კეთილდღეობა. ეფექტიანობა განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ინდიკატორი. მასში გამოიყოფა ორი ასპექტი: პროდუქტული ეფექტიანობა, რომელიც ხასიათდება ბარჯების ეკონომიით და საწარმო სიმძლავრეთა ზრდის პარალელურად ხდება. ალოკაციური ეფექტი, რომელსაც მიყვარათ საუკეთესო შესაბამისობასთან პროდუქტების მიწოდებასა და მომხმარებელთა პრეფერენციების შორის და ასევე ფასებთან, რომლებიც უახლოვდებიან გრძელვადიან ზღვრულ ხარჯებს. ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენლებს აკავშირებთ რწმენა იმისა, რომ კონკურენცია, როგორც „survival of the fittest“-ის პროცესი ხანგრძლივად მოქმედებს. ოლიგოპოლიებიც, როგორც ჩანს, კონკურენციული სეულის ქვეშ იძულებიან. თუ ისინი გამოავლენენ სუსტ პოზიციებს შედეგების მხრივ ანდა ცდილობენ დაამკვიდრონ ფასები, რომლებიც სცდება ზღვრულ ხარჯებს, მაშინ შემოსავლით შესაძლებელი გახდება პოტენციური კონკურენცია, რომელიც ფასებს ჩამოსწევს ზღვრული ხარჯების დონეზე. საეკონომიკოდ ბაზარზე შეღწევის ბარიერები არსებობს იქ, სადაც ისინი სახელმწიფოს მხარდაჭერით შეიქმნა. ასეთ

ახალი პერიოდის

<sup>2</sup>HOPPMANN, Erich, Zum Problem einer wirtschaftspolitisch praktikablen Definition des Wettbewerbs, in: Grundlagen der Wettbewerbspolitik, hrsg. v. Hans K. SCHNEIDER, Schriften des Vereins fuer Soxialpolitik, N.F. Bd. 48, Berlin.



შემთხვევებში დღის წესრიგში დგება დერეგულირება ანდა ლიბერალური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, და არა პირიქით, კონკურენციის შემზღუდავი პოლიტიკური ინტერვენციები. აქ, სადაც სახელმწიფო ბაზარზე უკვე დამკვიდრებულ მწარმოებელთა ინტერესებში ჩაერევა და ბაზარზე შესვლას ხელს შეუშლის ან საერთოდ არ დაუშვებს, მაშინ თვით დიდი და ძლიერი საწარმოები სწრაფად მოქცევიანი კონკურენტული ზეწოლის ქვეშ, თუკი ისინი თავიანთ სუსტ მხარეებს გამოაქვნიენ<sup>1</sup> მაგრამ ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე შეღწევის დაბრკოლებები საბაზრო ძალაუფლების მქონე საწარმოთა მხრიდან არ იყო შექმნილი. კრიტიკას ექვემდებარება აგრეთვე სრულყოფილი კონკურენციის, როგორც ყველაზე ეფექტიანი მოდელის გაფუჭებულობა.

ყველა აქ წარმოდგენილი კონცეფცია ავლენს სუსტ მხარეებს, რომელიც პირველ რიგში, კონკურენციის პოლიტიკის განუსაზღვრელ ცნებებსა და არაგაზომვად მახასიათებლებში მდგომარეობს. კონცეფციების თეორიული და საბუთობაც არ დამაკმაყოფილებელია. კონკურენციის პოლიტიკისათვის ორიენტაციის თვალსაზრისით დახმარება ამ კონცეფციებიდან მხოლოდ პირობითად ხდება. სამოქმედო მიზნებები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ კონცეფციებიდან ქმედითუნარიანი კონკურენციის პოლიტიკის საკითხში.

შეიძლება შემიჯნაობა შევჯავამთ: საქმე ეხება იმას, რომ საბაზრო რეალობა რაც შეიძლება ზუსტად განესაზღვროთ ბაზრის სტრუქტურის, ბაზარზე მოქმედების და ბაზრის შედეგების საშუალებით. თუ ისინი კომბინაციაში გამოიყენება, მაშინ კონკურენციის პრობლემები საკმაოდ კარგად განიხილება.

მსხვილი ოლიგოპოლიების კონცეფციაში კონკურენციის პოლიტიკის ამოცანაა პოლიპოლისტურად სტრუქტურირებული ბაზრები კოორდინაციათა შეთანხმებით და შერწყმით გადაყვანვან მსხვილი ოლიგოპოლიების სასურველ საბაზრო ფორმაში. ბაზრის ამ ფორმისათვის თვით შერწყმის კონტროლმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ კონცენტრაციამ არ წარმოქმნას მცირე ოლიგოპოლიები. ვიდრე მცირე ოლიგოპოლიები არსებობენ, უნდა მოხდეს ან მათი დაცვალიკლება ანდა ისინი (მათ მიმართ უნდობლობის გამო)

უნდა დაექვემდებარონ მეთვალყურეობას. თავისუფალი კონკურენციის კონცეფციაში კონკურენციის პოლიტიკის ამოცანაა აღმოფხვრას კონკურენციის შეზღუდვები. ეს შესაძლებელია მაშინ, როცა საქმე ეხება კონკურენციის ხელშეწყობის შეზღუდვას, რომელიც შეიძლება ბაზრის მონაწილეთა სტრატეგიებიდან გამომდინარეობდეს. კონკურენციის მხოლოდ ბუნებრივ დაბრკოლების დროს (მაგალითად, საწარმოო დანადგარების განუყოფლობის შემთხვევაში) არსებობს გამონაკლისის სფეროები, რომლებიც შეიძლება იმართებოდეს არა თავისუფალი წარმატებული კონკურენციის შედეგით, არამედ წესრიგის სხვა პრინციპებით (მაგალითად, სახელმწიფო მეთვალყურეობით). ჩიკაგოს სკოლის კონცეფციიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კონკურენციის პოლიტიკის გატარება სიფრთხილეს მოითხოვს. საბაზრო პროცესებში ჩარევას რაც შეიძლება თავი უნდა ავირიდოთ, რადგან ეს „ბაზრის თვითდარეგულირების ძალებს“, მხოლოდ ზიანს აყენებს. შერწყმის კონტროლის ინსტრუმენტის მხოლოდ იქ უნდა გამოიყენებოთ, სადაც კონკურენციის მაღალი ხარისხი უკვე მიღწეულია.

საერთაშორისო დისკუსიის მიზანს ვერ გავიგებთ შესაბამისი წესრიგის პოლიტიკის მთავარ მოსაზრებებთან მისი მიმართების გარეშე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩიკაგოს სკოლამ კონკურენციის პოლიტიკის ისეთი კონცეფცია შექმნა, რომელიც არსებითად ეფუძნება ინდივიდუალურ თავისუფლებას და ამით საკმაოდ კარგად შეესაბამება ღირებულებებზე ამერიკელთა (აშშ) წარმოდგენებს. ქმედითუნარიანი კონკურენციის კონცეფციის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულების შემთხვევაში, პირიქით, ცდილობენ სხვადასხვა გზით გაითვალისწინონ ბაზარზე შექმნილი სპეციფიკური სიტუაციები. ჩვენ კი, მხოლოდ საზოგადოებრივ ღირებულებათა სისტემაზე ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციისათვის თანხმობას კონკურენციის პოლიტიკაში ვპოულობთ.

კონკურენცია არის საბაზრო ეკონომიკაში წესრიგის ძირითადი წესი და ამიტომ მას სჭირდება სახელმწიფოს მხრიდან დაცვა. სხვა შემთხვევაში კონკურენციის ფუნქციები შეუსრულებელი დარჩება და წარმოიშობა სერიოზული დანაკარგები კეთილდღეობის მიღწევის საქმეში. ეს არის

ახალი ეკონომისტი

<sup>1</sup>BERG H., Wettbewerbspolitik, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 2, 6., ueberarb. Aufl., Muenchen 1995.



როული ამოცანა, რადგანაც პრაქტიკაში არსებული კონკურენციის შეზღუდვის ფაქტების რაოდენობას და ბაზრის მონაწილეთა შემოქმედებით

უცვლლობებს, თავი აარიდონ კონკურენციის პრამანენტულ ზეწოლას, სახდერები არა აქვს

**ბამოყენებული ლიტერატურა**

1. რევას გველეხიანი, ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი I, თბ., 2008.
2. რევას გველეხიანი, ირინა გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბ., 2009.
3. BERG H., Wettbewerbspolitik, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 2, 6., ueberarb. Aufl., Muenchen 1995.
4. DIE GRUPPE VON LISSABON, Grenzen des Wettbewerbs. Die Globalisierung der Wirtschaft und die Zukunft der Menschheit, mit einem Vorwort v. Ernst Ulrich von WEIZSAECKER Muenchen 1997.
5. HAHN, Andreas, Oligopolistische Marktbeherrschung in der Europäischen Fusionskontrolle, Schriften zum Wirtschaftsrecht, Bd. 156, Berlin 2003.
6. HERDZINA, Klaus, Wettbewerbspolitik, 5., vollst. Ueberarb. Aufl., Stuttgart 1999.
7. HOPPMANN, Erich, Zum Problem einer wirtschaftspolitisch praktikablen Definition des Wettbewerbs, in: Grundlagen der Wettbewerbspolitik, hrsg. v. Hans K. SCHNEIDER, Schriften des Vereins fuer Sozialpolitik, N.F. Bd. 48, Berlin.
8. KANTZENBACH, Erhard, Die Funktionsfahigkeit des Wettbewerbs, 2. Aufl., Goettingen 1967.
9. KERBER, Wolfgang, Wettbewerbspolitik, in: Vahlens Kompendium der Wirtschaftstheorie und Wirtschaftspolitik, Bd. 2, 8., ueberarb. Aufl., Muenchen 2003.
10. Koch Walter A. S. Christian Czogalla, Grundlagen der Wirtschaftspolitik, 2. Aufl., Stuttgart 2004.
11. SCHMIDT, Ingo, Wettbewerbspolitik und antirecht. Eine interdisziplinare Einfuehrung, 7., neubearb. Aufl., Stuttgart 2001.

**THE PROBLEMS AND OBJECTIVES OF COMPETITION POLICY**

**REVAZ GVELESIANI**

Head of the Department of Economic Policy at Ivane Javakishvili Tbilisi State University,  
 Director of Georgian-German institute of economic policy,  
 full professor.

Freedom and economic growth contributes to the prosperity of the whole society. It will be achieved, as soon as possible, if the functions of competition will be carried out. Precondition for the realization of these functions, is the success in three spheres of competition policy (Protection of competition, promoting competition, control on abusing of market power).

Effective competition of the market conception of reality, has to be accurately determined according to the Market structure, market rules and according to the results of the market.

Large oligopolies conception of competition policy's objective is to cooperate an agreement of structured markets and send them to the mixture of large oligopolies to the desirable market.

The goal of the competition policy in the conception of free competition is to eliminate the restrictions of the competition. It is possible when it refers to the artificial restriction of competition in which participants of the market may be Proceeded from their own strategies.

According to the conception of Chicago school, we can make a conclusion, that competition policy requires a caution. Interference in the market processes needs to be avoided, because it's damages the "self-regulation forces of market". we also have to use the instruments of Merger's control only there, where high degree of competition has already achieved.



(სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის **ილია მეორის** კიდევ ერთ ახალ საშვილიშვილო ინიციატივასთან – ქართული სოფლის განაშენიანების პროექტის „მზე შინა და მზე გარეთა“ – დაკავშირებით)



**პაატა კოლუაშვილი**

სტუ, სრული პროფესორი, ემდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

“ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლიარა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებლნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი იჩინოს და ყოველ სფეროში ღონიერად გაიწივამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის... ძნელია ჩვენის გლეხკაცისათვის ადგილდამ დაძვრა. ამბობაც იშვიათია ჩვენში უბინადო ტანტალი და სულ ცნობილი არ არის ერთგვარი დანაშაული, რომელსაც „მაწანწალობა“ ჰქვია. ამიტომაც ჩვენში ბინადარს მცხოვრებს „მკვიდრი“ ჰქვია და არა „მდგმური“, როგორც ზოგიერთ ენაშია... მთავრობას იმისთანა წყობილება უნდა ჰქონდეს, რომ ერთის გზით თავისი ხალხის მეურნეობის ნამდვილს, უტყუარს და აუცილებელ საჭიროებას დღემუდამ ჰკრძნობდეს, და მეორეს გზით – მზად იყოს ფულით, ცოდნით, რჩევით დაუყოვნებლივ შემწეობა მიაშველოს იქ მაინც, საცა ეკრძო პირთა შეძლება ვერ გაწვედება... დანიშნულება საადგილმამულო კრედიტისა განკარგებაა მამულ-დედულისა, გაძლიერება მიწათმოქმედთა ღონისა და მომცემლობისა.”

**ილია ზაზუაშვილი**

ახალი ეკონომისტი

თანამედროვე მსოფლიოში წერილი ფერმები, როგორც წესი, ვერ უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს ცხოვრებისათვის საკმარისი შემოსავლებით და ფერმერები იძულებულნი არიან, დამატებით შემოსავლები საქმიანობის სხვა სფეროებში ეძებონ.

ევროკავშირის ქვეყნებში გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფერმერთა საერთო რიცხვის 70 პროცენტს არ ჰქონდა სხვა დასაქმება, გარდა საკუთარი ფერმისა, ხოლო იმ ფერმერთა რიცხვი, რომლებსაც სხვა შემოსავლიანი ფერმის გარეთ განხორციელებული საქმიანობიდან ჰქონდათ, 23 პროცენტს შეადგენდა.


ბოლო პერიოდში აშკარად გამოიკვეთა ფერმერულ მეურნეობებში დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირება, რაც ხდება როგორც სოფლიდან გასვლით, ასევე ყოფილი ფერმერების არასასოფლო სექტორში დასაქმებით.

აგრარული სექტორიდან ფერმერების და მათი ოჯახის წევრების არასასოფლო სექტორში სამუშაოდ გადასვლის ტენდენცია აიძულებს სახელმწიფოს, შეიქმას არა უბრალოდ აგრარული,

არამედ უყურთ ყვარათ, სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარების პოლიტიკა ანუ დააკავშიროს ერთმანეთთან სოციალური და ყოფითი პრობლემები და გამოძებნოს მათი კომპლექსურად გადაჭრის საშუალებები. ეს უზრუნველყოფს ფერმერთა და მათი ოჯახის წევრთა ადგილზე დასაქმებას როგორც ფერმაში, ასევე დამატებით ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე, სოფლის და იქ შექმნილი ხელეწიური თუ ბუნებრივი ლანდშაფტების შენარჩუნებას.

ადგილებზე სოფლის მოსახლეობის დასაქმების განსაკუთრებით გავრცელებულ და ეფექტურ ფორმას კვებისა და გადაამუშავებელი მრეწველობის საწარმთა ქსელის განვითარება წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების ადგილებში ასეთი საწარმოების განვითარება გამართლებულია როგორც ეკონომიკური (წარმოების მიახლოება გადაამუშავებასთან ან პირიქით), ასევე სოფლად არსებული სამუშაო ძალის რაციონალური გამოყენების თვალსაზრისით (სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სეზონურობის გათვალისწინებით).





გარდა ამისა, სულ უფრო ფართოდ ინერგება მწვენი (აგრო) ტურიზმი, საცხენოსნო სპორტი და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დასაქმების სფეროები. საყურადღებოა ისიც, რომ თანამედროვე ტიპის ჩქაროსნული გზების მშენებლობით სოფლის მოსახლეობის სულ უფრო დიდ ნაწილს უზრუნველდება საშუალება აქტიურად ჩაებას ახლო-მდებარე ქალაქების ან მსხვილი სამრეწველო ობიექტების სამეურნეო ცხოვრებაში.

ვეროვებართიანების არსებობის ოთხი ათეული წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკის რეალიზაციის შედეგად მოხერხდა დასახული მიზნების უმრავლესობის მიღწევა. აღსანიშნავია, რომ ფერმერების შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა და რთვ ქვეყნებში კიდევ გადააჭარბა არასასოფლო სექტორში დასაქმებულთა შემოსავლებს. გადაუჭრელია სოფლის მეურნეობისა და ქვეყნის პროდუქტების ფასების დარეგულირებისა და რესურსების ეფექტური გამოყენების საკითხი.

ვეროვებართიანების სოფლის მეურნეობის განვითარების საერთო პოლიტიკა ორიენტირებულია: - შიდა და გარე ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე; - სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა (ფერმერულ მეურნეობათა) სათანადო შემოსავლებით უზრუნველყოფაზე;

- ფერმერებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაზე, დამატებით დასაქმებასა და შემოსავლების სხვა წყაროებით უზრუნველყოფაზე;

- სასოფლოსამეურნეო ახალი ტერიტორიების განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე;

- სოფლის მეურნეობის პოლიტიკის ფარგლებში უფრო მეტი სტრუქტურული და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარებაზე;

- სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების გაუმჯობესებაზე;

- სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის გამარტივებასა და მისი გამოყენების დეცენტრალიზაციაზე.

ვეროვებართიანების დღევანდელი აგარარული პოლიტიკა წარმოადგენს ერთგვარ ეტალონს გაერთიანების არაწევრი ქვეყნებისთვის. მისი გათვალისწინება მნიშვნელოვნად გამოადგება ჩვენს ქვეყანასაც. საქართველოს უდავოდ აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების დიდი პოტენციალი, რომლის ამოქმედება უნდა გახდეს მისი აგარარული პოლიტიკის ძირითადი მიზანი.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სასურველსა და შესაძლებელ მიმართულებაზე სერიოზული მსჯელობის კონტექსტში ცხადი არის

მხოლოდ ორი რამ. პირველი – როგორი არ უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, და მეორე: რომელია და როგორია საქართველოს ეკონომიკური მომავლის (განვითარების) ყველაზე სასურველი სახე.

სასურველია საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგარარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, რომელიც თვითონ დადამკაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სდდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგანა – მეცნიერებატევილი სამრეწველო, მეცნიერული და მაღალი ხარისხის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ეს სასურველი მიმართულება გულისხმობს საქართველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკურ უშიშროებასაც ანუ მისი ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაარტივებულ შენარჩუნებადობასაც გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

ამიტომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება საქართველოს მთავრობამ უნდა აღიაროს, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებული, პრიორიტეტული დარგი, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია.

\*\*\*

მთავრობის კომპეტენტურობა და აგროსასურსათო პროცესებში მისი ჩარევის ხარისხი, მიმართულება და დონე (მარეგულირებლის როლი) გადაწყვეტი ფაქტორია ქვეყნის შიშშილისგან გადარჩენაში დღეს და სამომავლოდ.

დღეს საქართველოს არ გააჩნია აგროსასურსათო სექტორის განვითარების სტრატეგია. ამიტომაც ცალკეული სახის ერთჯერადი დახმარებები სოფლისადმი (სასუქი, საწვავი, ტექნიკა და სხვა) ვერ აღწევს სასურველ შედეგს. მას არა დარგის განვითარებისთვის, არამედ, პიარ-აქციებისთვის მიმართავენ.

ფინანსური, ეკონომიკური, საწარმოო და სოციალური მომსახურების გარეშე, მთავრობის წარმმართველი ორიენტირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გარეშე დარჩენილი ქართული სოფელი (რაც რადიკალურად განსხვავდება მსოფლიოს განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკისაგან) კარგავს ისტორიულ, გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციებს, რაც აგრეთვე სოფლის განვითარების მსოფლიო პოლიტიკას ეწინააღმდეგება.

დაცარიელებული სოფლების აღორძინება და

ახალი პერიოდისტი





\*\*\*

აგროსასურსათო სექტორის მოსახლეობის

დასაქმებისა და შემოსავლების ზრდის საუკეთესო საშუალებაა. მის განვითარებაზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მივაქციოთ არა მხოლოდ სხვა ქვეყნის გამოცდილებას, არამედ – აგრეთვე და პირველ ყოვლისა – ამ გამოცდილების ჩვენთან გამოყენების შესაძლებლობას, ქართული სოფლის სექციის გათვალისწინებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული პროდუქცია, მცირე გამოწარმოების გარდა, არაკონკურენტუნარიანია როგორც შიდა, ისე, გარე ბაზარზე. ამით ქართულ აგრომწარმეს დაკარგული აქვს სურსათის წარმოების ეკონომიკური სტიმული. შედეგად, სახნავებისა და ბალენახების 60%-მდე მითევებულია და უკეთეს შემთხვევაში საძოვრის ფუნქციას ასრულებს.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის მნიშვნელოვანი ოდენობა დღეისათვის სურსათის იმპორტზე მოდის (2009 წელს საქართველოში შემტანეს 947 მლნ აშშ დოლარის სასურსათო პროდუქცია, მაშინ, როცა წინა წლებში იგი 200–500 მილიონის ფარგლებში მერყეობდა). იმპორტზე ასეთი დამოკიდებულება აგრეთვე პოლიტიკის შეცდომად უნდა იქნეს მიჩნეული. საქმე ეხება დარგს, რომელიც მწვავე კრიზისშია და გლუხკაცს, რომელსაც არავითარი ეკონომიკური სტიმული არ გააჩნია მუშაობისთვის, თუმცა სწორედ ის ქმნის ადამიანთა სარჩევს საკვებ პროდუქტებს და სწორედ მის მიერ შექმნილი პროდუქციის დეფიციტის გამო არის კრიზისი.

შექმნილი კრიზისული მდგომარეობის ეკონომიკური ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრობლემათა გადაწყვეტა ვერ მოხერხდება მხოლოდ აგროსექტორის ფარგლებში, არამედ იგი მოითხოვს კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებას და განხორციელებას. მათი გადაჭრისთვის საჭიროა მთავრობამ (სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან) შექმნას აგრარული პოლიტიკის ერთნაირი საბჭო, ხელი შეუწყოს ერთიანი აგროსასურსათო სისტემის განვითარებისთვის აუცილებელ საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, უზრუნველყოს სახელმწიფო სუბსიდიების გამოყენება (რაც არ ეწინააღმდეგება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (გმმ) ხელშეკრულებას, რომელიც იძლევა დამატებითი გამოწარმოების დაშვების შესაძლებლობას შემდეგ შემთხვევაში: ა) როდესაც ამა თუ იმ პროდუქტზე დახმარების მთლიანი მოცულობა არ აღემატება წარმოებული პროდუქციის მთლიანი ღირებულების 5%; ბ) ასევე

ამით ქვეყნის ფეხზე წამოყენება, სოფლის მეურნეობის აღორძინებითაა დასაწყები. ძლიერი სოფელი, გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ქვეყანას და, შესაბამისად, ქალაქსაც დააპურებს და გადაარჩენს! მატერიალური წარმოების სხვა დარგებში გამოყენებული შრომისაგან განსხვავებით, აგრარულ სფეროში გამოყენებული შრომა ნაკლებ მოზიდვლია, ანუ აქ დასაქმებული საოჯახო მეურნეობა არადეფექტური სინქარით რეაგირებს საბაზრო კონიუნქტურის ნებისმიერ ცვლილებაზე. ამის მიხეზია არა მარტო სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების შედარებით გრძელვადიანი ციკლი, არამედ სოფლად ცხოვრების წესიც, წვეულებები, საცხოვრისთან და მიწასთან („ადგილის კაცის“ – მკვიდრი მიწათმოქმედის) დამოკიდებულების მუდმივი კავშირის ტრადიცია. ამის გამო, ხშირია ფაქტები, როცა წლების განმავლობაში პერმანენტულად კლებადი მოსავლის მიღების შემთხვევაშიც კი, საოჯახო მეურნეობები აგრძელებენ ფუნქციონირებას ურთიერთსოლიდარული ანუ ურთიერთდახმარების პრინციპის საფუძველზე (2009 წელს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულმა (892 ათასი) წლიურმა მუშაკმა საშუალოდ 1589 ლარის შემოსავალი მიიღო, რაც დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებია არასასოფლო სექტორში დასაქმებულ მუშაკთა შემოსავალზე). სწორედ ეს პრინციპია თითოეული ცალკე აღებული საოჯახო მეურნეობის ხანგრძლივადიანი სიცოცხლისუნარიანობის საძირკველი.

საქართველოს აქვს შესაბამისი ბიოგეოკლიმატური პირობები, აგრარული პოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო თვითუზრუნველყოფისათვის. ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აქ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. აგრომეურნეობის სწორი გაძლიერის შემთხვევაში საქართველოს შეუძლია გამოკვებოს არათუ ქვეყანაში დღეს არსებული მოსახლეობა, არამედ 10-12 მილიონი ადამიანი. ეს ნიშნავს, რომ რაციონალური აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში შეგვიძლია სტაბილური სადღეისო და სამომავლო სასურსათო უზიშროების მიღწევა სამაშულო აგროწარმოების პროდუქციით.

ახალი მაკროეკონომიკა



მხარდაჭერის საერთო ვალდებულებებში არ ჩაითვლება ის დახმარება, რომელიც მიმართულია არა რომელიმე პროდუქტის წარმოებაზე, არამედ მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში დახმარების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი ღირებულების 5%. საქართველოს მიეცა უფლება გამომიყენოს აგრარული სექტორის მხარდასაჭერად 150-200 მლნ დოლარის ექვივალენტური საშუალებები, ემოში გაწვევრიანების წლისათვის ქვეყანაში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის გათვალისწინებით), ჩამოაყალიბოს სახელმწიფო მარეგულირებელი (ჩამრვეი) სამსახურები (ადმინისტრაციულ-კომერციული ფუნქციით) მარცვლის, მევენახეობა-მეღვინეობის, რძისა და ხორცის წარმოების სფეროში. მან უნდა განახორციელოს სამამულო აგრარული ბაზრის დაცვა, მხარი დაუჭიროს სოფლად საქონელმწარმოებელთა ეკონომიკური სტიმულირების ამადლებას საფინანსო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგადასახადო და სხვა ბერკეტების გონიერული გამოყენებით.

სოფლად ეოფვა-ცხოვრების აღორძინების, გლეხკაცის ადგილზე დამაგრებისა და აგრარმეურნეობის განვითარების მიზნით სტრატეგიულ ამოცანად უნდა განისაზღვროს: სოფლად რეალური თვითმართვებლობის დამკვიდრება, თემის (სოფლის) სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის შემუშავება და განხორციელება, აგრარული და სასურსათო წარმოების თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით აღჭურვა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და გადამმუშავებელ წარმოთა პორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია, ამის შედეგად - ფერმერთა შემოსავლების ზრდა, სასურსათო პროდუქციისა და ნედლეულის წარმოების რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. აღნიშნულისთვის დიდი ფაქტორია ფერმერთა (მ.შ. დარგობრივი) კავშირების, ასოციაციების ფორმირება სოფლის, რაიონისა და მხარის დონეზე.

სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას მათი ურთიერთინტეგრაცია წარმოადგენს. ინტეგრირების ოპტიმალური ფორმებისა და მათზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტური მოდელის ძიებას სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული

მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებასთან მიუყვართ, რომელთა შორის თემის, სოფლის სამეწარმეო მობილიზაცი ს საკონს-კოორპირების სხვა ფორმებთან ერთად, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

„თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა“, რომელიც საქართველოს მთავრობას არ გაანია, ეხება სოფლად კოოპერაციული ურთიერთობებისა და დარტაშორის ინტეგრაციის განვითარებას. სათემო კავშირების ეგიდით მოხდება ადგილებზე არსებული ინტელექტუალური, სამეურნეო და ორგანიზაციული მოწყობის უმნიშვნელოვანესი რესურსების სრული წარმოჩენა და აგრეთვე პროდუქციის წარმოების, გადამმუშავებისა რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა. საბოლოო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები მთლიანად თემის მოსახლეობის საკუთრებას წარმოადგენს, საიდანაც ისინი თვითონვე განახორციელებენ შესაბამისი მატერიალური სახსრების აღწარმოებაზე და საერთო სოციალური პრობლემების მოგვარებაზე მიმართვის საკითხს. თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების შედეგად მიხდება ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების მეკეთრი ზრდა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სათემო ორგანიზაცია (კავშირი) ავტომატურად ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებს ადამიანებს თავიანთ სოფელში ან უბანზე არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით. მისი წევრები არჩეული არიან ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას გვეგავენ და ახორციელებენ მოცემული თემის მოსახლეობასთან ერთად.

სათემო ორგანიზაციების შემუშავება ადრან საზოგადოებრივი აქტიუობა იმ სფეროებში, რომლებიც უადრესად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის და სადაც აბეგარი აქტიუობის ინტენსიური განვითარება თავისით და ბუნებრივად, - სხვადასხვა პირობის გამო - ჯერ-ჯერობით არ არის მოსალოდნელი. ამ ორგანიზაციების მუშაობის სტილი მოქნილი და დღევანდელი მოთხოვნი-ლებების შესაბამისია. სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გაითვლისწინოს ეს ძალა, როგორც რეალურად მოქმედი ძლიერი ელემენტი და სანდო პარტნიორი მწვევე სასურსათო, სოციალური და დემოკრაფიული პრობლემების გადაჭრისას. მთავრობამ უნდა შეეზოს, რომ ქვეყნისათვის აქტუალური საკითხების მოგვარება საზოგადოებრივი (კოოპერაციული) სექტორის მიერ,

საქართველოს მთავრობის განცხადებით



რომლის მნიშვნელოვან ნაწილს სათემო ორგანიზაციები წარმოადგენს, შესაძლებელია. ის უმთავრესი, რასაც ხელისუფლება მოიპოვებს საზოგადოებრივ (კოოპერატიულ) ორგანიზაციებთან ჯანსაღი თანამშრომლობის პირობებში, იქნება საზოგადოების იმ მრავალრიცხოვანი ნაწილის ნდობა და პატივისცემა, რომლის ინტერესების დასაცავადაც არის მოწოდებული არასამეწარმეო სექტორი ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ორგანულად შერწყმულ სათემო ორგანიზაციებს ყველაზე მეტად ხელეწიფებათ თემის მოსახლეობის თანაბრობა იდეოლოგიის დრამად გააზრებული პროექტების საშუალებით მოახდინონ ადგილებზე რეალურად არსებული ინტელექტუალური, სამეურნეო და ორგანიზაციული მოწყობის უმნიშვნელოვანესი რესურსების მთლიანი წარმოქმნა და გამოყენება, რომლის შედეგადაც გარედან ფინანსურ დახმარებასა და სხვა სახის დონისიძიებებს შეექმნებათ წარმატებით განხორციელების ობიექტური საფუძვლები. თემის მობილიზაცია შეიძლება გახდეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ენერჯეტიკის ტრადიციული დარგების ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და შესაბამისად თემის წვერთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც თავის მხრივ წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს.

აი, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელების მოსალოდნელი ზოგიერთი შედეგი:

- სამეწარმეო საქმიანობის მართვისა და ფუნქციონირების ციფლიზებული ფორმების დანერგვა და განვითარება;
- თემის წევრების მიერ რეალური თვითმმართველობის ყველა კომპონენტის: თვითანაზღაურების, თვითრეგულირებისა და თვითკონტროლის განხორციელება;
- სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების სფეროებში მოსახლეობის მასობრივი დასაქმება;
- საქართველოს მხარეების ეკონომიკური და სოციალური განვითარება;
- საზოგადოებაში სოციალურ-ეკონომიკური პოლარიზაციის დონის შემცირება;
- სათემო კავშირების საშუალებით სოფლის

მეურნეობის საერთო პროდუქციის წარმოების მიზნით თემის წვერთა კოოპერირება;

- თემის მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა და, აქედან გამომდინარე, მათი საერთო სოციალური პრობლემის მოგვარება;
- პროდუქციის წარმოებისა და გადამამუშავების ინტეგრირებული სისტემების შექმნა;
- ეფექტური მარკეტინგული და სადაზღვევო სისტემების ფორმირება;
- სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, დაჩქარებული და კომპლექსური განვითარება;
- პროდუქციის ფალსიფიკაციასა და კორუფციის გამოვლენებთან ბრძოლის ადეკვატურ ღონისძიებათა გატარება;
- მოსახლეობის სამეწარმეო კულტურისა და განათლების დონის ამაღლება;

თემის სამეწარმეო მობილიზაციის განხორციელების შედეგად ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლები მკვეთრად გაიზრდება, გაუმჯობესდება საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამიტომ ამ პროექტს ექნება მაგალითის ძალა სხვა თემებისთვისაც. თავის მხრივ, სათემო ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირება განისაზღვრება იმ მატერიალური რესურსებით, რომელიც წარმოიშობა კონკრეტული სამეურნეო პროექტის განხორციელებით. სწორედ ამიტომ, თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროექტებს შეექმნებათ რეალური სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ობიექტური საფუძვლები.

ხელისუფლების კეთილი ნების პირობებში თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს მთავრობის მიერ დეკლარირებული პროექტის „ასი გადამამუშავებელი საწარმო სოფლად“ ფარგლებში!

\* \* \*

ქართველი ხალხის ისტორიულმა ორგანულმა კავშირმა მიწასთან მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი ეთნოფსიქოლოგიური და ეთნოკულტურული საფუძვლების შექმნა და განვითარება. მიწა ქართველი გლეხკაცისთვის არა მარტო წარმოების საშუალებაა, არამედ მისი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული სუბიექტის, არსის განმსაზღვრელიც. მიწისაგან გლეხკაცის მოწყვეტა გამოიწვევს არა მარტო მისი, როგორც მეწარმე ინდივიდის, ფუნქციის მოსპობას, არამედ, რაც უფრო

ახალი ეპონიმი

1 მამუკელაშვილი დ., კოლაშვილი პ., „თემის სამეწარმეო მობილიზაცია“, ჟურნალი, „ბიზნესი და კანონმდებლობა“, №6, 2010.



მნიშვნელოვანია, სოფლის როგორც ეროვნული კულტურის საძირკვლის, ყოფა-ცხოვრების წესის შემოქმედის, შემნახველისა და განმანახლებლის ფუნქციის მოშლასაც.

დღეს ქართველი გლეხკაცი, როგორც მიწის მესაკუთრე – მისი პოტენციური მიდეველი, მომხმარებელი, მფლობელი და გატირების გამო გამყიდველი – არაკონკურენტუნარიანია მრავალ სხვა სუბიექტთან მიმართებაში. ამ უკანასკნელებს შესაძლებელია მიწის ეს ნაკვეთი სხვა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის უხდოდეთ, აგარაკების აგებით დაწვევული და სხვა, ხროტი ქვეყნებში წასადგებად ნაყოფიერი ზედაფენის მოკრით დამთავრებული.

ამიტომ, აქამდე არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ფონზე, განსაკუთრებულად ფორხილ დამოკიდებულებას საჭიროებს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის, ყიდვა-გაყიდვის და გირავნობის საკითხი. სერიოზულ განსჯას მოითხოვს საქმიანობა, რომელსაც იპოთეკურ დარეგულირებაზე ორიენტირებული საფინანსო ორგანიზაციები ახორციელებენ. მეწარმეთა სამეურნეო საქმიანობის განვითარების მიზნად იღვწიანების ფონზე, ისინი კრედიტებს ვაცემენ მიწისა და სხვა ლიკვიდური ძირითადი კაპიტალის გირავნობით, რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალი ფასით. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არსებულ პირობებში ეს საქმიანობა შეიძლება რეალიზად გადაიტაცეს მოსახლეობის „ცივილიზებული“ ბარცვის კიდევ ერთ „ფეფქტიან“ მექანიზმად, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის ყველაზე მძიმე შედეგებით, რადგან განვალკეველი, ინდივიდუალურ სამეწარმეო საქმიანობას მიუჩვეველი, სხვადასხვა ხასიათის მრავალ შიდა თუ გარე პრობლემებთან დაპირისპირებული, საჭირო ხელშეწყობას მოწყვეტილი გლეხები უტეტეს შემთხვევაში ვერ ახორციელებენ წარმატებით თავიანთ სამეურნეო საქმიანობას. ამიტომ ისინი იძულებულნი ხდებიან უედიღურესი გატირების გამო, გაყიდონ ან სამეწარმეო საქმიანობის გამოწვორების იმედით დააგრაჟონ მათ საკუთრებაში არსებული მიწა, რასაც თან ახლავს მათთვის გამოუსწორებელი შედეგები და რისი გამართლებაც საქართველოში მიწისა და იპოთეკური კრედიტების ბაზრის განვითარების არგუმენტებით, რა თქმა უნდა, დაუშვებელია.

მიმდინარე პერიოდში მიწის ყიდვა-გაყიდვისა და გირავნობის საკითხს, როგორც სოციალურ-

ეკონომიკური, ასევე უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება არ გავისვენოთ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მაგალითი საქართველოს ცხოვრებიდან, როცა ქვეყანაში კერძო მიწების უმრავლესობა შეეხსება მარწუხებში იყო მოქცეული. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის დაშვება, რომ ქართული გლეხობა მოწყდეს მიწას და არ იყოს მისი მესაკუთრე. სწორედ სათემო ორგანიზაციებს ყველაზე მეტად ხელწყოვბათ შექმნან გლეხობის მიერ საერთო სამეურნეო საქმიანობის წარმატებით განხორციელების საფუძვლები, რაც მიწის განკერძოებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მკაცრი საზოგადოებრივი და სახელმწიფო კოორდინირების ჩარჩოში მოაქცევს.

საქართველოში ჩატარებულ მიწის რეფორმასა და საწარმოთა რესტრუქტურისაციას წვრილი ნატურალური და ნახევრად ნატურალური გლეხური მეურნეობების შექმნა მოჰყვა, რომელთაც არა აქვთ დიდი პერსპექტივები ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფაში. ამასთან, ამ მეურნეობებს არა აქვთ სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაღალმოსავლიანი ჯიშის სათესლე მასალისა და შამაქიმიკატების შექმნის საშუალებები, მოკლებულნი არიან სრულყოფილ სერვისულ მომსახურებას და ა.შ. ამ და სხვა პრობლემებს ეს მეურნეობები ერთპიროვნულად და დამოკიდებულად ვერ წყვეტენ, რის გამოც ვერ აწარმოებენ საჭირო რაოდენობის და ხარისხის პროდუქციას. თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ სათანადოდ არ არის მათი ურთიერთობები დარეგულირებული სახელმწიფოსთან, ბანკებთან, გასაღების ობიექტებთან და სხვა, გასაგები გახდება მიწაზე ახლად შექმნილი მეურნეობების ფორმების, მათ შორის გლეხურ-ფერმერული მეურნეობების პრობლემები და სავალალო მდგომარეობა.<sup>2</sup> დაქუცმაცებული სოფლის მეურნეობის საწარმო ბაზის გამსხვილება-გამასივება ნებაყოფლობით საფუძვლზე მიწის წვრილ მესაკუთრეთა გაერთიანების გზით ყველა შემთხვევაშია განსახორციელებელი.

საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაში (რასაც განაპირობებს მრავალფეროვანი ბიოეკოლოგიკური პირობები, ურთულესი ვერტიკალური ზონალობა), მცირე სიდიდის ფერმათა სიჭარბე არ არის სავანგაშო, რამდენადაც ჩვენში, ისევე როგორც ქვეყნების

ახალი მაცონისტო

00872

<sup>2</sup> კოლაშვილი პ., აგრარული რეფორმა: შედეგები და პერსპექტივები, თბ., 1998





უმრავლესობაში, მათი ოპტიმალური სიდიდე ადგილობრივი ბიოგეოკლიმატური პირობებით, კულტურათა მოვლა-მოყვანის სპეციფიკურობითა და აგრომრავალდაზარალებლობით არის განპირობებული. მცირე აგრომეურნეობათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი გზა მიწაზე მეურნეობრიობის კოოპერატიული ფორმის დაფუძნებაა. მეურნეობრიობის ეს ფორმა გარკვეულწილად ხსნის როგორც მიწის დამუშავების, ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის პრობლემებს და საფუძვლს უქმნის შემდგომ ეტაპზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანაცვრეაციის უფრო მაღალი ღირსის მქონე სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმების შექმნას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მკაცრად ნებაყოფლობით საფუძველზე უნდა შეიქმნას თითოეული მონაწილის მიერ შეტანილი პისი (წლის) საფუძველზე. მათი დაფუძნებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება (კერძოდ, მისაღებია კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, მიწის მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნის წესი და დებულება), რომელშიც, "შეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კოოპერატივებისაგან განსხვავებით, აისახება მიწაზე მეურნეობრიობის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სპეციფიკური თავისებურებანი და რეგულირების საშუალებები, რაც საჭიროა მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის. კანონმა "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" უნდა დაარეგულიროს ამ ფორმის საწარმოთა ორგანიზაციის, ფუნქციონირების, სახელმწიფოსთან ურთიერთობის (ძირითადად, გადასახადების) და სხვა საკითხები.<sup>3</sup>

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დასაფუძნებლად, მიწის მესაკუთრეთა თანამონაწილეობასთან ერთად, ყველაზე რეალურ და პერსპექტიულ საშუალებად უცხოური კრედიტების (შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთით) და გრანტების მოზიდვა უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნული წესით დაფუძნებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ექნებათ შეიძინონ მიწის სავარგულების დასამუშავებელი მანქანა-იარაღები, საჭირო ინვენტარი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის აღწარმოებისათვის საჭირო მატერიალური

საშუალებები (მინერალური სასუქები, მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები და ა.შ.), შექმნან წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის საჭირო პირობები (დიდ ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში და დასახლებულ პუნქტებში) და, საბოლოო ანგარიშით, მიადწიონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალ კონკურენტუნარიანობას.

კოოპერატივს აქვს რამდენიმე უპირატესობა სხვა ორგანიზაციულ სტრუქტურებთან შედარებით. ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს ფერმერების მჭიდრო და საქმიანი ურთიერთდამოკიდებულება.

დაბალი შემოსავალი ფერმისთვის წარმოადგენს დიდ პრობლემას. ფერმერთა უმრავლესობა საქონლის მხოლოდ თვითღირებულების დაფარვას ახერხებს. ერთობლივი მუშაობა წარმოადგენს პრობლემის პროვარების საუკეთესო საშუალებას. კოოპერატივების შექმნა ფერმერებს უმჯობესებს ვაჭრობას, ხდის მათ უფრო თვითდაჯერებულს გარიგების/შევაჭრების პროცესში და უზრდის საბაზრო ცოდნას.

კოოპერატივი ფერმერებს აძლევს ბიზნესის განვითარების შესაძლებლობას. ეს არის ერთობლივი მუშაობისა და მიღებული შემოსავლის ერთმანეთში გაზიარების მექანიზმი. თუმცა კოოპერატივი არ არის წარმატების გარანტია, ის მაინც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ფერმერებისთვის წარმატების მისაღწევად. კოოპერატივების საშუალებით აგრარული სექტორი შეიძლება განვითარდეს ძალიან სწრაფად და ფერმერებს მიეცეთ შესრულებული სამუშაოების გაუმჯობესების საშუალება.

ფერმერების თანამშრომლობა ბრკოლდება იმის გამო, რომ კოოპერატივები დაფუძნება სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ყოველგვარი მხარდაჭერისა და კონსულტაციების გარეშე ხდება. ეს მათი ინტერესები როლი სოფლის მეურნეობის სამინისტროს აკისრია.

სოფლად მცხოვრებთა მისაღები პირობების შექმნის მიზნით, აუცილებელია სასოფლო რაიონების ინსტრუქციონალური მოწყობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, ფერმერთა საკონსულტაციო-ინფორმაციული მომსახურებისა და წინასწარი გაფრთხილების (პროგნოზირების) სისტემის შექმნა და ამოქმედება, მიწის წერილ მასაკუთრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებების შექმნა და მათი საწარმოო და მარკეტინგული კოოპერირება, აგროტექნოლოგი

ახალი მეორისობა

<sup>3</sup> კოლაშვილი პ., საქართველოს სასურსათო უშიშროება: რეალობა და პროგნოზები, „კოლორი“, თბ., 2004



სერვისის, ორიგინის და დრენაჟის სისტემის აღდგენა და განვითარება, კრედიტებსა და წარმოების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ურთიერთდახმარების, კოოპერაციული ტიპის სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რასაც საფუძველი ძირითადად სახელმწიფომ უნდა ჩაუყაროს და სხვა.

\* \* \*

ფერმერებს, მათ გაერთიანებებს აუცილებლად ესაჭიროებათ სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნა, რადგან ფინანსების (კრედიტების) ხელმისაწვდომობის გარეშე შეურუნეობა ვერ განვითარდება. მსოფლიო გამოცდილებამ და საქართველოს ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აგროკრედიტის სისტემის (თანამედროვე აგროკრედიტების სისტემა წარმატებით მოქმედებს: საკრანცეუტში – ურთიერთდახმარების აგროკრედიტი, აშშ-ში – ფერმერთა საკრედიტო სისტემა, გერმანიაში – რაიფენზის კრედიტი, ბელგიაში – ბრენდენბონდი, პოლანდიაში – რაბოლანკი და ა.შ.) შექმნის გარეშე, მხოლოდ კომერციული ბანკები ვერ უზრუნველყოფენ აგრარული სექტორის ნორმალური ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას, რადგან ისინი თვლიან, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათი წარმატებული საქმიანობისათვის არახელსაყრელია. კომერციული ბანკები გამოდიან იმ ფაქტებიდან, რომ აგრარული რეფორმა ჯერ არ დამთავრებულა და არ შექმნილა მიწის თავისუფალი ბაზარი, შესაბამისად არ არსებობს გაცემული კრედიტიდან მოგების ან კომპენსაციის მიღების გარანტია. ამას ემატება ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტის უქონლობა, როგორცაა გამართული სადაზღვეო სისტემა და ა.შ.<sup>4</sup>

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ კომერციული ბანკები და ამ ტიპის სხვა სტრუქტურები, თავიანთი სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაზრო პრინციპებისა და მუდმივი კონკურენციის პირობებში საქმიანობას აგებენ მაღალ მოგებაზე და, რაც მთავარია, შემცირებული რისკის პირობებზე. ამიტომაც, რომ ყოველთვის და ყველგან ისინი არ წარმოადგენენ საიმედო პარტნიორებს. ეს ნიშნავს, რომ აგრომწარმოებლები კრედიტს მიიღებენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ ეს ნაკლებად სტიმულებათ, ანუ იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ფინანსური შესაძლებლობანი, საბაზრო ინფრასტრუქტურისა და ფასების გამო, შედარებით დამაკმაყოფილებელია. ასეთი სიტუაცია განსაკუთრებით მტკივნეულია,

როდესაც საქმე ეხება ე.წ. ნაკლებ- განვითარებულ ქვეყნებს. როგორც წესი, ამ დროს კომერციული საბანკო სისტემა ჯერ კიდევ სუსტია, აქტიუმი მწირი, ხოლო გაკოტრების შანსი მაღალი. ასეთ სიტუაციაში მათი საქმიანობის პრიორიტეტი მიმართულია მხოლოდ გარანტირებული უკუგების მქონე სფეროებზე. ამიტომ ისინი თავს იკავებენ უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კაპიტალის დაბანდებისაგან. სწორედ ასეთ სიტუაციაში იძიოფება დღეს სქარაველის სოფლის მეურნეობა, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია.

საკრედიტო რესურსით აგროსექტორის გარანტირებული უზრუნველყოფა მხოლოდ კომერციული დაწესებულებების გამოყენებით პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან კერძო სტრუქტურა ქვეყნის აგრარული პოლიტიკის პრიორიტეტული განაწილების ვერ შეძლებს ნეიტრალიტეტისა და ობიექტურობის დაცვას.

დასახელებული ფაქტორებისა და საქართველოს ბიუჯეტის მწირი შესაძლებლობების გათვალისწინებით, კრიზისიდან გამოსავალი იმ გამოცდილების ათვისებაზე და ადგილობრივი პირობებისთვის მისადაგებაა, რომელიც განვითარებული ქვეყნების აგრარული კრედიტის სფეროშია დაგროვილი. აქ კარგადაა მერწყული სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა. სახელმწიფო რეგულირებასა და კონტროლზე აგროსასურსათო სექტორის გადაყვანა მათი გამოცდილების მთავარი მონაპოვარია.

საქართველოში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ პრობლემის რეალურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური აგრარული საკრედიტო სისტემის (სასს) ფორმირებით.

აგრარული საკრედიტო სისტემის საერთო დამახასიათებელი ნიშნებია:

**პირველი,** სახელმწიფო მხარდაჭერისა და რეგულირების პოლიტიკის არსებობა;

**მეორე,** აგრარული საკრედიტო სისტემის პრინციპული განსხვავება ჩვეულებრივი საბანკო-საკრედიტო სისტემისაგან (რაც ძირითადად მის მიზნობრივ ხასიათში ანუ დარგობრივ პრინციპში პოულობს ასახვას);

**მესამე,** აგრარულ სექტორთან დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში ამ სისტემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი;

**მეოთხე,** აგრარული საკრედიტო სისტემის

სახელმწიფო რეგულირებისა და კერძო ინსტიტუტების მუშაობის სპეციფიკა

<sup>4</sup> კოლუაშვილი პ., ზიზიბაძე გ., სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, თსუ, თბ., 2006



გაეროვბა ადგილობრივ რეგიონულ და ცენტრალურ ღონეზე;

**მეხუთე.** თითოეული დონის ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრა და მკვეთრად გამოჯვანა;

**მექვესე.** მუშაობის პროცესში ურთიერთსოლიდარობის პრინციპის არსებობა (თუცა სხვადასხვა სისტემაში ეს განსხვავებული ხარისხით ვლინდება).

აგროკრედიტის სისტემა არ მუშაობს დევიდენტების განაწილებაზე. იგი მიღებულ მოგებას საკუთარ საბრუნავ კაპიტალში აბრუნებს და პერმანენტულად ზრდის სესხის გაცემის მასშტაბებს. სესხის მიღებისათვის არც მატერიალური გარანტიებია საჭირო და არც წინასწარ შედგენილი ბიზნეს-გეგმა. აქ მთავარია ურთიერთობა – ნდობა, პასუხისმგებლობა, რომელსაც კოოპერატიული გაერთიანების, როგორც ერთი ოჯახის, წევრობა წარმოშობს.

სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის ფორმირების შემდეგ შეიქმნება რეალური პრობა ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის დაფინანსება-დაკრედიტების მწყობრი სისტემის არსებობისათვის. ასეთ სიტუაციაში, სპეციალურ საკრედიტო სისტემასთან ერთად, წარმოიქმნება მჭირი პირობები ამ სექტორის დაკრედიტებაში სხვადასხვა

ორგანიზაციული სტრუქტურების მონაწილეობისათვის. მათ შორის მნიშვნელოვანი იქნება: სახელმწიფო ბიუჯეტის, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ინდივიდუალური კრედიტორების, ურთიერთდახმარების ადგილობრივი სალაროების და სხვა ალტერნატიული წყაროების მონაწილეობა.<sup>3</sup>

აგროკრედიტის სისტემის შექმნა საჭიროებს აუცილებელ რეგულირებასა და კოორდინაციას, განსაკუთრებით საწყის ეტაპზე. მსოფლიო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ აგრარულ სფეროში პერიოდული ხელოვნური ჩარევები გარეშე შესაძლებელია გამოუსწორებელი უკუფეკტის მიღება. ამიტომ აგროსასურსათო სექტორის დაკრედიტების სისტემის შექმნისა და პროცესების რეგულირების საკითხში სახელწიფოს მონაწილეობა აუცილებელია დონისძიებაა.

აგროკრედიტის სისტემის ფუნქციონირების მთავრი მიზანი უნდა იყოს აგროსასურსათო სექტორის საწარმოო და არასაწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხელშეწყობა; საინვესტიციო პროცესების რეგულირება; შიდა ბაზარზე სოფლის მეურნეობის

პროდუქციაზე მოთხოვნილების რეგულირება; საექსპორტო პროდუქციის სტიმულირება და სხვა ადენა, საქართველოში მეწარმეობისა და აგრობიზნესის განვითარებისთვის მიმდინარე ეტაპზე გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ეუექტიანი საკრედიტო-საფინანსო მექანიზმის ჩამოყალიბება. პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია სპეციალური აგრარული საკრედიტო (ურთიერთდახმარების, კოოპერატიული ტიპის) სისტემის (სას) ფორმირებით, რომელიც, ერთი მხრივ, დაფუძნება მსოფლიო აგრო-საკრედიტო სისტემის პრაქტიკას და გამოცდილებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეჯერებული იქნება ქართული სოფლის სპეციფიკასთან.

აგროკრედიტის სისტემის შემოთავაზებული ვარიანტი წარმოადგენს აგრარული სექტორის ძირითადი ფონდების რეკაპიტალიზაციის აქტიური პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტს. იგი ძირითადად დაფუძნებულია მისი წევრების კოოპერირებული სახსრების უფრო ეუექტიან გამოყენებაზე, რომელიც სესხის მიღების შედარებით გაიოლებული პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით, ურთიერთნდობით, სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კორუფციის გამოიცხვით მიიღწევა.

\*\*\*

რაც შეეხება დარგობრივ პრიორიტეტებს, აქ უპირველესად ყურადღება უნდა მიექცეს იმპორტანაცვლებადი და ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებას (რისთვისაც შესამუშავებელია სპეციალური სახელმწიფო პროგრამები), შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. მათ შორისაა: მარცვლეული (ხორბალი, სიმინდი, ქერი, შვრია, ჭვავი. შესაბამისი აგროტექნიკისა (მ.შ. მაღალი რეპროდუქციის თესლი) და ტექნოლოგიის პირობებში პირველ ეტაპზე (300000 ჰა-ზე) შეიძლება ვაწარმოთ 1,1-1,2 მლნ ტონა მარცვლეული, ხოლო შემდგომ ეტაპზე (350000-400000 ჰა-ზე) 1,4-1,5 მლნ ტონა, მ.შ. ხორბალი მოთხოვნილების (650-700 ათასი ტონა) 65-70% -ის ფარგლებში (450-490 ათასი ტონა). მიწათმოქმედების ინსტიტუტის ტექნოლოგიურ რუკებზე დაყრდნობით შესრულებულმა გაანგარიშებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში წარმოებული 1 ტონა ხორბალის ღირებულება 50-60 დოლარით

ახალი ამონომისტი

<sup>3</sup> კ. კოლუაშვილი., თ. კუნჯულია, სპეციალური აგროსაკრედიტო სისტემის შექმნისა და სახელმწიფო რეგულირების საკითხისათვის, ყურნალი "ეკონომიკა", თბ., 2002 №1-2



ნაკლები იქნება დღეისათვის ქვეყანაში იმპორტირებული ხორბლის ფასთან შედარებით), მეცხოველეობა და მისი პროდუქცია, ზეთოვანი კულტურები (მუხეშვირა, სიმინდი, სოია). ასევე: ხილი (მ.შ.სუბტროპიკული), თხილი, კაკალი, ყურძენი, ჩაი, ბოსტნეულ-ბაღმეული (თითქმის ყველა რაიონში), კარტოფილი, აბრეშუმი, თაფლი და მათი გადამუშავების პროდუქტები.

საქართველოს ძირითადად ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციით შეუძლია შეადგინოს და დამკვიდრდეს ევროპულ ბაზარზე. მან მისი მცირემიწიანობიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გააკეთოს არა წარმოების მასშტაბსა და რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროპროდუქციის წარმოების განვითარებას, რომლის საწარმოო ბაზა ქვეყნის მთელი მთიანეთია.

საქართველოს მთასა და მთისწინეთში მეცხოველეობის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სასიცოცხლო არტერის – მთიანეთის აღორძინებისა და თავდაცვის უპირველესი პირობა იქნება (მეცხოველეობის საკვები ბაზისა და ჯღვის სტრუქტურის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ქვეყანაში შეიძლება ვიყოფილი 1,7-1,8 მლნ სული მრ. ცხვარი და თხა – ზაფხულში 2,0-2,5 მლნ, ხოლო ზამთარში 1-1,5 მლნ სული. აქვე უნდა აღინიშნოს, მატყლიის დამზადების მნიშვნელობის შესახებ, რომლის გარეშე დარგის განვითარებაზე საუბარი მეტად რთული იქნება).

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ისეთი სწრაფმწიფიანი და მაღალი უკუგების დარგები, როგორიცაა მეფრინველეობა (შეიძლება ვიყოფილი 30-35 მლნ ფრთა და ვაწარმოთ 1,350 მლნ ცალი კვერცხი) და მეთევზეობა (სატბორე მეურნეობათა შესაძლებლობების გათვალისწინებით, თაისუფლად შეიძლება ვრეწოთ 70-75 ათასი ტნა ნედლი თევზი). აქ ყველა რეზერვა საკუთარი წარმოების პროდუქციით მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის.

სოფლის მეურნეობაში და მასთან დაკავშირებულ დარგებში სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით უნდა გააქტიურდეს საინვესტიციო პროცესები, ინოვაციური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების დანერგვა.

\*\*\*

შესამუშავებელია აგროსასურსათო სექტორის განვითარების ხელშეწყობი და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა,

რომელშიც პრაქტიკულად მოიაზრება ეკონომიკური მექანიზმის ყველა ელემენტის გააქტიურება. მისადგობა კანონები: „საქართველოს სასურსათო უშიშროების შესახებ“; „მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და ეკოლოგის შესახებ“; „აგროპროდუქციის აღწარმოებისთვის საჭირო პროდუქციაზე ფასების პარიტეტის დაცვის შესახებ“ და სხვა, რომლებმაც უნდა შექმნას საკანონმდებლო გარემო ქვეყანაში აგროწარმოების აღორძინებისა და უმდგომი განვითარებისათვის.

მთავრობამ უნდა მიიღოს აგრარულ პოლიტიკის ახალი კონცეფცია სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალად აგრარული, არამედ უფრო ფართო, – სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, განვითარების – პოლიტიკა იგულისხმება, ანუ შეახამოს ერთმანეთთან აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა.

ამასთან ერთად,

– სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისას მთელი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კულტურების (დარგების) წარმოება-განვითარებას, რომლითაც შეგვეძლება „საქეყნო და შინაური ფაქტორაში თავის გამოჩენა და ეკონომიკური სარგებლის მიღება“ (ი. ჭავჭავაძე).


– არსებითია, რომ ხელი შეეწყოს სახელმწიფოს გადაქცევას ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამკვეთად, არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლადაც იმ შემთხვევაში, თუ – საჭირო იქნება ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზაცია.

სოფლის მეურნეობაში არსებული სისტემური კრიზისის დაძლევის მნიშვნელოვან გზას მოსახლეობაში ცოდნის დეფიციტის აღმოფხვრა წარმოადგენს; რაც შესაძლებელია მსოფლიოში აპრობირებული „სწავლება-კონსულტირება-დანერგვის“ სქემის გამოყენებით. მის დაფინანსებას ახდენს სახელმწიფო. მდგომარეობა ასეთია: ხარჯები, რომელსაც ეწევა სახელმწიფო მეწარმეთა განათლებასა და კონსულტირებაზე, გაცილებით ნაკლებია იმასთან შედარებით, რასაც მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად ბიოუკტში შეიტანენ სოფლის მეწარმეები.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისადმი სახელმწიფოს დღევანდელი უყურადღებო დამოკიდებულების პირობებში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზად

ახალი მკერდისტი





ახალი აკონისი

წარმოებული პროდუქციის ფორმალური შესყიდვის ორგანიზება უნდა მიეჩინოს. აქ საუბარია პროდუქციის შესყიდვის მსოფლიოში აპრობირებული ფორმების გამოყენებაზე. მაგალითად, როგორცაა მარეცლულის შესყიდვა სერტიფიცირებული საწყოების მეშვეობით, რომელშიც სამი სუბიექტი მონაწილეობს: გლეხი (ფერმერი), სერტიფიცირებული საწყოების მესაკუთრე და კომერციული ბანკი (ან სხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულება).

ჩამოთვლილ პრიორიტეტებს ინტერესთა კონფლიქტი ფაქტობრივად არ გააჩნია. მაქსიმალური სინერგიული ეფექტი ყველა მათგანის სრულად, სისტემურად განხორციელების შემთხვევაშია მოსალოდნელი.

ამრიგად, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობი (პროდუქციის წარმოების, ფასების სწორად განსაზღვრისა და რეალიზაციის) სამი ძირითადი პირობა:

- ბაზრებთან კავშირი და კონკურენცია;
- განვითარებული აგრარული სერვის-სტრუქტურები;
- კრედიტების ხელმისაწვდომობა.

დასასრულ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან და მეგობარ ქვეყნებთან თანამშრომლობაში, მთავარი ადგილი უნდა მიენიჭოს აგრობიზნესის დარგებში დაკრედიტების, პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის პროგრამების, საბაზრო მარეგულირებელი

სტრუქტურების დაფინანსების საკითხს.


სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში მეურნეობრიობისთვის საჭირო პირობებისა და ეკონომიკური სტიმულირების მექანიზმის შექმნას, აღწარმოების მასშტაბების გადიდებას და კონკურენტული გარემოს ფორმირებას, რომელიც მყარ გარანტიებს შექმნის კოოპერატიული გაერთიანებების ჩამოყალიბების, სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაჭრის და სოფლად ყოფა-ცხოვრების აღორძინებისათვის.

დასახული ამოცანების სისტემური გადაწყვეტა გადაუდებლად მოითხოვს აგრომწარმებთან და აგრარულ მეცნიერებასთან პარტნიორობას, აგროწარმოებისადმი მხარდაჭერას, შესატყვისი ეკონომიკური გარემოს ფორმირებას (ახალი სამეურნეო სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტექტიკა, კადრების ნება, კადრების სწავლება), დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულებათა გარდაქმნას, მეცნიერულ-ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების დანერგვას, რაც ძირითადად მთავრობის ნებაზეა დამოკიდებული.

საქართველოს ეკონომიკური (მათ შორის სასურსათო) უშიშროება დამოკიდებული იქნება საკუთარი შრომით შექმნილ გარანტიებზე, რომ ქართველი კაცი დაუბრუნდება, ააღორძინებს სოფელს და შიმშილით არ მოკვდება. ხალხური თქმულება გვეუბნება: „სოფლად ნუ ჩაჰკლავ სიცოცხლეს, ქალაქი წაგვიხდებო.“ ეს მუდამ უნდა გვახსოვდეს!



FOR THE CONCEPTION OF GEORGIAN AGRICULTURE POLITICS



PAATA KOGUASHVILI,  
GTU, full Professor, Doctor of Economic Sciences.

The modern agrarian politics of Eurounion represents homogenous standard for nonmember countries and consequently it will prove useful to our country too. Indisputably, Georgia has a great potential of agriculture development, which set in motion must become the basic purpose of agrarian politics.

The tendention of transferece of farmers and the members of their families alerts the state to work out not just the agrarian but more extensive politics of developing a country as a territorial unit (institutional and infrastructural arrangement) or connect social and existing problems with each other and look for the ways of complex settle of the problem.

For the renaissance of the sector of agriculture "The Community Entrepreneurial Mobilization Program" must be settled. The program concerns the development of cooperative relations and inter-branch integration in rural areas. Also, for the renaissance of agricultural sector it is necessary to work out a special state program with properly determined preferences (including field programs). It is possible to get a good benefit in the market by creating co-operatives. In particular, agro-co-operations can increase that income, which we get from the market system. To seek success co-operations should guess economical stimulation mechanism and for this the farmers should do their best and provide the market with safe product by the name of co-operation.

Unification in co-operation for the farmer means to get many profits, from the marketing point of view. This includes: problem of transportation, problem of selling, keeping, decreasing expanses on unit productions, taking production abroad and etc.

In Georgia there are all the preconditions to develop marketing co-operations at villages and creating special agrarian credit system. That firstly reflects on farmers successful works and than on the country's economics and mostly, on agrarian sector's revive.

In conclusion, the development of agrobusiness depends on three main terms:

- the conection with markets and competition;
- the agrarian structures (that serve farmers, their co-operations in the developement of production),
- the avaliability of credits.

The regulatory role of the state will support the formation of the mechanism of economic stimulation and create the proper conditions for rural economy; it will also support the enlargement of scale of production and form the competitive environment, which will create the solid guarantees for formation of cooperative entities; the settlement of problem of food safety; and the regeneration of well-being at villages.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია





ემზარ ჯულაყიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი,



შალვა ჯულაყიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სახელმწიფო უნივერსიტეტი


არაინ უარყოფს იმას, რომ მცირე ბიზნესი საქართველოს დღევანდელი ეკონომიკის უმთავრესი საყრდენი უნდა გახდეს. თუმცა მიგვაჩინია, რომ მათი არასათანადო მენეჯმენტის გამო, სრულად ვერ რეალიზდება ბიზნესის ორგანიზაციის ამ ფორმის უპირატესობები. მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ამ სფეროს მეწარმეთა უმეტესობა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის უმთავრესად ფინანსურ რესურსებს ნაკლებ ხელმისაწვდომობასა და საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებას ასახელებენ. მაშინ როდესაც, სხვა განვითარებულ ქვეყნებში საქართველოსთან შედარებით უფრო მაღალი განაკვეთებისა და მკაცრი ადმინისტრირების საგადასახადო კოდექსი და სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მოქმედებს. აღნიშნული პრობლემების ერთ-ერთ პირველ ფაქტორად ჩვენ ფორმის საწარმოო პერსონალის მართვის და საერთოდ, ბიზნესის გაძღოლის არასათანადო უნარი მიგვაჩინია.

ერთის მხრივ, საქართველოს საგადასახადო და საბაუო კოდექსის, მეწარმეთა კანონისა და სხვა მარეგულირებელი კანონმდებლობის სირთულე და მეორე მხრივ, მცირე მეწარმეთა დაბალი პროფესიონალიზმის გამო, ხშირად იდვის დონეზე წარმატებული მცირე ბიზნესი, პრაქტიკული განხორციელებისას კრიზისულ სიტუაციაში ვარდება. რაც, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბიზნესის წარმატებისათვის მხოლოდ მეწარმეობის სურვილი არაა საკმარისი, თუკი მას ხელმძღვანელობას არ უწევს კვალიფიციური მენეჯერი.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მეწარმეთა უმეტესობა ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, თამამად იყენებს მმართველობითი კონსალტინგის მომსახურებას, ან თვითონვე იმადლებს კვალიფიკაციას ფინანსების, ლოჯისტიკის, პერსონალის მართვის, მარკეტინგის, მენეჯმენტისა და სხვა მეცნიერებათა საკითხებში. მაშინ, როდესაც ქართველი მეწარმე ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე მიწვევას შეურაცყოფად აღიქვამს. არადა, ჩვენი აზრით, მცირე ბიზნესის მენეჯმენტის აქტიურობის ქუსლია სამეურნეო საქმიანობის სწორი აღრიცხვა, ბაზრის მარკეტინგული შესწავლა, განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავება და რაც მთავარია - პერსონალის მართვის უნარი.

როგორც წესი, ამ ტიპის სტრუქტურებში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვას, დოკუმენტწარმოებას, ხშირია ორმაგი ბუღალტერიის წარმოების ფაქტებიც. დაბალანაზღაურებადი დაქირავებული ბუღალტრის არასათანადო კვალიფიკაციის გამო ხშირად სწორად ვერ ხდება სიტუაციის აღქმადური შეფასება. სამეურნეო ხელმძღვანელი მეცნიერული გამოკვლევებისა და უტყუარ ინფორმაციაზე დაყრდნობილი განავარიშვებების ნაცვლად, მმართველობითი გადაწყვეტილება ყერდნობა ფაქტიურად მხოლოდ მის ინტუიციას, რასაც ხშირ შემთხვევაში წარუმატებლობისაქენ მიყვარათ. ასევე, მეწარმეობის უმეტესობა მცირე ბიზნესის მართვისას ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სტრატეგიულ მიდგომებს. მათი უმეტესობა, მიმდინარე ბიზნეს-გეგმებსაც იშვიათად ადგენენ, რადგან ისინი წარმოდგენენ თავდაჯერებულ





პერსონებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაქირავებული პერსონალი და თუნდაც კონსულტანტები ეკონომიკურ საკითხებში მხოლოდ დამხმარე ძალაა დასახული ამოცანების გადაჭრაში. არადა, ასეთი მენეჯერები ხშირად ეფერც კი აცნობიერებენ ოპერატიული ამოცანებისა და სტრატეგიული მიზნების გამიჯვნის აუცილებლობას.

დიდია მცირე ბიზნესში კვალიფიციური პერსონალის როლი, რადგან თითოეული თანამშრომლის არაეფექტური ქმედება მნიშვნელოვნად აზარადებს ფირმას და ამცირებს მის კონკურენტუნარიანობას. მაღალტექნოლოგიურ დარგში მოღვაწე ფირმები მასობრივი უმუშევრობის პირობებშიაც კი ვერ პოულობენ სათანადო კადრებს, რადგან ამ მათმა ნაწილმა განიცადა დეკალიფიციაცია, ხოლო კვალიფიციური ნაწილი უარს ამბობს შეთავაზებულ დაბალ განმარჯვლოსა და არაპერსპექტიულ კარიერაზე. პროფესიონალითაის უფრო მიმსიდველად მსხვილ სტრუქტურებში მუშაობა, რადგან მეტია იფარჩიულ საფეხურებზე ასვლის შანსი. აღნიშნულ პროცესზე გავლენას ახდენს ასევე მცირე ბიზნესში კადრების შერჩევისა და დაქირავების დამკვიდრებელი პრაქტიკა, რომელიც უპირატესად არაფორმალური ხასიათისაა. არადა, სამუშაოზე მიღება და დაქირავებულთა შრომის ორგანიზაცია საქმოდ რთული საქმეა. ეს იწყება იმ პირთა შესწავლით, რომლებსაც უნდა გადაეუხადონ ხელფასი, მათ მიერ დახარჯული შრომისა და მიღწეული შედეგების მიხედვით. ამრიგად, პირველ რიგში, კარგად უნდა განისაზღვროს ყოველი თანამშრომლის წვლილი საერთო საქმეში, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს საერთო წარმატებას. მიუხედავად აღნიშნულისა, სამეურნეო პრაქტიკა ფაქტიურად მის საპირისპიროს გვიჩვენებს, ანუ ბევრი მენეჯერი კადრების სათანადო შესწავლის გარეშე იწყებს მომუშავეთა შერჩევას და მათ განაწილებას სამუშაო ადგილებზე იმ მოსაზრებით, რომ ამ პროცესში სათანადო ცვლილებების შეტანას ყოველთვის შეუძლებს. მაგრამ არ უნდა დავიწყეთ, რომ მომუშავეს დათხოვნა, ან მისი თანამდებობრივი ჩამოქვეითება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე მისი მიღება.

როგორც აღინიშნა, მცირე ბიზნესის მართვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოს პერსონალის მართვა, რომელზეც უშუალოდაა დამოკიდებული ფირმის სამეურნეო საქმიანობის შედეგები. მცირე საწარმოებში მენეჯერს არ შეუძლია შექმნას მართვის რთული

ორგანიზაციული სტრუქტურა. ის ასევე უზღუდულია იმაშიც, რომ პერსონალის მართვაში ფართოდ გამოიყენოს ფორმალური პროცედურები. პერსონალის მართვის ეფექტურობა მცირე საწარმოში დამოკიდებულია უფრო მეტად ხელმძღვანელის პიროვნულ თვისებებსა და მის უნარზე, რომლებიც თანამშრომლებს უქმნის მოტივაციას, რომ მათ საუკეთესო უნარჩვევები და შესაძლებლობები მოახმარონ ამ ფირმას.

მცირე ფირმებში საწარმოს პერსონალი უნდა წარმოადგენდეს ერთმანაზროვნეთა ჯგუფს. საერთო მიზნები, რომლის მისაღწევადაც იღრტვის ფირმა, ამავე დროს უნდა წარმოადგენს კერძო მიზანს თანამშრომლებისათვის და პირიქით. ასეთი კოლექტივები ხასიათდება იმ ჯგუფური სოლიდარობით და ფირმისადმი ერთგულებით. თანამშრომლები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ერთმანეთის დახმარებით, რადგან საბოლოო ანგარიშით ეს გამსახურება მათ საერთო ინტერესებს.


წარმატებული პერსონალი - ეს არის პროფესიონალითა ჯგუფი, რომელიც მუშაობს შედეგებზე. ასეთი ჯგუფები არ უქმნიან მენეჯერს პრობლემებს და ორიენტირებული არიან ფირმის მიზნების მიღწევაზე. თანამშრომლები დარწმუნებულნი არიან, რომ საუკეთესო გზა პირადი მიზნების მისაღწევად არის მხოლოდ სამუშაოს კარგად შესრულება. ასეთ ფირმებს თავიანთი ეფექტურობის ამაღლება შეუძლიათ ჯგუფურობის გაძლიერებით, ურთიერთდახმარებით და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობით. კონკრეტული თანამშრომლის მიზანი უნდა იყოს არა მარტო მისი საკუთარი სამუშაოს კარგი შესრულება, არამედ მთელი ფირმის წარმატება. ხოლო თუ საწარმოში პერსონალი არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც სამსახურში დადიან მხოლოდ თავისი პირადი მიზნების მისაღწევად, ასეთ თანამშრომელთა დანდობა არ შეიძლება.

მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის აუცილებელია შემცირდეს გაურკვევლი სიტუაციების არსებობა. თანამშრომლებსთვის ზუსტად და დროულად იქნას მიწოდებული ინფორმაცია არსებული სიტუაციის შესახებ. იმისათვის, რომ გაიგონ თავიანთი სამუშაოს მნიშვნელობა, მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს მუშაკთა სამართლიანი და დროული ანაზღაურება.

ბევრ საწარმოში არსებობს არაფორმალური ჯგუფები, რომლებსაც შეუძლიათ როგორც დახმარონ ორგანიზაციის ფორმალურ ჯგუფებს, ასევე გადავიდონ ის მიზეზები, რომლებიც ხელს შეუშლის საწარმოს განვითარებას. ამ პრობლემის

აბსტრაქტი





# მეცნიერება/SCIENCE

გადასატრედა მართებული მიღებული იქნას შემდეგი მიდგომა - აღიარებული იქნას არაფორმალური ორგანიზაციების არსებობა და გათვალისწინებული იქნას, რომ მისი განადგურება ფორმალურ ორგანიზაციაში მნიშვნელოვან განსხვავებას გამოიწვევს. ამიტომ ხელმძღვანელობამ უნდა იმუშაოს ისე, რომ საფრთხე არ დაემუქროს ასეთი არაფორმალური ორგანიზაციების არსებობას. სანამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი მიიღებს რაიმე გადაწყვეტილებას, უნდა გაითვალისწინოს როგორც უარყოფითი შედეგები, ასევე არაფორმალური ჯგუფის ლიდერის აზრიც, რითაც მიღწეულ იქნება ის კომპრომისი, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის წარმატების მიღწევას.

რაც შეეხება მართვის სტილს, მცირე საწარმოებში ის მეტ-ნაკლებად მაინც ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებს, რაც თვითგადასწავლის მართვის ჯგუფურ ხასიათს, სადაც გათვალისწინებულია ყველანაირი ხასიათის ადამიანთა ინტერესები. ასეთი მართვის დროს ორგანიზაცია მაქსიმალურად არის დაცული შიდა კონფლიქტური სიტუაციებისაგან. როგორც ცნობილია, სწორედ კონფლიქტი არის ორგანიზაციული ერთიანობისა და გუნდურობის მამუხრუჭებელი მიზეზი. კონფლიქტის გამოწვევი მიზეზები კი შეიძლება იყოს: ცალკეულ პიროვნებებს, ხელმძღვანელსა და ქვეშევრდომს შორის გაუგებრობა; შრომის არასწორი ანაზღაურება; საწარმოო პრობლემების არაკარონიერი გზით გადაწყვეტა და სხვა.

მცირე საწარმოში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის მოტივაციას, რომელიც განსაზღვრავს ასევე საწარმოს სამეურნეო საქმიანობის წარმატებას. მოტივაციისას ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ ის ფაქტი, რომ ის რაც მათ სიამოვნებთ, ხშირ შემთხვევაში დაქირავებულებს ალიზიანებს, ამიტომ მისი კომპრომისისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა ხერხები, რომლებიც დაგეგმარება თანამშრომელთა მოტივირების დროს. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი:

დავრწმუნდეთ, რომ განაწილებული დავალებები რეალურია და გარკვეულწილად შესაძლებელია მისი შესრულება;

გავარკვიოთ რა არის ორგანიზაციაში უკმაყოფილების მიზეზი;

შუქვადი ერთმანეთს მიუყვარებოდნენ ფორმის საერთო და თანამშრომელთა პირადი ინტერესები; შეუქმნათ გუნდური მუშაობისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო;

შუქვანათ ისეთი დაჯილდოების სისტემა, რომ ის იყოს გამჭვირვალე და ყველასათვის თანასწორი; შეუქმნათ თანამშრომლების განვითარებისათვის საჭირო პრობები, მიუხედავად მათ საშუალება სრულად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი;

წახალისოთ თანამშრომლები (დაბადების დღეზე, საერო და საეკლესიო დღესასწაულებზე). ყოველივე ამის გათვალისწინების შედეგად, ფირმაში აღარ წარმოიშება ის პრობლემები, რომლებიც ასე ძალიან უშლის ხელს მცირე ბიზნესის წარმატებას.

თანამშრომელთა მოტივაციისათვის შეიძლება გამოიყენოთ თანამდებობის ამალღებაც. მაგრამ იმის გამო, რომ მცირე ბიზნესში თანამდებობრივი საფეხურები მოკლეა, ასეთი დაწინაურებები შესაბამის ეფექტს არ იძლევა. ამიტომ მცირე საწარმოებში ერთადერთი გზა არის ხელფასით დაინტერესება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალური დანამატების დანიშნავს მუშაკის მიერ შესრულებულ სამუშაოზე, ან როგორც დასაწვდომი ქვეყნებში არის აპრობირებული - დანამატები სტაჟის გათვალისწინებით.

წახალისებებში ყველაზე ნიშანდობლივია პრემია. ის არაორდინალური წახალისებაა, რადგან მას განსაკუთრებულ შემთხვევაში იძლევიან მენეჯერები. კერძოდ, ინდივიდუალური პრემიის გაცემა მიზანშეწონილია წელიწადში ორჯერ-სამჯერ მოხდეს. ეს უფრო მგრძობიარეა, ვიდრე მისი დარიგება ყოველთვიურად. მაშინ იგი "ხელფასზე დანამატის" სახეს მიიღებს. პრემიების საშუალებით ხდება ისეთი დადებითი შედეგების მიღება, როგორცაა: რაოდენობრივი შედეგების სტიმულირება (შრომის ნაყოფიერებისა და მოგების ზრდა), მანქანა-მოწყობილობების ეფექტური გამოყენება, მატერიალური რესურსების ეკონომიური ხარჯვა, პროდუქციის ხარისხის ამაღლება და მრავალი სხვა.

ასეთი ღონისძიებების გატარების შემდეგ აუცილებელია მოხდეს სამუშაოს შესრულების პერიოდული მონიტორინგი, რაც საშუალებას მოგვცემს დროულად გამოვლინდეს მმართველობითი ხარვეზები და გათვალისწინებულ იქნას მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები მომავალ გადაწყვეტილებებში.

ახალი გამოცემის



1. ბარათაშვილი ე., ასათიანი თ., კაკულია ე., მიუკერძოებლობა და ეთიკური გადაწყვეტილება მენეჯერის საქმიანობაში. "საქართველოს ეკონომიკა", №9, 2008 წ.
2. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება. "ინოვაცია", თბილისი, 2007 წ.
3. ჯულაიძე ე., მცირე ბიზნესი: მეწარმეობა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება, ქუთაისი, აწსუ, 2009 წ.
4. ჯულაიძე შ. პერსონალის შერჩევის, გარემოში ადაპტაციის და მოტივაციის ორგანიზაცია და მუთოდია (დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაპოვებლად), თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2009 წ.

**SMALL BUSINESS AND THE PROBLEMS PERSONAL MANAGEMENT IN ENTERPRISES**

**EMZAR JULAKIDZE**

Doctor in Economics, Associate. Professor  
of Akaki Tsereteli State University

**SHALVA JULAKIDZE**

Doctor in Economics, Ilia State University

In the frame of small business support the implemented researches showed that one of the main obstructed factor is improper skills of personal management in the enterprises. Frequently, due to of low professionalism of entrepreneurs, successful business on idea range falls down in crisis situation on practical realization level. So, wishing to be a businessman is not enough if it is not ruled by qualified manager.

The effectiveness of personal management depends on the abilities of manager in small business, it stimulates to employees in order to realize their abilities and opportunities for a company.

Successful staff - is a team of professionals, who are oriented on achievement of the company's goals.

საბაზოეწენეგული ლიტერატურა





ნუზხარ ბაბუაძე

აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
საერთაშორისო ასოციაცია  
‘ჩინეთის მეგობრები“-ს პრეზიდენტი,  
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის  
უმსხვილესი კომპანიების  
განსაკუთრებული უფლებების მქონე  
წარმომადგენელი საქართველოში

„როდესაც აღმაინმა არ იცის, რომელი ნავსაყუდელისკენ უჭირავს გეზი,  
მისთვის არც ერთი ქარი არ იქნება ზურგის ქარი“.

სენეკა

ახალი ეკონომიკა

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების წარმატების საფუძვლად ძლიერ სახელმწიფოს კონკრეტულ მიზნებსა და გრძელვადიან დაგეგმვას მიიჩნევენ. იმისათვის, რომ მსოფლიოს ამომავალი ლიდერის ეკონომიკური წარმატების საიდუმლოებანი შევიცნოთ, საჭიროა გავანალიზოთ ჩინეთის სტრატეგია, ქვეყნის რეგიონური პოლიტიკა, მისი სოფლის გარდაქმნის რეფორმები, ფინანსური პოლიტიკა, ჩინელი ხალხის ეროვნული მენტალიტეტი როგორც წარმატების საწინდარი, ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში, მეცნიერების განვითარების სტრატეგია და პრიორიტეტები, ასევე არ უნდა გამოგვრჩეს ჩინეთის ეკონომიკის პრობლემები, ჩინეთისა და მსოფლიო ეკონომიკის კომპარატივისტიკა. ყოველივე ეს კი საშუალებას მოგვცემს გამოვიტანოთ ჩვენთვის სასარგებლო გაკეთილები და დასკვნები.


რეფორმების ახლანდელი ეტაპი, ჩინეთში, დაიწყო 1978 წლის ბოლოდან, როცა დენ სიაოპინმა გამოაცხადა საბაზრო ეკონომიკური სისტემის მშენებლობის „ახალი კურსი“ ჩინური სპეციფიკით (როგორც თავად ჩინელები ამბობენ, „სოციალისტურის“), ასევე გამოაცხადა „რეფორმების და გახსნილობის“ პოლიტიკა. ეს რეფორმები უპირატესობას ანიჭებს თანამიმდევრულობას, ევოლუციურობას (ე.წ. გრადუალიზმი), პოლიტიკური რეფორმირების

მეორეულობას ეკონომიკურის წინაშე, მოდერნიზაციის და საგარეო ეკონომიკური ექსპანსიის პრიორიტეტს.

გარდაქმნები დაიწყო მიზნების მკაფიო განსაზღვრით, იდეოლოგიის შემუშავებით, რომელიც ეროვნულ ინტერესებს ეფუძნებოდა, ქვეყნის განვითარების კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტით და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებით. ეს ამოცანები წყდებოდა ძლიერი, განათლებული და ქმედითი სახელმწიფო ხელისუფლების ბაზაზე. ჩინელი პარტიული ლიდერები და ეკონომისტები აქტიურად სწავლობდნენ და შემოქმედებთაღ უღგებოდნენ მრავალი ქვეყნის ეკონომიკური გამოცდილებას, აგრეთვე მათი აღმასვლის და დაცემის ისტორიას.

უკვე 1981 წელს გამოცხადდა მშპ-ის გათხზავების სტრატეგიული მიზანი 2000 წლისთვის და ეს შეასრულეს კიდევ – 1980 წლიდან 2000 წლამდე მშპ გაიზარდა 64-ჯერ[1]. 1978–2005 წლების განმავლობაში მშპ გაიზარდა 12-ჯერ, ხოლო შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე – თითქმის 7-ჯერ[2]. ეკონომიკის ზრდის ტემპი 1979–2004 წლებში საშუალოდ შეადგენდა დაახლოებით 9.4%-ს, 2005–2008 წლებში – 10.35%-ს. 2008 წელს 35 წამყვანი ჩინური საწარმო ჩართეს მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიის რეიტინგში, ამერიკული ჟურნალის „Fortune“-ს ვერსიით. ჩინეთს მსოფლიოში მე-2 ადგილი უკავია ექსპორტის მოცულობით, მან 2008 წელს 1.4 ტრლნ დოლარი





შეადგინა, რაც ჯერჯერობით უმნიშვნელოდ ნაკლებია, ვიდრე გერმანიის, მას 1-ლი ადგილი შაჰია.

2020 წლისთვის ჩინეთი გეგმავს საშუალო შედეგების სასოგადოების მიღწევას, ხოლო 2050 წელს – განვითარებული ქვეყნების ცხოვრების დონის მიღწევას. მრავალი ეკონომისტის შეფასებით, ჩინეთი მშპ-ით გადააჭარბებს აშშ-ის დონეს 2030–2050 წლებში, შესაძლოა უფრო ადრეც კი[3].

ჩინეთის ძირითადი სტრატეგია მდგომარეობს იაპონიის და „ახიური ვეფხვების“ – ტაივანის, სინგაპურის და ჰონგ-კონგის, სამხრეთ კორეის – ახევე, ყოფილი სსრკ-ში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის („ნეპი“) გამოცდილების გამოყენებაში. ქვეყანაში განხორციელდა ეკონომიკის ექსტენსიური მოდელი, რომელიც ემყარებოდა იაფ შრომას და უცხოური ინვესტიციების აქტიურ გამოყენებას[4]. ჩინეთის უმნიშვნელოვანესი კონკურენტული უპირატესობა – საკმაოდ კვალიფიციური „რიგითი“ მუშახელის სიახვე, რომელიც დიდი რაოდენობით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაახლოებით 100 დოლარს შეადგენდა თვეში და ამაზე ნაკლებსაც, დაკავშირებული იყო მოსახლეობის მაღალ რიცხოვნობასთან. ეკონომიკის განუვითარებლობა წინამძღვრები შექმნა უწყვეტი ხანგრძლივი ზრდისთვის.

ჩინეთის ეკონომიკა თანამიმდევრულად წინ მიდის. თავდაპირველად რეფორმები ჩატარდა სოფლად, გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომლის პროდუქციის ექსპორტირება აქტიურად ხდებოდა. შემდგომი ნაბიჯი იყო შრომატევადი ფართო მოხმარების საქონლის ბაზრების ათვისება – ეს იყო ტყავის ნაწარმი, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის წარმოება. ქალაქებსა და სოფლებში დიდი რაოდენობით განჩნდა მარტივი შრომატევადი წარმოებები.

მაგრამ შემდგომში წარმოების განვითარება გადაიხარდა ნამდვილ სამრეწველო რევოლუციად. ჩინეთი გადავიდა ველოსიპედების, საათების, ელექტრონიკის, ავეჯის წარმოებაზე, ავტომობილების დასაკომპლექტებელი ნაწილების დამზადებაზე. ამ ეტაპს მოჰყვა მაღალი ტექნოლოგიების ათვისება. ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ იყო ერთ-ერთი ჩამორჩენილი, ახლა ლიდერის პოზიციები უკავია მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოებით (მე-2 ადგილით მსოფლიოში) – ესენია მობილური ტელეფონები, პერსონალური კომპიუტერები, ტელევიზორები.

ცნობილია, რომ განვითარების ამგვარი გზით მიდიოდა იაპონიაც, თუმცა მან საკმაოდ სწრაფად

დაკარგა თავისი ძირითადი უპირატესობა – იაფი მუშახელი. ჩინეთში კი პირიქითადაა კვლავინდებურად არსებობს იაფი მუშახელის უზარმაზარი მარაგი ურბანისაგანის ხარჯზე. მოდერნიზაციის გეგმების თანახმად, ქალაქის მოსახლეობის წილი 2000 წლიდან 2020 წლამდე უნდა გაიზარდოს 36.2-დან 56%-მდე[1]. მაგრამ განვითარების ინტენსიურ მოდელზე გადასვლა საჭიროებს კვალიფიციური შრომის და მისი ანაზღაურების წილის ზრდას.


შემოსავლების დაბალმა დონემ, თუმცა ბაზრის დიდმა მოცულობამ შექმნა საუკეთესო მსოფლიო პროდუქციის და მისი კვლავწარმოების კოპირების მოდელი შიდა (შემდეგ კი გარე) ბაზრისთვის მინიმალური ფასებით. თუმცა სხვისი კოპირებით ჩინეთი ქმნის მრავალ ახალსაც. DVD-ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ხელმისაწვდომ DVD-პლეერებს მსოფლიო უმაღლეს სწორედ ჩინეთს, რომელმაც მათზე ფასები დააუყო 1000 დოლარიდან 100-მდე, შემდეგ კი უფრო დაბლა. ანალოგიური სიტუაციაა LCD-ტელევიზორების, ნოუთბუქების და სხვათა წარმოებასთან დაკავშირებით.

რიგშია საავტომობილო ექსპანსია. 2007 წლის შედეგებით, ჩინეთის ავტომრეწველობა მსოფლიოში მესამე ადგილზე გავიდა ავტომობილების წარმოებით – იქ აწუბუნ მსოფლიო ბრენდების მნიშვნელოვან ნაწილს. მართალია, ზოგიერთი „საკუთარი“ ავტომოდელის ხარისხი ჯერჯერობით ვერ შეედრება ევროპულს, მაგრამ პროგრესი აშკარაა. 2008 წელს ჩინეთის ავტომრეწველობამ გამოუშვა მსუბუქი ავტომობილის დაახლოებით 88 ახალი მოდელი[5]. 2009 წლის იანვარში ჩინეთის ბაზარი პირველ ადგილზე გავიდა მსოფლიოში გაყიდვის მოცულობით, გაუსწრო მას აშშ-ს[6]. ახლა უკვე ჩინეთის გზაზე ხშირად შეხვდებით იაპონური და ევროპული ავტომობილების ზედმიწევნით მსგავს ჩინური წარმოების ავტომობილებს, რომლებიც ორიგინალს არაფრით არ ჩამოუვარდებიან. ქსპრტების შეფასებით ჩინური წარმოების ყვეანამავეალი “მე-2ში” 15 მახასითებელიდან 12-ში ჯონის ამერიკული წარმოების “ჰამერის” ირიგინალს[7]. “ბლუმბერგის” საერთაშორი ეკონომიკური სააგენტოს ცნობით, 2010წლის მარტში ჩინელებმა ხელი მოაწერეს ცნობილი შედეგური საავტომობილო კომპანია “ვოლვო“-ს შესყიდვის ხელშეკრულებას 1,8 მილიარდ აშშ დოლარად[8].

ჩინეთში საბაზრო სექტორის განვითარებაში უზარმაზარი წვლილი მიუძღვის მცირე და საშუალო ბიზნესს (მშპ), რომელიც მისი ნამდვილი

ინტელექტუალური





„ეროვნული მონაპოვარია“. 2005 წელს ქვეყანაში იყო დაახლოებით 4.3 მლნ მსპ-ს საწარმო, 27.9 მლნ ინდივიდუალური მეწარმე. ამ სექტორში მუშაობს ქალაქის მოსახლეობის დაახლოებით 75%, იგი იძლევა მთელი მშპ-ის 60%-მდე, მთელი პატენტების 65%-ს, მთელი საგადასახადო შენატანის 46.2%-ს და ჩინეთის მთელი ექსპორტის 62.3%-ს[9]. დაიხ. მცირე ბიზნესი ქვეყნისთვის მართლაც ნამდვილი ეროვნული მონაპოვარია.

ექსპორტის მიხედვით ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორებია (2007წ.) აშშ – 19.1%, ჰონგ-კონგი – 15.1%, იაპონია – 8.4%, სამხრეთ კორეა – 4.6%, გერმანია – 4%; იმპორტით – იაპონია – 14%, სამხრეთ კორეა – 10.9%, ტაივანი – 10.5%, აშშ – 7.3%, გერმანია – 4.7%[10]. ჩინეთის ეკონომიკა მოთხოვნის მნიშვნელოვანი წყაროა. იმპორტის ძირითადი წყაროებია – ელექტრომოწოდებლობა, ნავთობპროდუქტები, საბადოები და ჯვართი, მიწყობილობა მონაცემთა დასამუშავებლად და სხვ. აშშ-სთან ვაჭრობის მოცულობამ 2008 წლისთვის შეადგინა 333.7 მლრდ. დოლარი 170 მლრდ დოლარის აქტიური სადღოს პირობებში. ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია (მსო) 2001 წლიდან.

რეფორმების წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონალური პოლიტიკა. ჩინეთში წარმატებით გამოიყენება ფოკუსირებული განვითარების სტრატეგია, როცა პირველად მიდრეკილია ცალკეული რეგიონები. დიდი მნიშვნელობა აქონდა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნას. ისინი შეიქმნა 1984 წლის შემდეგ სხვადასხვა ქალაქში – შენჯენში, ჩუუხაიში, სიამინში, შანტუში. შემდეგ ეს სტატუსი მიანიჭეს კიდევ 14 ზღვისპირა ქალაქს[11]. ამ ზონებამ მიიღო მნიშვნელოვანი საინვესტიციო და საგადასახადო შედეგაუბები, რომლებიც ხელს უწყობდა უცხოური ინვესტიციების და ტექნოლოგიების მოზიდვას. როგორც თავად ჩინელები ამბობენ – გახსნილობა არის განვითარება. 2000 წლიდან ტარდება რეგიონების განვითარების გათანაბრების კურსი. არსებობს საიტები, რომლებზეც ჩინეთის თითოეული რეგიონი აღწერს კაპიტალის დაბანდების შესაძლო მიმართულებებს და საინვესტიციო შედეგაუბებს[12].

რეგიონებსა და ცენტრს შორის საგადასახადო შენატანთა განაწილების გატარებული პოლიტიკა (ვგრეთ წოდებული „ქეპების განაწილების“ სისტემა)[13] ხელს უწყობს რეგიონების აქტიურ და დინამიკურ პოზიციას შენატანთა მაქსიმიზაციაში თავიანთი ადგილობრივი

ბიუჯეტების მიხედვით. ამ დროს აქტიურად გამოიყენება გეგმური სისტემა – „ფინანსური დაავლებების“ დამკვიდრება.

რეფორმები დაიწყო სოფლის მეურნეობიდან. გაუქმდა კომუნები და მათ ნაცვლად შემოიღეს ოჯახური მენარდობა. მთავრობამ ნება დართო მოსახლეობას, განხორციელებინა წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნაშაბის თავისუფალი გაყიდვა სახელმწიფოსთვის სახელმწიფო დამსაღების გეგმის ნაბარბის შემდგ. მოსახლეობას მიწის ნაკეები მიამაგრეს გრძელვადიანი იჯარით. სოფლებში განხდა კომუნიკაციული სასოფლო საწარმოები.

ამ ღონისძიებებმა პირობები შექმნა მოსახლეობის მოთხოვნის გადახდისუნარიანობის და ცხოვრების დონის ასამაღლებლად, განაპირობა სოფლის მეურნეობის უსწრაფესი ზრდა, მისი მოდერნიზაცია, მოაშადა სერიოზული კლასტორმა მთლიანობაში მთელი ეკონომიკის განსაკუთრებლად და იქცა მეწარმეობის განვითარების „სკოლად“. სოფლად კეთილდღეობის ზრდა ხელს უწყობდა წერილი სასოფლო მეუახშეობის განვითარებას, ასრულებდა რა დაფინანსების არხის როლს როგორც ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისთვის, ასევე ქალაქებში გადასახლებისთვის და იქ ბიზნესის გასახსნულად.

მიწა ჩინეთში სახელმწიფო ან კოლექტიურ საკუთრებაშია, ქალაქებში – სახელმწიფო საკუთრებაში. ჩინეთში არსებობს მიწის წართმევის შესაძლებლობა სახელმწიფოს სასარგებლოდ, რაც შეიძლება წარმოშეას კონფლიქტი ხელისუფლებთან. დღესდღეობით ტარდება მიწათსარგებლობის შემდგომი რეფორმა, რომლის შედეგადაც მიწათმფლობელებს შეუძლიათ გასკენ თავიანთი ნაკეები იჯარით, გადაცვალონ ისინი და დააგირაონ.

2006 წელს ჩინეთში გაუქმდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადები. სახელმწიფომ დაიწყო აგრარული სექტორის დახმარება. ქვეყანა, რომელიც ფლობს მსოფლიო სახნავი საეარეულების დაახლოებით 7%-ს, აწარმოებს დაახლოებით 20% მარცვლეულს და მოწინავე პოზიცია უკავია მსოფლიოში ბამბის, ხორცის, რძის, კვერცხის, ზეთოვანი კულტურების წარმოებით. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი მშპ-ში თანდთანობით მცირდება და 2008 წლისთვის შეადგინა 11.3%.

ყოველივე თქმული კიდევ ერთხელ ამტკიცებს თეზისს, რომ ნორმალური ბაზრის განვითარება ყოველთვის იწყება სოფლად რეფორმებით.

ახალი პერიოდი





ჩინეთის ფინანსური პოლიტიკა მიმართულია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანი მექანიზმების შექმნისკენ, რადგან იგი ნორმალური დაკრედიტების და ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების პირობებს ქმნის, ეს უკანასკნელი კი ემყარება ეროვნული ვალუტის – იუანის – დომინირებას[14]. ჩინეთის ფინანსებს არ განუცდია ისეთი საშინელი ქაოსი, როგორც შეინიშნებოდა რფ-ში 1992–1998 წლებში. იქ სტაბილურობამ პირობები შექმნა მრეწველობის და ბიზნესის ნორმალური განვითარებისთვის. სავალუტო რეგულირების გონიერული პოლიტიკა, ერთი მხრივ, ხელს უშლის კაპიტალის გატანას და მოსახლეობის ხელში ტარიზ ნაღდი ვალუტის დაგროვებას, მეორე მხრივ კი, პირობებს ქმნის გარე გრძელვადიანი კაპიტალის მოზიდვისთვის. რუსეთის ეკონომიკისთვის მსგავსი ამოცანების გადაჭრა კვლავინდებურად პრობლემად რჩება. ფინანსურ სტაბილურობას ხელს უწყობს საპროცენტო განაკვეთების და საბანკო რეზერვების დონის რეგულირების გონიერული პოლიტიკა[15]. ეკონომიკას აქვს მონეტიზაციის ძალიან მაღალი დონე (ფულადი მასის M2 მიმართება მშპ-ისადმი) – 150% (განვითარებული ქვეყნებში 80–100%). ამასთან ერთად ჩინეთში ინფლაციის ზომიერი დონეა, თუმცა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში იგი გაიზარდა – დაახლოებით 4.8% 2007 წლისთვის, 5.9 % – 2008 წლისთვის (რფ-თან შეადარებლად – 11.9% და 13.35).

ჯ.მ.კეინსის რეკეპტებთან ზუსტი შესაბამისობით ქვეყანას აქონდა სტაბილურად დეფიციტური ბიუჯეტი, რომელიც 1979–1980 წელს შეადგენდა საშემოსავლო ნაწილის 15%-მდე, 2–3%-ს – 1981–1990 წლებში, 6.5–10%-ს 1991–1997 წლებში[4]. 2005 წლისთვის დეფიციტმა შეადგინა 208 მლრდ იუანი 3.163 ტრლნ. იუანის საშემოსავლო ნაწილის დროს, ანუ 6.5%. მოვლიან, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 2009 წლისთვის არ გადააჭარბებს მშპ-ის 3%-ს. ქვეყანაში შეინიშნება ბიუჯეტის დანახარჯების ზრდის მნიშვნელოვანი ტემპი: 1978 წლიდან 1997 წლამდე დანახარჯები გაიზარდა 111.1-დან 865.1 მლრდ იუანამდე, ე.ი. 7.7-ჯერ. ეს ფაქტები ამტკიცებს, რომ აქტიური საინვესტიციო პოლიტიკა ხელს უშლის ინფლაციის ზრდას ბიუჯეტის დეფიციტის დროსაც კი.

ჩინეთში ძალიან მაღალია პირადი დანახარჯის ნორმა – მშპ-ის დაახლოებით 50% იყო 2007 წლის ბოლოსთვის. ფინანსური სისტემის სტაბილურობის და მასში სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლის წყალობით მოსახლეობას თავისი სახსრები აქვს ბანკებში. საბანკო სექტორის ფინანსური


ორგანიზაციების საერთო აქტივებმა 2008 წლის ნოემბრის მდგომარეობით მიადწია დაახლოებით 61.1 მლრდ იუანს (ე.ი. დაახლოებით 8.94 ტრლნ დოლარს). შედარებისთვის: რფ-ის საბანკო სისტემის აქტივებმა შეადგინა 25.92 ტრლნ რუბლი – დაახლოებით 926 მლრდ დოლარი. განაკვეთები ჩინეთში საკმაოდ დაბალია – დაკრედიტების საკენადო წლიური განაკვეთი – 5.31%, განაკვეთი დეპოზიტებზე – 2.25% (23.12 2008 წ-თვის). ამ ფაქტორთა ერთობლიობა ნორმალური საინვესტიციო კლიმატის ფონზე განაპირობებს ეკონომიკის აქტიურ და სტაბილურ ზრდას.

საბანკო სისტემაში ჭარბობს სახელმწიფო ბანკები. წარსულში ეკონომიკის აქტიური დირექტიული კრედიტირების შედეგად ჩინეთში წარმოიშვა ცუდი კრედიტების პრობლემა, რომელმაც მთავარ ბანკებში შეადგინა სესხის მოცულობის დაახლოებით 20% (ადრე – უფრო მეტი). მაგრამ უკვე 2007 წლისთვის შემცირდა 5.5%-მდე. პრობლემა გადაწყდა ბანკების რეკაპიტალიზაციის გზით ცუდი სესხების გამოსყიდვის და ახალი ფინანსური საშუალებების მოზიდვის ხარჯზე. ახლა ბანკთა უმრავლესობას აქვს კაპიტალიზაციის საკმარისი დონე. ბოლო დროს გატარებული საბანკო რეფორმა მიმართულია საბანკო სისტემის განვითარებისკენ, ხოლო მსოფლიო შუთანსხმებთან თანახმად – მისი გახსნილობის ახამადელებლად უცხოური კაპიტალისთვის. ინავერსიულად აქტივების წილი, რომელიც უცხოური კაპიტალის კონტროლქვეშაა, დიდი არაა – 2.44% (2008წ.). ჩინეთი აქტიურად იყენებს უცხოელი ინვესტორების ტექნოლოგიებს და გამოციდილებას, მაგრამ გულდასმით ინარჩუნებს კონტროლს საბანკო და ფინანსური სისტემაზე. უმნიშვნელოვანეს ამოცანაა შორისაა საბანკო მომსახურების სექტორის შემდგომი განვითარება, მათ შორის რეგიონებში.

2008 წელს, ცდილობდა რა ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას, ჩინეთის ბანკმა 5-ჯერ შეამცირა საკენადო განაკვეთები და საბანკო რეზერვების ნორმები. მიუხედავად მსოფლიო ფინანსური კრიზისისა, 2008 წლის განმავლობაში ფულადი მასა M2 გაიზარდა 17.8%-ით, 40.34-დან 47.52 ტრლნ იუანამდე, გაცემული სესხების მოცულობა 2008 წელს გაიზარდა 4.91 ტრლნ იუანი (დაახლოებით 735 მლრდ დოლარით). 2009 წლის იანვრისთვის ფულადი მასა გაიზარდა 49.61 ტრლნ იუანამდე, ანუ 18.79%-ით 2008 წლის იანვართან შედარებით, სესხთა მოცულობა – 1.62 ტრლნ იუანი (136 მლრდ დოლარით).

ახალი ეკონომიკა





ჩინეთი ახორციელებს სავალუტო კურსით იუანის გონივრულ მართვას, რასაც ახერხებს დოლართან მიმართ, რომელიც საკმაოდ სტაბილურია და შემცირებული მიდევნლობით უნარის პარიტეტის მიმართ. ეს კი უზრუნველყოფს ჩინური საქონლის ექსპანსიას გარე ბაზრებზე. საგარეო ვაჭრობის კონიუნქტურაზე თავისი დამოკიდებულების შემცირების მიზნით ჩინეთმა რამდენიმე წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება შიდა მოთხოვნის გაზრდაზე. იუანის კურსი თანამიმდევრულად იქნა რეკალიბრებული 8.28-დან დოლარზე 8.11-მდე (2005 წლის ივლისი) და 7.922 (2006 წლის მაისი), 2007 წლის იანვრისთვის იუანის კურსი გაიზარდა 7.8-მდე, 2008 წლის ნოემბერში შეადგინა 6.83 და 2009 წლის დამდეგს რჩება დაახლოებით ამ დონეზე.

2006 წლის ოქტომბერში ჩინეთის ოქროს სავალუტო რეზერვა (ოსრ) მიაღწია 1 ტრლნ დოლარს და გაიზარდა პირველ ადგილზე მსოფლიოში, გასწვრივ რა იაპონიას. ამგავმდ ოსრ დაახლოებით 2 ტრლნ დოლარია. ეს ფაქტორი ქვეყანას საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს თავისი ფინანსური ბაზრების სტაბილურობა და გაავლენა მოახდინოს საერთაშორისო ბაზრებზე. პეკინს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ასიური სავალუტო-საფინანსო კრიზისის დაძლევაში 1997-1998 წელს. უკვე უახლოეს პერიოდში იუანს შეუძლია გახდეს რეგიონალური, შემდგომში კი შესაძლოა ერთ-ერთი მსოფლიო ვალუტა.

ჩინეთის პრაქტიკულად უკრიზისო განვითარების ხანგრძლივი პერიოდი (მსგავსად იმისა, როგორც ეს იყო გერმანული ეკონომიკური სასწაულის ხანაში და რიგ სხვა ქვეყნებში) თვალსაჩინოდ აღსატურებს, რომ, როცა ეკონომიკას აქვს განვითარების მნიშვნელოვანი რეზერვი, მისი მოკლევადიანი დისბალანსები შეიძლება ეფექტიანად დაიძლიოს კრიზისული მოვლენების გარეშე.

ჩვენი წარმოდგენა ჩინეთის ეკონომიკური რეფორმების ძირითად პარამეტრებსა და ორიენტირებსზე, სრულყოფილი ვერ იქნება ჩინეთის ნაციონალური მენტალიტეტის როლის განხილვის გარეშე[16]. ჩინელმა ხალხმა, ცხოვრობდა რა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძალზე ხელმოკლედ, გამოიმუშავა ერთგული ხასიათის ორი განსხვავებული თვისებურებები. ერთი მხრივ, მათ აქვთ დიდი შრომისმოყვარეობა და დისციპლინირებულობა, მეორე მხრივ კი, ისწავლეს ბიზნესგარემოს არასრულყოფილებისთვის გვერდის ავლა, ამავე დროს, გამიორჩევიან დიდი ფიხანობით და კონკურენტუნარიანობით. არანაკლებ

მნიშვნელოვანი თვისებაა – მიდრეკილება, გადმოიდონ პოზიტიური გამოცდილება, როგორც ადგილობრივი, ასევე საგარეო, გარდა ამისა, აქვთ კონკურირების უნარი როგორც ადგილობრივ დონეზე, ასევე საერთაშორისოზე. მეწარმეობის განვითარების მასშტაბი უზარმაზარია. მნიშვნელოვანი თვისებაა – მომჩინრობა, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული საპენსიო უზრუნველყოფის და სოციალური დახვეწვის სისტემის შეზღუდულობასთან.

ერთგული კულტურა კონფუციანელობის სახით ხელს უწყობს შექმენებას და საუკეთესო გამოცდილების გამოყენებას. ამით აქტიურად სარგებლობს ჩინეთი. ქვეყანაში იმპორტის ტექნოლოგიის მიღების შემდეგ ჩვეულებრივ იწყება დასაკომპლექტებელი მასალის გადატანის პროცესი, შემდეგ ხდება მათი აწობა. ზოგჯერ პარადოქსულად ჩნდება საკუთარი საამქროები, რომლებიც ასლებს ამზადებენ, მათ შორის იატაკქვეშა პერიოდული ხელი სუფლება აწარმოებს ბროკლას მეკორუპციასთან. მსოფლიოს სხვადასხვა ბოლოში ნაყოფი ნივთები შეიძლება საკმაოდ სწრაფად მოხედეს ტირაჟში“.

ცალკე გადასახილველია ინვესტიციების საკითხები, რომლის მოხიდეასაც ხელს უწყობს არა მარტო ქვეყანაში არსებული რესურსების საერთო სიახვე (მუშახელის, უძრავი ქონების, ტრანსპორტის და წარმოების სხვა ფაქტორების), არამედ საინვესტიციო და სავადასახლო შედეგაობები ადგილობრივ ხელისუფალთა მხრიდან. ჩინეთის შიდა ბაზარს აქვს შიდა მოთხოვნის ზრდის ხარჯზე უდიდესი პერსპექტივა ქვეყნის განვითარების და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის მიხედვით. აშშ-ის და ევროპის მეწარმეებს, რომლებიც დაიღალნენ პროფუკშირებისა და ძვირი მუშახელისგან, შესანიშნავად შეუძლიათ თავიანთი წარმოების ორგანიზება ჩინეთში.

ჩინეთის ეკონომიკაში მოზიდული უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა რეფორმების წლებში (2006 წლისთვის) დაახლოებით 800 მლრდ დოლარს შეადგენს, ქვეყანაში შექმნილია დაახლოებით 509 ათასი სწრაფო უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. 2008 წელს გამოიყენეს 924 მლრდ დოლარის უცხოური ინვესტიციები, რაც 23,6%-ით მაღალია, ვიდრე 2007 წელს. ინვესტორები მზად არიან, ჩინელებს გადასცენ ტექნოლოგიები, რაც უმეტესწილად ბაზარზე შესვლის პირობას წარმოადგენს. ჩინეთში პრაქტიკულად ყველა მსოფლიო ბრენდი (500-დან 400) იწარმოება. ჩინეთის ძირითად კაპიტალში ინვესტიციები მშპ-ის დაახლოებით 45%-ს შეადგენს, მაშინ, როცა სხვა

ახალი ეკონომიკაში





განვითარებად ქვეყნებს ეს მაჩვენებელი ორჯერ და მეტჯერ ნაკლებია.

ჩინურ ბაზარს უნარი აქვს შექმნას სასაქონლო სიუხვე და ნორმალური პირობები როგორც მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანებისთვის, ასევე საკმაოდ დაბალი შემოსავლის მქონეთათვისაც. ეს პირობებს ქმნის ადამიანური კაპიტალის ნორმალური განვითარებისთვის.

ჩინეთის ხელისუფალი ყველაფერს აკეთებენ კონკურენტული საინვესტიციო კლიმატის შემდგომი განვითარებისთვის. ისინი ქმნიან თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურას, აქტიურად მუშაობენ ავტომაგისტრალების, სარკინიგზო ხაზების მშენებლობაზე, ენერჯეტიკის განვითარებაზე. ქვეყანაში მიმდინარეობს ნამდვილი სამშენებლო ბუმი, საოცარი ტემპებით ვითარდებიან ქალაქები. არსებობს სერიოზული გეგმები ატომური ენერჯეტიკის განვითარებაზე. ამისთვის შეიძლება საჭირო გახდეს 32 ატომური ენერგობლოკის მშენებლობა. ამჟამად ჩინეთში მუშაობს 11 ენერგობლოკი[17]. ჩინეთი უკვე დიდი ხანია იყენებს მოხილვად კერძო ინვესტიციებს ფასიანი გზების და ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის. ჩინელებს ამბიციური გეგმები აქვთ აეროპორტების მშენებლობასთან, რეგიონალურ განვითარებასთან დაკავშირებით. ჩქაროსნული ავტოსტრადების საერთო სიგრძით ჩინეთს მე-2 ადგილი უკავია მსოფლიოში – 41 ათასი კმ. 1999 წელს შეიქმნა კერძო საბინაო მშენებლობის დაკრედიტების სისტემა, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას საცხოვრებელი ბინების პრობლემა მოსახლეობის დანახარვის გამოყენების ხარჯზე.

ჩინეთის ეკონომიკა შერეულ სისტემას წარმოადგენს, მასში სახელმწიფოს გადამწყვეტი როლით. ჩინეთის ეკონომიკა არის მსხვილი სახელმწიფო საწარმოების მრავალწილობიანი კონგლომერატი და ძირითადად კერძო სექტორის საშუალო და მცირე საწარმოებს მოიცავს. ჩინეთს ნაქარვეად არ დაუნგრევია თავისი სახელმწიფო სექტორი – საბაზრო საწარმოები იქმნებოდა ახლიდან. თავისუფალ საბაზრო ფასებზე გადასვლაზე ხდებოდა თანდათან. 2005 წლიდან სახელმწიფომ კურსი აიღო კერძო სექტორის პოზიციების გამტკიცებაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სექტორს ჩინეთში კვლავინდებურად მნიშვნელოვანი წილი აქვს. სახელმწიფო სექტორში შედის ყველაზე მსხვილი საწარმოები, მათ შორის ენერჯეტიკის, ტრანსპორტის, მოპოვების და ნედლეულის გადამამუშავების საწარმოები, ასევე მასალების და მოწყობილობების, საავტომობილო, თავდაცვის მრეწველობის. ინოვაციათა ძირითადი

წილი ეკუთვნის კერძო სექტორს. თუკი 2000 წელს კერძო სექტორი აწარმოებდა დაახლოებით მშპ-ის 55%-ს, 2005 წლისთვის ეს წილი გაიზარდა 65%-მდე.

2006 წელს სახელმწიფო სექტორის საგადასახადო გადახდათა მოცულობამ შეადგინა 1,77 ტრლნ იუანი – საერთო ფინანსური შემოსავლის 34,5%. 2008 წელს ჩინეთის ცენტრალური დაქვემდებარების 19 სახელმწიფო საწარმო მოხვდა ეურნალ 'Fortune'-ს მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიის სიაში.

სახელმწიფო კომპანიების შორის არის ზარალიანებიც, რომლებიც მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ რეფორმები იქ მიდის კვლავინდებურად ძალიან ფრთხილად – სახელმწიფო საკუთრების ლიკვიდაცია არ შედის ჩინეთის გეგმებში, ძირითადი მიზანია ეფექტიანობის გაზრდა.

სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო სექტორის როლი შეიძლება სხვადასხვა იყოს. გონივრული სახელმწიფო პოლიტიკა აძარებს აუცილებელ ბალანსს ეკონომიკის სექტორებს შორის, მიჰყავს რა ისინი მაქსიმალურ საზოგადოებრივ სარგებლობამდე. რა თქმა უნდა, შეიძლება ეცადო მოგოჯოლო მიმდინარე სარგებელი ნებისმიერ ფასად, ეკონომიკიდან მთელი 'წვიხის' გამოწვევით, მაგრამ ასევე შეიძლება იაზრონო სტრატეგიულად.

ჩინეთში არსებობს უმძლავრესი სახელმწიფო ბიუროკრატია, რომელსაც დიდი ძალაუფლება აქვს. როგორც ყველაზე, კორუფცია ჩინეთშიცაა, მაგრამ მას აქტიურად ებრძვიან, თანაც საკმაოდ მკაცრად. ჩინეთის სახელმწიფო აპარატი ხელისუფლების კურსის გამტარებელია ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის განსაჯივითარებლად, ამიტომ ხელისუფლება მკაცრად მოჰკითხავს თავის მოხელეებს.

ჩინეთის წარმატებულ განვითარებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს მეცნიერებს. ცნობილია, რომ საწარმოო ძალების და მეცნიერების განვითარების დონე სრულ ურთიერთდამოკიდებულებაშია. ეკონომიკური თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2006 წელს სამეცნიერო კვლევებზე დანახარჯით ჩინეთი მსოფლიოში მე-2 ადგილზე გავიდა აშშ-ის შემდეგ, მიადწია რა 136 მლრდ დოლარს, რითაც გაუსწრო იაპონიას, რომელმაც დაახლოებით 130 მლრდ დოლარს დახარჯა (აშშ ხარჯავს 330 მლრდ დოლარს)[18].

ჩინეთში მეცნიერთა შრომის ანახალურება საკმაოდ მაღალია. ქვეყანაში ყოველმხრივ ხელს

სახელი კპონომისტი





# მეცნიერება/SCIENCE

უწყობენ განათლების მიღებას, ასევე მეცნიერების განვითარებას. ჩინეთს ჰყავს სტუდენტთა უზარმაზარი მასა – დაახლოებით 23 მლნ. კაცი (2006წ.). სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი განათლებას იღებს საზღვარგარეთ, განსაკუთრებით აშშ-ში. ხელისუფლება ხელს უწყობს ჩინელი სპეციალისტების დაბრუნებას საზღვარგარეთიდან, სთავაზობს რა მათ ყველაზე ხელსაყრელ პირობებს.

წამყვანი როლი მეცნიერების დავინანსებაში უკავია მოხიფულ უცხოურ ინვესტიციებს. ქვეყანაში მიმდინარეობს საერთაშორისო კვლევითი ცენტრების შექმნა, მათ შორის კორპორაციული უნივერსიტეტებიც, რომლებიც იყენებენ ადგილობრივ იაფ სამეცნიერო პერსონალს. პრიორიტეტებს შორისაა საინფორმაციო, ბიო-, ნანოტექნოლოგიების განვითარება.

აღნიშნავთ ასევე ჩინეთის ეკონომიკის რიგ მნიშვნელოვან პრობლემებს: ჭარბი მოსახლეობა, ეკოლოგიის გაუარესება, დასაქმების პრობლემები, სოციალური და რეგიონალური დისბალანსი და წინააღმდეგობა, ენერგეტიკის დეფიციტი, ნათობ-გახის რესურსების უმარისობა, პოლიტიკური რეფორმების გატარება და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

შთამბეჭდავი წარმატების მიუხედავად, მშპ 1 სულ მოსახლეზე ჩინეთში შედარებით დაბალია – დაახლოებით 5300 დოლ./კაცი-ზე. მთავარი მიზეზი ქვეყნის ჭარბმოსახლიანობაა. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის დაბალი დონე მეტწილად ჩინეთის ეკონომიკის ჯერ კიდევ დაბალ ეფექტიანობაზე, საზოგადოების ფენებად დაყოფაზე და მოსახლეობის არასრულ ჩართვაზე ინოვაციურ მოდელვაობაში. საკმაოდ ძლიერი განზრევა შეინიშნება ქალაქსა და სოფელს შორის – ჩინეთში გლეხის საშუალოწლიურმა შემოსავალმა 2007 წელს დაახლოებით 592 დოლარი შეადგინა. საშუალო კლასი საკმაოდ მცირეა – მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით 4.1%. თითო დიდ ქალაქშიც კი იგი არ აღარბებს 8.7%-ს. ოფიციალური სტატისტიკით, უმუშევრობა დაახლოებით 4.2%-ს შეადგენს, მაგრამ, ექსპერტთა შეფასებით, ბევრად მეტია. იზრდება სერიოზული წინააღმდეგობა საზოგადოების შექმნულ და ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს შორის.

ჩინეთის სთვის დამახასიათებელი არეგიონალური უთანაბრობა – ზოგი რეგიონის განვითარებლობა და უზარმაზარი მდიდრული ქალაქების არსებობა, ისეთების, როგორებიცაა: შანხაი, ჰონგ-კონგი. ყველაზე მეტად განვითარდა ზღვისპირა რეგიონები, იმ დროს, როცა ქვეყნის

ჩრდილოდასავლური ნაწილი ჯერ კიდევ ჩამორჩენილია.

თავისი ექსპანსიის გამო, რომელსაც ახორციელებს ამ მომენტისთვის ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით, ჩინეთი იხდის მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ფასს, რადგან ბინძურდება გარემო და წყალსატევები. დღეს ეს ეკოლოგიური პრობლემები მიქმედებს ეკოლოგიურ ვითარებაზე უკვე ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. დიდა ატმოსფეროში გაშინაბოლქვი, ნიადაგი განიცდის ეროზიას, ხდება ტერიტორიების გაუდაბურება, ბინძურდება მდინარეების სათავები. ყოველივე ამას შემდგომში, რასაკვირველია, დასჭირდება მნიშვნელოვანი დანახარჯები ბუნების დამცავი ტექნოლოგიების განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების აღდგენისთვის.

ორიოდე სიტყვით შევეხებით პოლიტიკას ჩინეთში. ამ ქვეყნის პოლიტიკასა და იდეოლოგიაში დომინირებს კომუნისტური პარტია. ამასთან ერთად, იქ აქტიურად ვითარდება მესაკუთრების, მენეჯერების და საშუალო კლასის ფენები, რომლებიც პოლიტიკური სისტემის შემდგომი ევოლუციური განვითარების ბაზისია.

მე-20 საუკუნის მთორე ნახევარში მსოფლიოში ჩამოყალიბდა ეკონომიკა, რომელშიც ცხოვრების მაღალი დონე შენარჩუნებული იყო მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შუხლულ წრეში. დღეს ჩინეთი, როგორც „მსოფლიო სახელისონი“, ქმნის ხელმისაწვდომ სამრწველო და საყოფაცხოვრებო საქონელს ფასების და დანახარჯების მნიშვნელოვნად ნაკლები დონით. ამით ჩინეთის ეკონომიკა ხელს უწყობს ცხოვრების დონის და ხარისხის ამაღლებას მთელ მსოფლიოში, მათ შორის მისი ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისა.

განვითარებულ ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ-ში) ეცემა დასაქმება მრწველობაში, საშუალო ადგილები გადადის ჩინეთსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. ქარხნები გადააქვთ ჩინეთში. ეს სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ჩინეთის გაკლენით მიმდინარეობს დეფლაცია – ხდება ფასების მუდმივი კლება.

დღეს მსოფლიოს ადელეებს, გაუმკლავდება თუ არა ჩინეთი კრიზისს. ბევრი დასავლელი ეკონომისტი მიიხვევს, რომ კრიზისმა, რომელმაც გამოიწვია მსოფლიო მოთხოვნის დაცემა, უპირველესად აშშ-ში, დარტყმა მიაყენა ყველა ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკას, ამდენად, იგი გვერდს ვერ აუვლის ჩინეთსაც. მართლაც, ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი ამაჟამად ეცემა, შეინიშნება ინფლაციის ზრდა, იკლებს ექსპორტი,

ახალი ამონომისტი



იხრდება გაკორტება რიცხვი, უმუშევრობა. მაგრამ ჩინეთს აქვს უზარმაზარი შიდა ბაზარი და აშშ-სგან განსხვავებით განვითარებისთვის საოცრად დიდი სივრცე. მსოფლიო კრიზისთან გასამკლავებლად და შიდა მოთხოვნის შესანარჩუნებლად ჩინეთმა წამოაყენა ინფრასტრუქტურის განვითარების უმძლავრესი პროგრამა, კრიზისთან ბრძოლის ზომებს შორისაა – საცხოვრებელი ბინების მშენებლობის პროგრამები, ექსპორტის წახალისება, აქტიური

ფინანსური პოლიტიკა, საგადასახადო ტვირთის შემცირება.

მართალია, ზოგიერთი დასავლელი ეკონომისტი სიტუაციას უყურებს პესიმისტურად, მაგრამ რიგი ცნობილი ექსპერტებისა აღიარებენ რა ჩინეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივებად მიიჩნევენ, რომ მათ შეუძლიათ არა მარტო თავიანთი ქვეყნების, არამედ მთელი მსოფლიო ეკონომიკის გამოყვანა კრიზისიდან.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Б.Н.Кузык, М.Л.Титаренко, «Китай-Россия 2050: стратегия соразвития», Институт Дальнего Востока РАН, Москва, 2006 г., ст.32.
2. ХУАН Дингуй, доктор экономики, заместитель директора Института экономики Хайнаньского университета (КНР), «Китай: подходы и особенности экономических преобразований», <http://chinapro.ru/economy/2/>
3. Money and Credit Recorded Rational Growth and Financial System Performed Stably, People's Bank of China, <http://www.pbc.gov.cn/english/detail.asp?col=6400&ID=1245>
4. А.С.Селищев, Н.А.Селищев, «Китайская экономика в XXI веке», СПб, Питер, 2004 г.
5. С.Дружинин, «Китай штампует автомобильные новинки», <http://www.chinapro.ru/rubrics/1/915/>
6. И.Чуприн, «Китай в январе вышел на первое место в мире по объему автопродаж», <http://www.rian.ru/economy/20090206/161118008.html>
7. [www.r93.ru/news/2009/01/14/185.html](http://www.r93.ru/news/2009/01/14/185.html)
8. [www.gzt.ru/topnews/business/-volvo](http://www.gzt.ru/topnews/business/-volvo).
9. Малое предпринимательство Китая, <http://www.giac.ru/>
10. Economy of the People's Republic of China, [http://en.wikipedia.org/wiki/Economy\\_of\\_the\\_People's\\_Republic\\_of\\_China](http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_the_People's_Republic_of_China)
11. ЧЖОУ СИНЬЧЭН, директор Института Восточной Европы и Средней Азии Народного университета Китая (Пекин), «Экономическая реформа в Китае: достижения и задачи», <http://rusref.nm.ru/indexpub17.htm>
12. Регионы Китая, <http://www.china.org.cn/russian/75042.htm>
13. Дин Жуджунь, Ковалев М.М., [http://www.economy.bsu.by/library/Дин%20Жуджунь/Жуджунь\\_Ковалев\\_Путь\\_к\\_рыночной\\_экономике.pdf](http://www.economy.bsu.by/library/Дин%20Жуджунь/Жуджунь_Ковалев_Путь_к_рыночной_экономике.pdf)
14. А.Н.Анисимов, «ФИНАНСОВАЯ СТРАТЕГИЯ КИТАЯ», [http://www.netda.ru/belka/economy/aspec/raspad11\\$.htm](http://www.netda.ru/belka/economy/aspec/raspad11$.htm)
15. Б.Б.Рубцов, Финансовый рынок КНР, [www.mirkin.ru/\\_docs/finsistema\\_kitai.pdf](http://www.mirkin.ru/_docs/finsistema_kitai.pdf)
16. ჰაბუბაე ნ., ვუჰაიპეი შ., ჩინური ბიზნეს-ფსიქოლოგიის ზოგიერთი ასპექტი. “ახალი ეკონომისტი” 2, 2010, გვ.41-45.
17. Обнародована стратегия развития энергетики Китая, <http://www.minatom.ru/News/Main/view?id=30663&idChannel=343>
18. «Китай становится ведущим научным центром мира», <http://www.svobodanews.ru/Article/2006/12/11/20061211140926833.html>

საგარეო ეკონომიკის





**NUGZAR BABUADZE**

Academic doctor, Professor

**President** of International Association "Friends of China",

Sole Rights Agent of some major Companies

of CPR in Georgia


Chinese people, who lived for long period of time, have made a number of different national features. on the one hand they are hardworking people, on the other hand they have learned how to avoid imperfections of business environment, at the same time, they have a very great competitiveness, no less important feature is- predisposition to copy a positive experience, both - local and foreign, In addition, they have an ability to compete at the local level, as well as at the international.

China's economy is a mixed-system-it is a large conglomerate of governmental enterprises, as well as, it is a private sector of a small and medium enterprises. In China was not quickly destroyed the governmental sectors. The Enterprises were renewed and transition for the free -market prices was also gradually achieved .

The main secret of success for China's economic reform is that, the country has used such instruments of the state policy as the state's active role, reasonable financial stability, competition, openness, imports of new technology and favorable investment climate

სახელი პატრონი





ილია ჯავახიშვილი ეკონომიკური თავისუფლების

ღირებულებით საფუძვლების შესახებ



შოთა ვაშაბიძე  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
სტუ ასოცირებული პროფესორი

მსოფლიო გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ლიბერალური ეკონომიკის გზის არჩევა ყველაზე სწორი პასუხია ნებისმიერი ეკონომიკური კრიზისის და სირთულის დასაძლევად. მის დადასტურებად შეიძლება მოვიყვანოთ თუნდაც აშშ და ჩინეთის მაგალითები, რომლებიც ყოველგვარ პრობლემას იმით ჭრან, რომ სულ უფრო მეტ ლიბერალიზმს ამკვიდრებენ. თუ შედეგებით ვიმსჯელებთ, საქართველოსთვისაც არცერთი ეკონომიკური პოლიტიკა, არცერთი ეკონომიკური რეცეპტი თუ მოძღვრება არ ყოფილა ისეთი გამართლებული და წარმატებისა და ზრდის მოძმანი, როგორც გამოდგა მაქსიმალურად ლიბერალური ეკონომიკის შენების კურსი.

საკუთარმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ლიბერალური, გახსნილი და თავისუფალი ეკონომიკა არის არა მარტო წინსვლის გარანტი, არამედ სწორედ ისაა ყველაზე სწორი და ერთადერთი პასუხი ნებისმიერ ეკონომიკურ კრიზისსა თუ პოლიტიკურ ძნელდობლასზე.

ბუნებრივია, გვებოძება კითხვა: რატომ გაამართლა ეკონომიკის ლიბერალურმა კურსმა საქართველოში? ამ კურსმა გაამართლა იმიტომ, რომ ის არ არის ჩვენთვის უცხო, გამომდინარეობს ჩვენივე ტრადიციებიდან, პასუხობს ჩვენი ახალხის მისწრაფებებს, ე.ი. ჩვენ სწორი კურსი ავირჩიეთ, რომლის წყაროც გავგანანდა პირველი ქართველი ლიბერტიანელის ილია ჭავჭავაძის ლიბერალური ეკონომიკური იდეოლოგიის სახით. 2009 წლის 6 ოქტომბერს პარლამენტში გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა უაღრესად მისადაგებლად შემდეგი აღნიშნა:

„ზოგიერთები ამბობენ, რომ ლიბერალიზმი ჩვენთვის ზედმეტად უცხო სიტყვაა, გეპირტიკებენ, რომ ამ მთავრობამ ყველაფერი არაქართული თავს მოახვია ქვეყანასო, ამბობენ არატრადიციული

ეკონომიკური ფასეულობები შემოაქვით, ნერგავენ იმას, რაც ჩვენი სისტემის ორგანული ნაწილი არ არისო.

შეიძლება რაღაც საკითხებში ჩვენ მართლაც გვიწევს ავიღოთ ის, რაც სხვა კულტურებს შეუქმნიათ წარმატებისთვის და ამით კიდევ უფრო გავამდიდროთ ჩვენი დიდი კულტურა და ცოდნა.

მაგრამ როდესაც საქმე ეკონომიკურ ლიბერალიზმს ეხება, ჩვენ არავისგან არაფერი არ გვაქვს გადმოსაღები. ჩვენი ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიას რა თქმა უნდა ამყარებენ მილტონ ფრიდმანი და მურეი როთბარდი, პაიეი და ფონ მიზესი, მაგრამ მათთან ერთად და უწინარესად ყოველთა, ჩემთვის მთავარი აღმავრების წყარო მეცხრამეტე საუკუნის უდიდესი ქართველი მოაზროვნე და ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოებრივი შეგნების ერთ-ერთი ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძეა.


ჩვენ ყველანი აღვიზარდეთ ილიას შემოქმედებაზე, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ სწორედ ილია იყო პირველი ქართველი ლიბერტიანელი თავისი ეკონომიკური ფილოსოფიით.

ილია იყო პირველი ქართველი, ვინც ქადაგებდა თავისუფალ ვაჭრობას, გახსნილ ეკონომიკას, მთავრობის მცირე ჩარევას ეკონომიკაში და დაბალ, ლიბერალურ გადასახადებს. ეკონომიკურ ლიბერალიზმს იგი „ფრთხილდრობას“ ეძახდა და განმარტავდა, როგორც ადემ-მიცემობის თვისუფლებას“ [2]

ჯერ კიდევ გრიგოლ რობაქიძე მიიხსენებდა, რომ ილია ჭავჭავაძე საქართველოს გენიაა, მისი სიმბოლოა, მარადიულ ღირებულებათა საწინდარი, მარად ჩვენი თანამედროვეა. ეს არის სრული ჭეშმარიტება. „ჩვენი ლიდერი, ჩვენი იდეოლოგი და ეტალონი არის ილია ჭავჭავაძე“, განაცხადა ასევე მიხეილ სააკაშვილმა 2005 წლის 4 სექტემბერს

ახალი მეცნიერება





ბორჯომში გამართულ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომის შემდეგ კურორტის ცენტრში, ილია ჭავჭავაძის ძეგლის ოფიციალური გახსნის (კერძონია) ზე. მან, კვდიდ, აღნიშნა: „მინდა ვთქვა, რომ ილია ჭავჭავაძე, რომლის ძეგლსაც დღეს ოფიციალურად ეხსნი, არის ჩვენი ლიდერი, ჩვენი პარტიის, უმრავლესობის, ჩვენი პარლამენტისა და მთავრობის ლიდერი. იგი ჩვენი იდეოლოგი, ჩვენი ეტალონი არის.“

თავის დროზე ილია ჭავჭავაძე დადგა ყოველგვარ ქიშპე, ყოველგვარ მტრობაზე, ყოველგვარ ურთიერთდაპირისპირებაზე მალდა და თქვა: „მთავარია საქართველო, მთავარია ერთიანობა, მთავარია ქართველი ერი და მისი ერთიანი მენტალიტეტი. მთავარია ერთიანი საქართველოს იდეა, რომელიც მაშინ ბევრად უფრო სუსტად ჩანდა, ვიდრე დღეს ჩანს.“

არა ლანძღვის, არა ერთმანეთის დაპირისპირების, არა ერთმანეთის გაუტანლობის, არა საქართველოს ძირისგამოთხრის გზით, არამედ ილიას გზით, ჩვენ აუცილებლად ჩავალთ სოხუმში და შევასრულებთ ქართველი ხალხის საუკუნოვან ამოცანას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, №209, 6 სექტემბერი, 2005, გვ. 2).

ილია ჭავჭავაძის ლიბერტიანული ეკონომიკური ფილოსოფია ერის ფუნდამენტური, მატერიალური ინტერესების ხორცშესხმას ემსახურება. ვინაიდან, როგორც ილია მიიჩნევდა, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, როცა საქონელი არ არის ფასაწეული ბაჟის ან რაიმე სხვა ფორმალბობის გამო, ის ყველასათვის ადვილად ხელმისაწვდომია. ადამიანი კი ეკონომიკურად მით უფრო ბედნიერია, რაც უფრო სრულად, ადვილად და გაჭირვების გარეშე იკმაყოფილებს თავის გონიერულ მოთხოვნილებებს. გეიხსნიდა რა „ფრიტრედერობას“, ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ფრიტრედერობა წარმომდგარა ინგლისურის სიტყვისაგან free trade და სიტყვა-სიტყვით რომ ითარგმნოს, კნისშნავს: ადებ-მიცემობის თავისუფლებასა, იმაში მდგომარეობს, რომ საადებ-მიცემო საქონელი, შინაური თუ გარედა შემოსული, ყოველის ბაჟისა და გადასახადისაგან დახსნილი იყოს და არა რომელიმესამე კანონმდებლობისაგან შეხუთული არ უნდა იქნას. ეს მოძღვრება იმაზე დაფუძნებული, რომ თავისუფლად მოარული საქონელი, არ-შეხუთული არც ბაჟისა და არც რაიმე ფორმალბობისაგან, ყველასათვის ადვილად მისაბოკებელია და მისაწვდენი, – ჯერ იმის გამო, რომ გახშირებულია, და მერე იფოია, რადგანაც ბაჟისა და ან რაიმე შევიწროებისაგან განგებ


ფასაწეული არ არის. მართალიც არის. ბაჟი, დიდა თუ მცირე განგებ ზედშეკცილი გადასახადია, და რამოდენადაც იგი დიდაა, იმოდენად განგებ აძვირებს საქონელსა და ამ გზით საქონლის ფასი, რომელიც თავის საკუთარის არსების კანონებისაგან განისაზღვრება და დაიდგინება ხოლმე, ბაჟისა და სხვა რაიმე შევიწროების მეტნაკლებობასაც უნდა ექვემდებარებოდეს და ეკითხებოდეს. სახელმწიფო, რომლის მიხედვით და საბუთი არსებობისა სხვა არა არის რა, თუ არ მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მზრუნველობა, უნდა იმასა ჰქვიდლობდესო, ამბობენ ფრიტრედერობის მომხრენი, რომ ცხოვრებასა და საქირო საქონელი ადვილად და იყვად მოსაბოებელი იყოს ყოველის მკვიდრისათვისო, რადგანაც მკვიდრი კაცი მით უფრო ეკონომიურად ბედნიერია, რამოდენადაც უფრო სავსედ, უფრო მთლად კშოვლობს სარწო-საბადებელსა და რამოდენადაც უფრო ბევრს საქიროებას ცხოვრებისას იკმაყოფილებს ადვილად და გაუჭირებლად“ [4, გვ. 317-318:5]

წერდა რა ამ სტრიქონებს, ილია ჭავჭავაძე აქვე (იხ. გვ. 318-320) მოიხსენიებდა ადინშნული მოძღვრების შემქმნელ დიდ მეცნიერებს ადამ სმიტს, „სახელოვან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომს“, რომელიც „მამამთავრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა“; „სახელოვან ინგლისელებს კოდენსა და ბრაიტს“; ინგლისის „მთავარმინისტრს“ რობერტ პილს, რომელმაც „1846 წელს გააუქმა პურზე დადებული ბაჟი, პური სულ მთლად გაანათავისუფლა ბაჟისაგან ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდლოდ“; „ამ მოძღვრებას მოსარწმენდნი ამა მოძღვრებას ინგლისში, საფრანგეთშიაც, ბევრი ცოტად თუ ბევრად სახელგანთქმული მეცნიერი მიემხრნენ ამ მოძღვრებასა, მაგალითებრ, ბასტია, შვეალი, გარნიე პაუეს და სხვანი“. როგორც ავტორი აქვე დასძენდა: „დროთა მიმავლობაში ამ მოძღვრებამ ისეთი სახელი გაითქვა, რომ ერთაშორისმა კანონმდებლობამაც კი შეიწყნარა და სათავედ დაუდგა ყოველს თვისმოქმედებასა. ამ მოძღვრების საფუძვლად შესდგა 1861 წ. ადებ-მიცემობის კონვენცია (ხელშეკრულება) ინგლისსა და საფრანგეთს შორის და 1865 წ. გერმანიასა და საფრანგეთს შორის“. [4, გვ. 319:5]

ჩამოაყალიბა რა ლიბერალიზმის ქართული ნიორსახეობის იდეოლოგია და მოძღვრება საქართველოში ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ ისე, რომ არ დაეკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადამ-წესები და

ახალი მკონომიკიზმი





ჩვეულებები და თან, ამასთან ერთად, სხვისი მოწინავე გამოცდილებაც გავითვალისწინოთ, ე.ი. მივაღწიოთ მის ოპტიმალურ სინთეზს, ილია ჭავჭავაძემ ამით საფუძველი დაუდო თავის საკუთარ დოქტრინას ლიბერალიზმისა და... უნდა ითქვას, რომ იგი არის ავტორი და შემოქმედი ასეთი დოქტრინებისა არამარტო ეკონომიკის, არამედ სხვა მრავალ სფეროში: ფილოსოფიაში, სამართალში, რელიგიაში, ისტორიაში და ა.შ. მისი თითოეული სიტყვა მაგალითი და ანდერძია ჩვენი ენის იმისათვის, თუ როგორ მივაწვიოთ ჩვენი ცხოვრება ჭეშმარიტი ადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით. როგორც ეკონომისტი, რომლის კლამს ეკუთვნის თითქმის თითხმეტ ტომსე მერტი ეკონომიკური ხასიათის ნაშრომები და პუბლიკაციები, ილია ჭავჭავაძე თავისავე მიერ „სახელგან ინგლისელ პოლიტიკო-ეკონომად“ და „საკოლიტიკო ეკონომიის მეცნიერების მამამთავრად“ მოხსენიებულ ადამ სმითით დიდია მთელი მსოფლიოსათვის, ჩვენი ქვეყნისათვის კი კიდევ უფრო დიდია. უბრალოდ, ისტორიული ძნელებეობის და შექმნილი ვითარების გამო ჩვენ ვერ შევძელით ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, განსაკუთრებით მისი ეკონომიკური დოქტრინის ნაწილობრივ მაინც წარმოიქმნა ციფლიზებული ქვეყნებისათვის, თორემ ამ ჩვენი აზრების სისწორეში მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ილია მსოფლიო მარწმუნებულია კულტურული საგანძურის თვითმყოფადი ბურჯია. ამიტომაც ჩვენი ამოცანა დღეიდანაც უნდა იყოს, რომ ეს ბუმბერაზი შემოქმედი თავისი ეკონომიკური იდეოლოგიის მთელი პერიპეტებიტ სხვა ერებსა და ხალხებსაც გავაცნოთ.

აქ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის მნიშვნელოვანი ფაქტი, როდესაც 2010 წელს საქართველოში ვიზიტისას, აშშ-ში ვიცე-პრეზიდენტს, ბ-ნ ჯო ბაიდენს, საქართველოს პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენციაში შეხვედრისას ილია ჭავჭავაძის დიდი პორტრეტი წარუდგინა და მის შესახებ რამდენიმე წუთი ესაუბრა. ხოლო ქართველმა ეკონომისტმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ავთანდილ სილაგაძემ ილია ჭავჭავაძის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ეკონომიკური დოქტრინების აშშ-ში ინგლისურ ენაზე გამოცემით ქართული ეკონომიკური აზრი ამერიკელი და მსოფლიოს სხვა ხალხებისთვისაც ხელმისაწვდომი გახადა, რაც მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. [3]

ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი ღირებულებებითი საფუძველები, რომელთაგან უპირველესი არის შესაძლებლობების შექმნა, უფრო ზუსტად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შექმნა.

იმისათვის, რომ განეხორციელოთ და შეუქცევად გაეხადოთ ლიბერალური ეკონომიკური კურსი და დავიცვაოთ ჩვენი მონაპოვარი, საჭიროა შევუქმნათ ინსტიტუციური საფუძველი ჩვენი ეკონომიკის თავისუფლებას. ეს საფუძველი კი არის ეკონომიკის მთავარი ღირებულებითი ორიენტირები, რომლისკენაც დღეიდანაც უნდა ვისწრაფვოდეთ. საქართველოს პრეზიდენტმა ლიბერალური ეკონომიკის ღირებულებითი ორიენტირები შემეფგნარიად დაახასიათა:

- „თავისუფლება – გამოხატული მთავრობის მცირე ზომაში, დაბალ გადასახადებში, სახელმწიფო ჩარევისა და ბიუროკრატიული დისკრეციისაგან მეწარმის და მოქალაქის მაქსიმალურ თავისუფლებაში.

- შესაძლებლობები ყველასათვის – ხელშეწყობილი თავისუფალი ეკონომიკით და გამჭვირვალე მმართველობით, ამასთან გაზრდილი სოციალური მობილურობის საშუალებით ხელმისაწვდომი განათლება, გულმოდგინე შრომა და წესებით თამაში როგორც განვითარებისა და წინსვლის უმთავრესი საფუძველი.

- ღირსება – სახელმწიფო დახმარების სამართლიანი გავრცელება მათზე, ვისაც არ შეუძლია მინიჭებული შესაძლებლობების გამოყენება. ისე, რომ თავის რჩენის უნარს მოკლებულ მოქალაქებს შეუნარჩუნდეთ საშუალება იცხოვრონ ღირსეული ცხოვრებით“.

[2]

ეს სამი ფასეულობა არის ის, რაც დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ჩვენს მოქალაქესა და მეწარმეს. მთავრობის მინიმალური ჩარევა ბიზნეს საქმიანობაში; თანაბარი შანსი დასაქმებისა და წარმატების მისაღწევად და ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფაში სახელმწიფოს დახმარება მათთვის, ვინც ვერ ახერხებს არსებული შესაძლებლობების გამოყენებას. ეს არის თანამედროვე ლიბერალური ეკონომიკური ხედვის ქვაკუთხედი.

პრეზიდენტის მიერ მომზადებული ეკონომიკური თავისუფლების აქტით შემოთავაზებულია: საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან კონსტიტუციურად განისაზღვროს, რომ არ იქნება 30%-ზე მეტი. ასევე შემოთავაზებულია ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან

თავისუფლება



კონსტიტუციურად დაფიქსირდეს რომ იქნება არაუმეტეს 3%-სა, ხოლო მთლიანი სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არაუმეტეს 60%-სა. თავისუფლების აქტი გეთავაზობს უკვე დადგენილი ლიცენზიების და ნებართვების რაოდენობის გაზრდის აკრძალვას.

თავისუფლების აქტის თანახმად, უნდა აიკრძალოს ახალი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების შექმნა, უკვე არსებულის გარდა ისეთ სფეროებში, როგორცაა: ფინანსური მოსმასურება, კომუნიკაციები და ენერგეტიკა. სახელმწიფოს აკრძალვა კომერციული ბანკების წლის ფლობა და ნებისმიერი სახის პროდუქციისა თუ მომსახურებაზე ფასის დაწესება. ამით საქართველოში მუდმივად იქნება უზრუნველყოფილი ფასების დადგენის თავისუფლება.

ღრმად გვწამს, რომ ასეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება აუცილებლად მოგვითანს დადებით შედეგებს, რაც ჩვენ პაერიოთი გეგირდება, ეინიდან ჩვენი მოსახლეობის მეოთხედი კვლავ რჩება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, რისთვისაც დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის 30-მდე მიემართავეთ სოციალურ უზრუნველყოფასა და პენსიებზე, ჯანდაცვასა და განათლებაზე.

დადესდებით, ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ სოციალური მიზნებისათვის გამოყოფილი ფონდები ჯერჯერობით სამართლიანად არ ნაწოდება. სწორად ამ საფინანსო საშუალებებიდან დახმარებებს არ დებულობენ ისინი, ვინც ამას ყველაზე მეტად საჭიროებს. ამიტომ თავისუფლების აქტი გაამყარებს იდეას, რომ ბიუჯეტის სახსრები უნდა იქნენ გამოყენებული ისე, რომ ჩვენს მოქალაქეებს მისცენ საშუალება, სადაც შესაძლებელია, თავად გააკეთონ არჩევანი და არ იქნან მიმართული მომსახურების სახელმწიფო მიმწოდებლის პირდაპირი დაფინანსებისათვის. ანუ დაეაფინანსოთ არა ინსტიტუტები და

ორგანიზაციები, სადაც პაციენტი იძულებული იქნება არჩევანის გარეშე მივიდეს, არამედ დაფინანსოთ ადამიანები ვისაც ეს დაფინანსება ეკუთვნის და ყველაზე მეტად სჭირდება და მათ დაეუბოთოთ არჩევანის საშუალება. ხოლო ინსტიტუტები დაფინანსდებიან ამ ადამიანების არჩევანის შედეგად მიღებული შემოსავლით.

სწორედ ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა მოგვცემს საშუალებას, რათა წარმატებით დავაღწიოთ თავი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, იზოლაციონალიზმის გზის არჩევით კი, ჩვენ მას თავს ვერ დავადწვეთ. ამისათვის კი საჭიროა ფეხი აუწყოთ მსოფლიო გლობალიზაციის მიმდინარე პროცესებს და არ ჩაიეკტოთ ჩვენს ნაჭუჭში, ვისწავლოთ გლობალიზაციის შესაფერისი, მასშტაბური ეკონომიკური აზროვნება.

თავისუფლება პასუხისმგებლობის გარეშე წარმოუდგენელია. წარმატებას მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ, თუ ჩვენს ღირებულებებს ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სისტემებამ და ჩამოყალიბებთ და ჩვენი ოჯახების კეთილდღეობამდე და ღირსეულ დასაქმებამდე მივიყვანოთ საქმეს. ასეთია ჩვენი გზა, რადგან მარტოოდენ ენთუზიაზმით წინ ვერ წავალთ. ჩვენ გეგირდება ჩვენი ღირებულებების ინსტიტუციურ და ეკონომიკურ სისტემებამ გარდასახვა და, რაც ასევე მთავარია, ჩვენ გეგირდება თითოეული მოქალაქის მიერ გაცნობიერებული პასუხისმგებლობა, მონდომება და შრომისმოყვარეობა. საჭიროა შევიკათო როგორც ერთი ორგანიზმი, როგორც ერთი კომპანია და ავიღოთ საერთო პასუხისმგებლობა ქვეყნის გასაძლიერებლად და გადასარჩენად.


ლიბერალური ეკონომიკის შენების ჩვენ გზაზე ჩვენი მთავარი ღირსება უნდა იყოს თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სააკაშვილი მ., "ჩვენი ლიდერი, ჩვენი იდეოლოგი და ეტალონი არის ილია ჭავჭავაძე". "საქართველოს რესპუბლიკა", 6 სექტემბერი, 2005.
2. სააკაშვილი მ., ეკონომიკური თავისუფლების აქტი, გამოსვლა საქართველოს პარლამენტში 2009 წლის 6 ოქტომბერს, [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge).
3. სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბილისი, 2010.
4. ჭავჭავაძე ი., სატამოეო პოლიტიკა ევროპაში, ფრიტრედეროდა და პორტექციონობა, თხზ: ტ/7
5. Avtandil Silagadze, Aspects of Economic Doctrines in Georgia, California, 2010.

ახალი ამბები





**ILIA CHAVCHAVADZE ABOUT VALUE BASIS OF ECONOMICAL LIBERTY**

**SHOTA VESHAPIDZE**  
**Doctor of Economics Sciences,**  
**GTU Associated Professor**

In the terms of global economics, choosing liberal economical way is correct to overcome economical difficulties. Many countries deal with problems by settling more liberalism. This course was useful for Georgia because it follows country's traditions and is answering people's aspirations.

One reason of liberal economic course's success is that we have enough soil for this course like liberal economical ideology of Ilia Chavchavadze, which main valuable oriens are freedom, possibility and dignity.

სახლი გამომცემისში





თამარ ალადაშვილი

თბლისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, მეცნიერ-ხელმძღვანელი, ემდ. სრული პროფესორი  
ლალი ჩაბიძიანი

ახალი პერიოდის

მეოცე საუკუნის დასასრული საქართველოს ისტორიაში უდიდესი შემობრუნების პერიოდია. იწყება სრულიად ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიაში. საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა, საქართველოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდება, ისტორიულ მღვწევებს თან ახლავს ვითარება მნიშვნელოვანი დანაკარგები, უარყოფითი შედეგები, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის რეალური საფრთხე, საწარმოო პოტენციალისა და წარმოების მოცულობის მასშტაბური შემცირება, უმუშევრობის მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა და დიდი ნაწილის სიღარიბე.

საქართველოს ეკონომიკაში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული სტრუქტურულმა ცვლილებებმა, წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანმა შემცირებამ უმუშევრობის მასშტაბების სერიოზული ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. დასაქმების პრობლემა ჩვენს ქვეყანაში არ მიეკუთვნება გარდამავალ პერიოდის ხანმოკლე დროის მანძილზე მიმდინარე პრობლემათა რიცხვს, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ ამოსავალ მაკროეკონომიკურ ამოცანას ხანგრძლივ პერსპექტივაში, რადგან გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი და წარმოების განვითარების დღევანდელი ტემპი, ნაკლებსაიმედოა იმის დასასაბუთებლად, რომ არსებული ან ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციები და საწარმოები, კომერციული თუ საშუაშაგლო ფირმები უზრუნველყოფენ ყველა სამუშაოს მაძიებელი მოქალაქის დასაქმებას [1].

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური შედეგები განიხილება ისეთ

მნიშვნელოვან გლობალურ პრობლემებთან ერთად, როგორცაა სიღარიბე და სოციალური სტაბილურობა, რადგან უმუშევრობა უარყოფით გავლენას ახდენს ოჯახების როგორც მიმდინარე, ისე მომავალ კეთილდღეობაზე. უმუშევრობა არ ნიშნავს მარტო შემოსავლის გარეშე დარჩენას, არამედ ნიშნავს სოციალურ იზოლაციას, ვინაიდან აღმიანებს უწყვეტ კონტაქტების გაწყვეტა არსებულ წრეებთან [2]. უმუშევრობა არყვეს ადამიანის ფსიქიკას, წარმოშობს სტრესულ მდგომარეობას, ზრდის დამნაშავეობას, აიძულებს ადამიანს ეძებოს სამუშაო საშუალოდსავე შორს. უმუშევრობა ზრდა ნიშნავს, რომ სასოფლოველი ვერ იყენებს მთავარ ფაქტორს – ადამიანს, მის ინტელექტს, ლოგიკასა და ფანტაზიის უდიდეს შემოქმედებით უნარს წარმოების განვითარებისათვის.

უმუშევრობის შესაფასებლად გამოიყენება რიგი მაჩვენებლები, მათ შორის უმუშევრობის დონე და უმუშევრობის ხანგრძლივობა.

ეკონომიკური დანაკარგების გაანგარიშებისას, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, უმუშევრობის ბუნებრივ დონედ, ანუ ფრიკიული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამად აიღება 5-7%. საქართველოში ბოლო წლებში უმუშევრობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოწვეული პროდუქციის და გაწეული მომსახურების შემცირებაა, როდესაც სამუშაოს მსურველთა უმარადესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკავლოდ იკარგება, რაც გამოიწვევს ჩამორჩენას მთლიანი ეროვნული პროდუქტიდან, უფრო კონკრეტულად ოგი იანგარიშება როგორც სხვაობა პოტენციურ მთლიან ეროვნულ პროდუქტსა და ფაქტობრივ ეროვნულ პროდუქტს შორის. აღნიშნული თანაფარდობა საშუალებას იძლევა გამოთვლილ იქნეს უმუშევრობით გამოწვეული





პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები. ამიტომ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ოფიციალური სტატისტიკის მიერ გაცხადებული დარეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ფაქტობრივად არსებულ უმუშევართა რაოდენობაზე. საქართველოში დასაქმების სამსახურის იმედი უმუშევრებს ნაკლებად აქვთ, ამავდროს უმუშევართა სახელმწიფო მხარდაჭერის თითქმის არარსებობის გამო, დარეგისტრირება უმუშევრისთვის აზრს კარგავს. ექსპერტების ვარაუდს თუ გაეზიარებთ, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, საქართველოში უმუშევართა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და ის შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედზე მეტია [2].

საქართველოში დღესდღეობით უმუშევრობის მაღალი დონის გამოწვევი შემდეგი მიზეზები არსებობს. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმებია რამაც ათასობით ადამიანი სამუშაო ადგილის გარეშე დატოვა. მეორე, ახალი ეკონომიკური წესრიგი საშუალებას აძლევს ფირმებს გაიტანონ თავიანთი წარმოება ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ამით მოახდინონ უცხო მუშახელის დაქირავება, რომელიც უფრო მაღალკვალიფიციურია, ვიდრე ადგილობრივი, საბოლოო ჯამში ადგილობრივი მუშახელზე მოთხოვნის შემცირებას მოყვება. გართულულები შრომის ბაზარზე საქართველოში შემოსული ინვესტიციების ნაწილს კი თან მოჰყვა უცხოური სამუშაო ძალა და შესაბამისად, ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის შემცირდა სამუშაო ადგილები. მესამე ფაქტორი არის ახალი ტექნოლოგიური წესი, მისთვის დამახასიათებელია არამექანიკური, ინფორმაციული, ნანოტექნოლოგიების გაბატონება და ცოდნის უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა, მისი საფუძვლილი თანამედროვე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

საქართველოში აშკარად იკვეთება ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა, რამაც შექმნა პირობები დასაქმებულთა მცირე რაოდენობით მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად.

უმუშევრობის ხელშემწყობი ფაქტორია ექსპორტ-იმპორტის დღევანდელი თანაფარდობა, იმპორტის მნიშვნელოვანი სიჭარბე ექსპორტთან შედარებით ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მიერ მოხმარებული პროდუქციის უმეტესი ნაწილი შექმილია უცხო ქვეყნების სამუშაო ძალის მიერ. სწორედ ამიტომ, დღეს საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება უმუშევრობის დონის შემცირება

შრომის ბაზრის მაქსიმალური მობილურობით და შრომის ფასის ლეგალიზაციით.

90-იან წლებამდე მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა მართვის ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემის პირობებში ყალიბდებოდა, როცა ცენტრალიზებული წესით ხდებოდა შრომითი რესურსების დარგობრივი და ტერიტორიული გადანაწილება. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფდა დასაქმებას სიცოცხლის ბოლომდე თავისი შრომითი კარიერის ძირითად ნაწილს დაქირავებულები ერთ საწარმოში ატარებდნენ და არ ხდებოდა პროფესიის შეცვლა. შესაბამისი გამორეილების შექმნას ადგილი ჰქონდა სამუშაო კარიერის საწყის ეტაპზე და შემდგომში სამუშაო ადგილზე ხდებოდა მისი გაღრმავება [13].


გამომდინარე იქიდან, რომ დასაქმებულებს არ გააჩნდათ სამსახურის დაკარგვის შიში, ხშირ შემთხვევაში მათი დამოკიდებულება სამსახურისადმი არაპროფესიონალური იყო, რამაც თავის მხრივ გამოიწვია წარმოებული პროდუქციის თუ მომსახურების ხარისხის თანდათანობითი კლება. შრომის ბაზრის გაუმჯობესება, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკის ვარდნას მოჰყვა, ძირითადად თვითდასაქმების ზრდისა და სამუშაო ძალის სასოფლო-სამეურნეო სექტორში გადანაწილების ხარჯზე იქნა მიღწეული და დღესდღეობითაც სამუშაო ძალის დიდი ნაწილი კვლავ თვითდასაქმებაზე ამყარებს იმედებს.

თვითდასაქმებულები სასოფლო-სამეურნეო სექტორში გადანაწილების ხარჯზე იქნა მიღწეული და დღესდღეობითაც სამუშაო ძალის დიდი ნაწილი კვლავ თვითდასაქმებაზე ამყარებს იმედებს. თვითდასაქმებულები სასოფლო-სამეურნეო სექტორში გადანაწილების ხარჯზე იქნა მიღწეული და დღესდღეობითაც სამუშაო ძალის დიდი ნაწილი კვლავ თვითდასაქმებაზე ამყარებს იმედებს. თვითდასაქმებულები სასოფლო-სამეურნეო სექტორში გადანაწილების ხარჯზე იქნა მიღწეული და დღესდღეობითაც სამუშაო ძალის დიდი ნაწილი კვლავ თვითდასაქმებაზე ამყარებს იმედებს.

საქართველოს შრომის ბაზრისთვის ასევე დამახასიათებელია ფართოდ გავრცელებული არასრული განაკვეთით დასაქმება და დროებით დასაქმება. დასაქმების ამგვარი მოდელები დამახასიათებელია თითქმის ყველა გარდამავალი

ახალი პერიოდი





ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, დასაქმების აღნიშნული სხეები მიუთითებს იმაზე თუ როგორ ცდილობენ ადამიანები მიგრაციას სამუშაოს ძალზე დაბალ მოთხოვნას სტაბილური სამუშაოს ხელმოქვეყნებისთვის გამო [3], არჩევენ დასაქვრდნენ მოკლევადიანი ხელშეკრულებების პირობებს და ნახევარი განაკვეთით მუშაობას. მართალია, ამგვარი დაქირავებით დასაქმების შესაძლებლობები მატულობს, მაგრამ ასეთი სამუშაო ადგილები ვერ უზრუნველყოფენ სიცოცხლე და ცვას და ზღუდვენ თანამიმდევრული პროფესიული ზრდის შესაძლებლობებს.

საქართველოში შრომის ბაზრის დაძაბულობა ნაწილობრივ განმუხტა მიგრაციულმა პროცესებმა [4]. საზღვარგარეთიდან გადმორიცხულმა ტრანსფერებმა სიცოცხლისუნარიანი გახადა ოჯახები, ფულადი გზავნილები საქართველოში აღმოსავლეთ ევროპისა და ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან შედარებით უფრო მეტად არის ორიენტირებული მოსაზრებაზე, ვიდრე დაბრუნებასა და ინვესტირებაზე. ინტელექტუალური ძალის მიგრაციამ, რაც ქვეყანაში შრომის დაბალი ანაზრატებით იყო განპირობებული, კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი წარმოქმნა შესაბამის სამუშაო ადგილებზე მის არაკვალიფიციური ძალით ჩანაცვლების შედეგად კი ქვეყანაში დაბალი შრომის მწარმოებლურობა შენარჩუნდა.

დასაქმების და უმუშევრობის სფეროში არსებული სირთულეები კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდება, თუ დასაქმების არსებულ დონეს განვიხილავთ დასაქმებლი მოსახლეობის შემოსავლებთან კავშირში. შევადგოთ იქნებოდა იმის თქმა, რომ დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა ოჯახის სარჩენად საკმარის შემოსავალზე ხელმისაწვდომობას ნიშნავს. მოსახლეობის შემოსავლის წყაროები ფრიად არასტაბილურია, იგი შედგება ხელფასის, პენსიის, სასუქრად ან სესხად აღებული ფულსაგან. ოჯახის შემოსავლის თითქმის ნახევარზე მეტი დიდად არის დამოკიდებული ისეთ წყაროებზე, რომელიც არ არის სტაბილური ან წელიწადის დროზე დამოკიდებული [4].

საქართველოში შემოსავლების სიმცირის პრობლემასთან ერთად დგას შემოსავლების განაწილების უთანასწორობის ძალზე მაღალი ხარისხის პრობლემა, იგი ერთ რიგში დგას სამხრეთ აფრიკისა და ბრაზილიასთან ანუ მსოფლიოში ყველაზე უთანასწორო საზოგადოებებთან.

შრომის ბაზრის სტრუქტურა ქვეყანაში მნიშვნელოვანწილად განათლების არსებული

სისტემის მდგომარეობით არის განპირობებული [5]. უმაღლესი განათლების რეფორმასთან ერთად მაღალკვალი ფიური სპეციალისტების მომზადებისათვის აუცილებელია დანერგული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის რეაბილიტაცია შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ზრდას, პირველ რიგში ახალგაზრდებს შორის, რომელთა ეკონომიკურად აქტიური კონტიგენტი ყველაზე სუსტადაა გამოყვებული. მართალია აღნიშნული მიმართულებით მუშაობა ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში აქტიურად მიმდინარეობს თუმცა მის რეალურ შედეგებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია რადგან, თუ ვადახევათ სტატისტიკურ მონაცემებს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა რაოდენობა კლების ტენდენციით ხასიათდება 2006წ. – 28.8 ათასი კაცი; 2007წ. – 17 ათასი კაცი; 2008წ. – 2.4 ათასი კაცი [6; 7].

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა ცვალებადია 2006წ. – 140.8 ათასი კაცი; 2007წ. – 112.10 ათასი კაცი; 2008წ. – 93.60 ათასი კაცი; 2009წ. – 102.70 ათასი კაცი [7] საქართველოს შრომის ბაზარი ტრადიციულად უმაღლესი განათლების მქონე სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი სიჭარბით ხასიათდება. ამიტომ აუცილებელია რადიკალურად შეიცვალოს უმაღლესი და საშუალო განათლების კადრების მომზადების დაგეგმვის ტექნოლოგია. იგი უნდა დაეფუძნოს შრომის ბაზრის მოთხოვნილებათა პროგნოზულ პარამეტრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შრომის ბაზარზე კვლავც ქცევა ადგილი პროფესიული დისბალანსისა და საჭირო გახდება დამატებით ხარჯების გაწევა კადრების გადამზადებისა და მეორადი განათლების მიღებისათვის. ამას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემებიც, უმუშევრობის დონის მატებასთან ერთად 2007წ. – 13.3%; 2008წ. – 16.5%; 2009წ. – 16.9%. მუდმივად მატულობს და 2009 წელს 2008 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა დოქტორანტთა რაოდენობა 2007წ. – 786 კაცი; 2008წ. 1588 კაცი და 2009წ. – 2986 კაცი.[2]

სწორედ ამიტომ უმუშევრობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ სოციალურ მიმართულებად დასახულია ისეთი კვალიფიკაციათა შექმნა, რომელიც აუცილებელია მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების დასაქვებლად, საკუთარი ბიზნესის ორგანიზაციისთვის, უმუშევართა

ახალი პერიოდი



სოციალური დახმარებიდან უპირატესად განათლებაზე თანდათანობით ორიენტაციის გაძლიერება შრომის ბაზრის სრულყოფის და ეკონომიკური ზრდის ძირითადი მიმართულება უნდა გახდეს.

ცხოვრების დონის გაუმჯობესების სამომავლო პერსპექტივა ძლიერ არის დამოკიდებული ეკონომიკის პოტენციალზე, შექმნას სამუშაო ადგილები და მოახდინოს სამუშაო ძალის გადანაწილება დაბალპროდუქტული სექტორებიდან მაღალპროდუქტული სექტორებისაკენ.

**ბაზოჩენიებული ლიტერატურა:**

1. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი 2001წ.
2. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბილისი 2002წ.
3. ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია, თბილისი 2005წ.
4. ბერიძე ლ. ჰიპოთეზილი მ., შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეურნალი კომერსანტი, თბილისი 2007წ.
5. კვიციანი მ., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., უმუშევრობის შემცირების მიმართულებები.
6. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, კვარტალური მიმოხილვა, აპრილი 2007წ.
7. http://www.geostat

**THR ROLE OF EDUCATION IN DEVELOPMENT OF LABOR MARKET**


**TAMAR ALADASHVILI**

The Doqtorant of Tbilisi State University  
of Economic Relations

The results of the structural changes in the direction of employment, the causes and effects of unemployment in Georgia from the beginning of 1990s are discussed in the paper called “New Economic Order and Employment Problems”. The labor market of Georgia is characterized with widespread incomplete rate of (part-time) employment and temporary employment. Furthermore, an important part of the public who is self-employed arranges the working conditions on his/her own initiative and they carry out the work activities independently.

In the paper one of the directions to find the way out of unemployment is considered strengthening the focus mainly on education gradually from social assistance to unemployed people as the major directions of improving labor market and economic growth.





დელარდ კამიტიმ,  
საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ახალი მაინომისტი

სტიმულების არსის შესახებ ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ და სხვა ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება, მათ შორის ისეთებიც, რომელთა მიხედვით სტიმულები წარმოადგენენ ადამიანის მოქმედების შინაგან აღმზნებელ ფაქტორს. მაგალითად, გ. ზაზურსკის აზრით, „გარეგანი აღმზნებისგან განსხვავებით, შრომის სტიმული წარმოადგენს შინაგან აღმზნებას, შეცნობილ პროცესს“<sup>1</sup>. მაგრამ მეცნიერთა უმრავლესობა, რომელთა აზრსაც ჩვენ ვიზიარებთ, სტიმულს მიიჩნევს გარეგან წამობიძებულ ძალად, რომელიც ადამიანში იწვევს მოქმედების მოტივს (ჩვენი აზრით ამ შემთხვევაში უმჯობესია „მოტივის“ ნაცვლად ტერმინ „იმპულსის“ გამოყენება). ძირითადად ამ აზრს აეთიარებენ ო. გოგიაშვილი ზემო აღნიშნულ ავტორთა მოსაზრებების კრიტიკულ ანალიზზე დაყრდნობით<sup>2</sup>. იგივე აზრი ეკონომიკური სტიმულების გარე აღმზნები მოქმედების შესახებ ნათლად ჩანს თანამედროვე დასავლურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ პრობლემების შესახებ<sup>3</sup>.

ამასთან, ტერმინი „სტიმული“ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოიყენება ეკონომიკური სტიმულის აზრით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისგან უნდა განავსხვავოთ ბუნებრივი სტიმული. მაგალითად, თუ თავისუფალი ადამიანი თავისთვის, თავისი ოჯახისათვის აწარმოებს მოცემულ პროდუქტს, მაშინ ეს პროდუქტი არის მისი ქცევის განმსაზღვრელი (გამომწვევი, აღმზნები) ბუნებრივი ფაქტორი. იგი შრომისაკენ უბიძგებს ადამიანს ისევე, როგორც მაგალითად, ხელფასის სურვილი, რომელიც იგი შემდეგ მისთვის საჭირო პროდუქტებს შეიძენს, მაგრამ ხელფასს მას აძლევს დამკირავებელი, ხოლო თავისთვის პროდუქტის

წარმოების შემთხვევაში მის სტიმულირებაში სხვა პირი არ არის ჩარეული, მაშასადამე, სტიმული არის ქცევის განმსაზღვრელი (გამომწვევი, აღმზნები) ყოველგვარი ფაქტორი – ნივთი. მოვლენა და სხვ. მათ შორის ბუნებრივი სტიმული არის ნივთი, მოვლენა, რომელიც სხვა პირთა გარეშე აღაზნებს ადამიანს მოქმედებისათვის, ხოლო ეკონომიკური სტიმული არის ნივთი, მოვლენა, რომელსაც ერთი პირი იყენებს მეორის მოქმედების გამოსაწვევად. მაშასადამე, ეკონომიკური სტიმული აუცილებლად ეკონომიკურ ურთიერთობაში წარმოიშობა. ხოლო ბუნებრივი სტიმული უშუალოდ წარმოადგენს ადამიანთა მიზანს და მათი ქცევის (მოქმედების) აღმძვრელს.

შეიძლება დაიბადოს აზრი, რომ ბუნებრივი სტიმულები არ წარმოადგენენ ეკონომიკური მეცნიერების კატეგორიას. მაგრამ ავიღოთ მაგალითი, როდესაც ადამიანები ერთად ნადირობენ და თანაწორად ინაწილებენ ნაწილობრივ. ისინი ინაწილებენ შრომასა და შრომის შედეგს, მაშასადამე, ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან, ხოლო მათი ინტერესი მაინც ბუნებრივ ინტერესს წარმოადგენს. მაშასადამე, ბუნებრივი სტიმულით გამოწვეული მოქმედება, კერძოდ, შრომა, შეიძლება ასევე განხორციელდეს ეკონომიკური ურთიერთობების საშუალებით, როდესაც ადამიანები ერთად აწარმოებენ ამა თუ იმ მათთვის საჭირო პროდუქტს, როდესაც გარეშე პირი მათ არ განუსაზღვრავს პირობას, ესა თუ ის სამუშაო ამა თუ იმ პარამეტრებით ამა თუ იმ ვადაში შესრულდნ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ განსხვავების აღნიშვნა ადამიანის ქცევაზე შრომის ეკონომიკური სტიმულების გავლენაში უფრო ნათლად გარკვევის

- 1 Зазерский Г.Д. Труд и его стимулы. Ленинград. 1970, с. 13.
- 2 Якобсон П.М. Психологические проблемы мотивации поведения человека. М. 1969, с. 297.
- 3 ო. გოგიაშვილი, შრომის სტიმულები, თბ., 1978, გვ. 14-21.
- 4 Питер Т. Чингос. Оплата труда персонала в динамичной деловой среде. Кн.: Оплата по результату. Из опыта оплаты труда персонала в США. Второе издание. Москва-Санкт-Петербург-Киев. 2004, с.25.
- 5 Роналд Дж. Эрэнберг. Роберт С. Смит. Современная экономика труда. Теория и государственная политика. М. 1996 с. 411.



საშუალებას იძლევა, რაც განსაკუთრებით ნათელია პირველ ყოვლისა მონის შრომის შემთხვევაში, რომელიც მოკლებული იყო როგორც ეკონომიკურ, ისე ბუნებრივ სტიმულს. ეს შრომა არა მხოლოდ მოკლებული იყო ყოველგვარ ეკონომიკურ სტიმულს, არამედ მის დროს ფაქტობრივად არ მოქმედებდნენ შრომის ბუნებრივი სტიმულები, რაზეც გავლენას ახდენდა სწორედ მონათმფლობელის მიერ მონის მიმართ დამოკიდებულება, როგორც უუფლებლობის მიმართ – მონათმფლობელი მონას ექცეოდა, როგორც პირუტყვს, ამუშავებდა მათრახის ქვეშ. მაგრამ იმისათვის, რომ მონა არ მომკვდარიყო შიმშილითა და სიცოცხლე, მონათმფლობელს მისთვის უნდა შეექმნა სიცოცხლის შენარჩუნების მინიმალური პირობები. დოვლათის ეს რაოდენობა, რომელიც მონას უნდა მოეხმარა, კავშირში არ იყო მისი შრომის შედეგთან, მაშასადამე, არ წარმოადგენდა მისთვის შრომის სტიმულს. როგორც აღნიშნეთ, თავისუფალი ადამიანისათვის, რომელიც თავისთვის მუშაობს, სწორედ პროდუქტია ბუნებრივი სტიმული, ხოლო მონა მონათმფლობელისათვის მუშაობს და რამდენიც უნდა იმუშაოს, მაინც მხოლოდ იმდენს მიიღებს, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, ხოლო უკეთესი შედეგისათვის მას უკეთესი ცხოვრება არ შეექმნება. მაშასადამე მონათმფლობელურ მეურნეობაში არ არსებობს კავშირი შრომის შედეგებსა და დანახარჯებს შორის, როგორც ეს არსებობს თავისუფალი ადამიანის მეურნეობაში, ამიტომ არის დაკარგული ბუნებრივი სტიმულიც.

როდესაც მონათმფლობელებისათვის ნათელი გახდა მონის შრომის დაბალი ეფექტიანობა თავისუფალი მწარმოებლების შრომასთან შედარებით. მონის შრომის სტიმულები, როგორც სუბიტი აღნიშნეთ, ფაქტობრივად არ არსებობდნენ, რაც მონის შრომის ეფექტიანობის გაზრდას შეუძლებელს ხდიდა. მონათმფლობელობის დაშლის პოცესი გულისხმობდა იმას, რომ გაბატონებულმა კლასებმა მიხანშეწონილად მიიჩნიეს გამოყოფა მონისათვის ნაკვეთი, რომელიც მათ საშუალებას მისცემდა თვითონ გადაწყვიტათ ეკონომიკის ცნობილი საში ფუნდამენტალური საკითხი – რა, როგორ და ვისთვის ეწარმოებინათ. ამ პროცესით დაიწყო მონათმფლობელობის გადაქცევა ფეოდალიზმად, ხოლო მონისა – ყმა გლეხად, რომელსაც ფეოდალად აღარ ექცეოდა როგორც პირუტყვს, რომელიც მის სრულ საკუთრებაში იქნებოდა.

ნათელია, რომ ამ ფუნდამენტური საკითხების გადაწყვეტაც შეზღუდული იყო მიწაზე ფეოდალური საკუთრებით და იმით, რომ ყმას უნდა


გადაეხადა მისთვის ნატურალური რენტა – ხორბალი, თაფლი და სხვ. ფეოდალური ნატურალური კარნაქტული მეურნეობა გულისხმობდა შეზღუდულ ბაზარს. მაშასადამე, საკითხები – რა, როგორ, ვისთვის – გადაწყვეტაში ყმა შეზღუდული იყო, რადგან არჩევანი ფაქტობრივად არ გააჩნდა. ფეოდალიზმის ადრინდელ ეტაპზე მისი შრომის ასეთი სტიმულების ეფექტიანობა დაბალი იყო, ამიტომ ფეოდალური რენტის ძირითად სახეობას წარმოადგენდა შრომითი რენტა, რომელიც გულისხმობს ყმის მუშაობას კვირის გარკვეულ დღეებში ფეოდალის მეურნეობაში. შემდგომში ბაზრის თანდათანობითი განვითარების შედეგად ფეოდალური რენტის ძირითად სახეობად გადაიქცა ნატურალური რენტა, ხოლო ბოლოს – ფულადი რენტა, რომელიც ფეოდალს და ყმას თავიანთი გადაწყვეტილებების უფრო ფართო არჩევანის საშუალებას აძლევდა.

ამრიგად, ფეოდალიზმის ეკონომიკური ისტორია ფაქტობრივად არის ფეოდალთა მიერ შრომის სტიმულების სრულყოფის ისტორია.

როგორც ცნობილია, ადამიანს იურიდიული თავისუფლება მიანიჭა კაპიტალიზმმა. კაპიტალიზმის დამყარება გულისხმობდა ფეოდალისა და ყმის რენტული ურთიერთობის შეცვლას შრომის დაქირავებით და შრომის ანაზღაურების ფორმით. კაპიტალიზმის დროს ადამიანს ექცევის სტიმულები საფუძვლიანად შეიცვალა, ამასთან, მათი ცვლილება გაუმდებოდა ხდება. მათ შორის, იცვლება შრომის სტიმულებიც. მანუფაქტურული ეტაპის კაპიტალიზმის დროს შრომის სტიმულები არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისეთი, როგორც – მანქანური კაპიტალისტური წარმოების შრომის სტიმულები, ხოლო პოსტინდუსტრულ სტადიაზე გადასვლის ეტაპზე ისინი ისეთი აღარ შეიძლება იყოს, როგორც იყო XIX საუკუნის მანქანური წარმოების შრომის სტიმულები. ეს სტიმულები განსხვავებულია არა მხოლოდ ქრონოლოგიურად, არამედ აგრეთვე დარგობრივი და ფუნქციონალური ასპექტებით. ნათელია, რომ შრომის სტიმულირების სრულყოფის პრობლემების გადაწყვეტაში მთავარ როლს ასრულებენ მეწარმეები. წარმოიშვა ხელფასის მრავალი სხვადასხვა სისტემა (ტვილორის, ფორდის და სხვ) რომელთა განხილვა ისტორიულ ასპექტში ჩვენი მიზანი არ არის. ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ძირითად თანამედროვე პროცესებს. კერძოდ, მაგალითად, საბაზრო ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად მწვავედება საკონფლიქტის გასაღების პრობლემა და

სოციალური მკვლევარი





ცალკე პრობლემად გამოიყოფა გასაღების მუშაობა შრომის სტიმულირება. ერთნაირი არ შეიძლება იყოს აგრეთვე მენეჯერთა და რიგით მუშაკთა შრომის სტიმულირება და სხვ.

**დასკვნა:** შრომის სტიმულების განვითარება მთელი ეკონომიკური ისტორიის უნივერსალური ასპექტის წარმოადგენს, ხოლო სტიმულები საერთოდ – ადამიანის ეკონომიკური ქცევის მამოძრავებელ ძალას.

ამიტომ ნათელია, რომ პრინციპი „ადამიანები სტიმულდებზე რეაგირებენ“ ეკონომიკის უნივერსალურ პრინციპს წარმოადგენს. მას მეთხევ ადგილი უკავია ნ. გრეგორი მენქიუს მიერ დასახელებულ ეკონომიკის ათ პრინციპს შორის<sup>6</sup>, რომლებიც ეკონომიკის შესწავლას იწყებს მილიონობით ადამიანი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ეს ამ პრინციპების მნიშვნელობაზე და ავტორის დამსახურებაზე მიუთითებს.

ამასთან, აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით ნ. გრეგორი მენქიუს მიერ ამ მეთხევ პრინციპამდე დასახელებული პრინციპები არ წარმოადგენს იმ პრინციპებს, რომლებიც ადამიანის მოქმედებას (სამოქმედოდ მის აზრებას)

იწყვედნენ. კერძოდ, ისმის კითხვა, რომ თუ პირველ პრინციპს წარმოადგენს „ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან“, მაშინ რატომ დგანან ისინი ალტერნატივების წინაშე? რა უბიძგებს, რომ არჩევანი გააკეთოს დოვლათის სახეობებს შორის ერთ-ერთის სასარგებლოდ? ჩვენ აქ გამოვდივართ ბუნებრივი და ეკონომიკური სტიმულების არა მხოლოდ ჯემთ მორტიანილი განსხვავებიდან, არამედ აგრეთვე მათი ერთიანობიდან: დოვლათის ყოველი სახეობა ალაგზნებს ადამიანს სამოქმედოდ, მაშასადამე, ის წარმოადგენს სტიმულს, იმის მიუხედავად, ის ეკონომიკური, სხვა პირის მიერ ეკონომიკურ ურთიერთობაში ჩადებული სტიმულია თუ არა. მაგრამ ეს სტიმულები სხვადასხვა ძალით მოქმედებენ, ამიტომ ადამიანი, რომელიც ალტერნატივის წინაშე დგას, ირჩევს იმ ვარიანტს, რომელიც მისთვის უფრო მეტ სტიმულს წარმოადგენს.

თუ მეთხევ პრინციპში ჩვენ მხედველობაში გვექნება მხოლოდ ეკონომიკური სტიმულები (რომლებიც სხვა პირს შემოაქვს ადამიანებისათვის, როგორც ეს მენქიუს წიგნშია მოცემული), მაშინ, ნათელია, რომ მართლაც პირველ პრინციპს წარმოადგენს „ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან“, რადგან ადამიანი ამ შემთხვევაში

არჩევანს შეიძლება აკეთებდეს დოვლათის სხვა სახეობებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ ბუნებრივ სტიმულებს და არა – ეკონომიკურს, ეკონომიკურ სტიმულებზე რეაგირება ამ შემთხვევაში შემდეგ უნდა აღინიშნოს როგორც პრინციპი. მაგრამ ადამიანი არ შეიძლება იფასოს ალტერნატივების წინაშე, თუ მას არაფერი ასტიმულებს.

მაშასადამე, თუ ჩვენ მხედველობაში გვექნება ბუნებრივი სტიმულებიც, მაშინ ადამიანს ჯერ ეს სტიმულები – დოვლათის სახეობები უნდა აქირდეს ასარჩევი, რომ ალტერნატივების წინაშე დადგეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ადამიანი რეაგირებს სტიმულზე“ უნდა იყოს პირველი პრინციპი.


ნათელია, რომ აქვე არის საჭირო ითქვას ნ. გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელოში მოცემულ მეორე და მესამე პრინციპებზეც – ისინი ხომ არ უნდა იყოს დასახელებული უფრო ადრე, ვიდრე „ადამიანი რეაგირებს სტიმულზე“? მეორე პრინციპის მიხედვით „ნიუთის დანახარჯი არის ის, რასაც ვთმობთ ამ ნიუთის ფლობისათვის“. ნათელია, რომ თუ ვთმობთ რაიმეს მეორე ნიუთის მისაღებად, ამით ჩვენ ვწყვეტთ ჩვენს პრობლემას, თუ რომელი ვარიანტი ავარჩიოთ. მაშასადამე, ეს არის შემდეგი პრინციპი, რომელიც დამყარებულია ნ. გრეგორი მენქიუს სახელმძღვანელოში მოცემულ პირველ პრინციპზე: „მაშასადამე, იგი უფრო მეტად არ შეიძლება წარმოადგენდეს პირველ პრინციპს, ვიდრე ამ სახელმძღვანელოში მოცემული პირველი პრინციპი.“

მესამე პრინციპს სახელმძღვანელოში წარმოადგენს ის, რომ „რაციონალური ადამიანი გადაწყვეტილების მიღებისას ზღვრულ ანალიზს იყენებს.“ ეს პრინციპი უფრო რთულად გამოხატავს არჩევანს და მაშასადამე, არც ის შეიძლება წარმოადგენდეს პირველ პრინციპს.

**დასკვნა:** ადამიანთა ყველა ეკონომიკური მოქმედება იწყება სტიმულიდან და ამიტომ პრინციპი „ადამიანები რეაგირებენ სტიმულზე“ უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკის პირველ პრინციპს. ხოლო „ადამიანები ალტერნატივების წინაშე დგანან“ წარმოადგენს მასზე დამყარებულ პრინციპს, რადგან ამ პრინციპს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს არჩევანი აქვს დოვლათის ორ ან რამდენიმე სახეობას შორის, რომლებიც მის სტიმულებს წარმოადგენენ. ხოლო მეცნიერება ემყარება მარტივიდან რთულისაკენ სვლის მეთოდს.

6. ნ. გრეგორი მენქიუს. ეკონომიკის პრინციპები. თბ. 2007 გვ.15.





NATURAL INCENTIVES AND ECONOMIC PRINCIPLES

EDWARD KAVTIDZE

PHD student of Georgia's Technical University

At Economic literature, the term “stimulus” is used only in sense of economic stimulus. Which implies, that factors causing Human activity Comes from other relations with other entities, But it is necessary to differ the economic stimulus from natural stimulus, which is the main act of causing the object- the kind of wealth. Such kind of stimulus could cause not only the individual person’s action, but as well as the unity of human action, therefore it is a causing of economic relationship and the element of Economic theory.

This allows us to make conclusions, that the principle “people responding to stimulus” By R. Gregory Menkiu on his popular work, must be nominated on the first place between of his ten principles as the first principle named by him raises questions- what encourage people to make the choices between the species of wealth? if the types of wealth has given them such kind of urge and we have not belonged these types of wealth subject’s of economic theory, in such case it is not really necessary to transfer the places of principles

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი





კარინე ბაკინაშვილი  
გორის უნივერსიტეტის  
მასწავლებელი

განვიხილოთ რა, საზოგადოების მიზნობრივ ჯგუფებს, შეენ სწორად გვაეციყვლება, რომ, გარდა ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფებისა, როგორებიცაა მომხმარებლები, კლიენტები, აქციონერები, კონსუერენტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (შემდგომში მის-ები), ხელისუფლების ორგანოები, არსებობს კიდევ ერთი საზოგადოება, რომლის დამოკიდებულება კომპანიის საქმიანობის მიმართ შეიძლება გახდეს პირდაპირ გადამწყვეტი მთელი მისი საქმიანობის წარმატებისთვის. ესენი არიან კომპანიის თანამშრომლები.

დამტკიცებულია, რომ კომპანიათა დანაკარგი პერსონალისგან საშუალოდ საბჭერ მებტია, ვიდრე კონსუერენტების ან არამეგობრული მის-ების საქმიანობისგან. მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ პრაქტიკაში მხოლოდ ცოტაოდენი კომპანია თუ აწარმოებს გაცნობიერებულ შუშობას სასურველი კომუნიკაციის დასამყარებლად თავის პერსონალთან. საზოგადოებასთან ურთიერთობა (Public Relations, შემდგომში - PR) მოწოდებულია გაზარდოს პერსონალის ლოიალურობისა და მოტივირულობის დონე, შესაბამისად კი - მისი საქმიანობის ეფექტიანობა. გარდა ამისა, კომპანიის პოზიტიური იმიჯის შექმნა თანამშრომელთა თვალში გაელუნას ახდენს კომპანიის იმიჯზე გარე სამყაროში, ვინაიდან პერსონალი ინფორმაციის ტრანსლაციის ერთ-ერთი არხია გარეთ [1].

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, თითქმის არავინ იცოდა სიტყვათა შეთანხმება „კორპორაციული კულტურა“, თუმცა იგი არსებობდა. რაც ძალიან საინტერესოა, „შრომის მოწინავეთა დაფები“, ნიშნები, საბატიო სიგელები და ასე შემდეგ, მრავალი დასავლური კომპანიის კორპორაციული კულტურის კლასიკური ატრბუტი იყო ძველი და სახელგანთქმული ისტორიით. თანამედროვე დიტერატურაში ცნება „კორპორაციული კულტურის“ საქმოდ ბებრი განსაზღვრა არსებობს. ისევე როგორც საორგანიზაციო-სამართლებრივი დისციპლინების სხვა ტერმინებს, მასაც არ აქვს

ერთადერთი სწორი ახსნა. ავტორთა უმეტესობა თანხმდება ერთში, რომ ორგანიზაციის კულტურა თავისთავად იმ მნიშვნელოვანი ვარაუდების რთული კომპოზიციაა, რომელსაც უდავოდ იღებენ ჯგუფის წევრები ან ორგანიზაცია მთლიანობაში[2].

რამდენიმე ათეული ან ასეული ადამიანისგან შემდგარი პერსონალი ვერ შეკავშირდება, ვერ იარსებებს ყველა წვერის ურთიერთსიმართის და სიყვარულის საფუძველზე, რადგან ამისთვის ეს ადამიანები საქმოდ სხვადასხვაგვარი არიან, ხოლო სიმართის გრძნობა არამდგრადი და ცვალებადია. იმისათვის, რომ შევკავშიროთ ადამიანები, საჭიროა უფრო ნათელი და მტკიცე საფუძველები, ისეთები, როგორებიცაა: იდეები, წესები, ნორმატივები, ტაბუ-სწორედ ეს ყოველივე შეადგენს კორპორაციულ კულტურას. ამგვარად ვიღებთ, რომ კორპორაციული კულტურა - ესაა საერთო ფასეულობები, რწმენა, შეხედულებები, რომელთაც იზიარებენ ჯგუფის ყველა ან თითქმის ყველა წვერი. კორპორაციული კულტურის მატარებლები, ბუნებრივია, თავად თანამშრომლები არიან. მაგრამ, რაღაც მომენტში იგი გამოეყოფა კონკრეტულ ადამიანებს და გადაიქცევა საერთო სულისკვეთებად.

მიუხედავად იმისა, რომ კორპორაციული კულტურის პრობლემა დაისვა შედარებით ცოტა ხნის წინ, მისი დასაბაბი მკვლევართა ყურადღებას იზიდავს უკვე დიდი ხანია. მისი სისტემატური შესწავლა დაიწყო 1982 წელს, როცა ამერიკელმა მკვლევარებმა ტერენს დილმა (Terence Deal) და ალან კენედიმ (Alan Kennedy) შექმნეს კორპორაციული კულტურა, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც გაელუნას ახდენს ორგანიზაციულ ქცევაზე და კორპორაციულ განვითარებაზე[3].

კორპორაციული კულტურა - ეს კვლევათა დისციპლინათაშორის მიმართულებაა, რომელიც ცოდნის რამდენიმე სფეროს მიჯნაზეა, ისეთების, როგორებიცაა: მენეჯმენტი, კორპორაციული ქცევა, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, კულტუროლოგია.

ახალი მკონომისტი



სწორედ ამ კონცეფციის მრავალდონიანი კომპლექსურობა, მისი უნიკალური ინტეგრაციული არსი, ერთი მხრივ, ქმნის მისი განხილვისას შემეცნებითი ხასიათის გარკვეულ სირთულეებს, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობას იძლევა, გონივრულად და ეფექტიანად ემართოთ საწარმო.

ხშირად კორპორაციული კულტურა აიხსნება, როგორც ორგანიზაციის უმეტესი ნაწილის მიერ მიღებული მართვის ფილოსოფია და იდეოლოგია, ვარაუდი, ფასეულობითი ორიენტაცია, რწმენა, მოლოდინი, განწყობა და ნორმები, რომლებიც საფუძვლად უდევს ურთიერთობებს და ურთიერთქმედებებს როგორც ორგანიზაციის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

სხვადასხვა წელს სხვადასხვა მკვლევარის მიერ მოცემული კორპორაციული კულტურის სხვადასხვაგვარი განსაზღვრის საკმაოდ დიდი რაოდენობის გაანალიზებისას, მათში შეიძლება გამოიყოს შემდეგი საერთო მომენტები:

- ჯერ ერთი, განსაზღვრათა უმეტესობაში ავტორები ემყარებიან საბაზო ვარაუდების ნიმუშებს, რომლებსაც იზიარებენ ორგანიზაციის წევრები თავიანთ ქცევებსა და მოქმედებებში. ეს ვარაუდები ხშირად დაკავშირებულია ორგანიზაციის გარემოს და მისი შემადგენლების (ბუნების, სივრცის, დროის, სამუშაოს, ურთიერთობების და ა.შ.) ხედვასთან.

- ფასეულობები (ან ფასეულობითი ორიენტაციები), რომლებსაც შეიძლება მისდევდეს ინდივიდი, მეორე საერთო კატეგორიაა; იგი ავტორებმა ჩართეს კორპორაციული კულტურის განსაზღვრაში. ფასეულობები ინდივიდის ორიენტირებას ახდენს იმ საკითხში, თუ რომელი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად და რომელი არა. მაგალითად, ზოგიერთ ორგანიზაციაში მიზანიათ, რომ 'კლიენტე ყოველთვის მართალია', ამიტომ მათში დაუშვებელია კლიენტის დადანაშაულება ორგანიზაციის წევრების მუშაობაში წარმატებლობაზე. სხვებში შეიძლება იყოს პირიქით. თუმცა როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში მიღებული ფასეულობები ინდივიდს ეხმარება გაიგოს, როგორ უნდა მოიქცეს ის კონკრეტულ სიტუაციაში.

- დასასრულ, ცნება კორპორაციული კულტურის მესამე საერთო ატრიბუტია 'სიმობლიკა', რომლის მეშვეობითაც ფასეულობითი ორიენტაციები 'გადაეცემა' ორგანიზაციის წევრებს. ბევრ ფირმას აქვს ყველასთვის განკუთვნილი დოკუმენტები, რომლებიც ცდილობს დეტალურად აღწერს თავიანთ ფასეულობით ორიენტაციებს. თუმცა, ამ უკანასკნელთა შინაარსი და მნიშვნელობა ყველაზე სრულად იხსნება

თანამშრომლებისთვის ლეგენდებსა და მითებით, საშუალებებით. მათ უყვებიან, შემდეგ ხელახლა მოუთხრობენ, ხსნიან. ამის შედეგად ისინი ზოგჯერ უფრო მეტ გავლენას ახდენენ ინდივიდებზე, ვიდრე ის ფასეულობები, რომლებიც ჩაწერილია კომპანიის სარეკლამო ბანკეტში.

შეადლო განსაზღვრისთვის დამახასიათებელი საერთო გამოყენებით კორპორაციული კულტურა შეიძლება გავიყოთ შემდეგნაირად: 'კორპორაციული კულტურა – ყველაზე მნიშვნელოვანი ვარაუდების ნაკრებია, რომელსაც ორგანიზაციის წევრები იღებენ, ეს კი აიხსნება ორგანიზაციის მიერ გაცხადებულ ფასეულობებში, აღმანიებს რომ ორიენტირს უქმნის ქცევისა და მოქმედებისთვის. ამ ფასეულობით ორიენტაციებს გადასცემს ინდივიდი შიდაკორპორაციულ გარემოს სულიერი და მატერიალური სიმბოლური საშუალებებით'[2].


თუმცა, ჩვენი აზრით, ასეთი განსაზღვრა სრულად ვერ ასახავს კომპანიის კორპორაციული კულტურის ფუნქციონირების ყველა ძირითად პრინციპს, ამიტომ შევეცდებით, უფრო დაწვრილებით გაავსუქოთ ცნება "კორპორაციული კულტურის" ის მხარეები, რომლებიც ასახული არაა ზემოთმოყვანილ განსაზღვრებაში.

არსებობდა, ეს ერთ-ერთი მცირე დარტაგანია, რომელშიც მეცნიერებას ძალუძს მიიყვანოს პრაქტიკოსი მენეჯერები იმ კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორის დამოუკიდებელ დადგენამდე, რომელიც ზემოქმედებს ახდენს კორპორაციული საქმიანობის მანიქენდებზე. უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკოს ახორციელებენ მკვლევარები, ხოლო მეცნიერები ყურადღების ფოკუსირებას ახდენენ ძირითადად თავად გაულენის ორგანიზებულობის იმ მოდელების აღწერაზე, ახსნასა და აგებაზე, რომლებთანაც მენეჯმენტს უკვე ცდილობდა საქმე ჰქონოდა. თუმცა, ორგანიზაციის კულტურა კვლავ რჩება იმ დარგად, რომელშიც კონცეფციათა შემუშავება და სამეცნიერო ძიებები აიარაღებს მენეჯერებს ორიენტირებით თავიანთი ფორმების ეფექტიანობის ასამაღლებელი გზების საძიებლად.

მიუხედავად, რომლის გამოც კორპორაციული კულტურა ხდებოდა იგნორირებული (როგორც გაულენის მნიშვნელოვანი ფაქტორი), ფორმის ეფექტიანობის მანიქენდებზე, ისაა, რომ თავად კულტურის განსაზღვრა ოპერირება ადიარებული ფასეულობების კატეგორიებით, ფუნდამენტური და შევებით, მოლოდინით, კოლექტიური მესხიერებითა და ცნებითი ფორმულირებით, რომლებიც დამახასიათებელი იყო ორგანიზაციისთვის. კულტურის ასეთი გაგება

საზოგადოებრივი





გარკვეულ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორ „ტრიალებს იქ ყველა“, ასახავს ადამიანთა სწორადებას მათ თავში გამჯდარი იდეოლოგიის მიმართ. კულტურა დაქირავებულ თანამშრომლებს ანიჭებს იდენტურობის შერჩინებას. ატარებს თავის თავში დაუწერელ, ხშირად თუ ისედაც ცხად დარიგებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეეღობოს ორგანიზაციამ, მიაღწიოს რაღაცას, აგრეთვე ხელს უწყობს იმ სოციალური სისტემის სტაბილურობას, რომელშიც ადამიანებს ყოველდღიურად უხდებოდა ყოფნა.

სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად ვერ აცნობიერებენ საკუთარი კომპანიის კორპორაციულ კულტურას, სანამ იგი მათთვის არ გახდება დაბრკოლება, სანამ არ შეიგრძნობენ ახალ კულტურას საკუთარი გამოცდილებით, ან სანამ იგი არ გამოეჩინება საჯაროდ და არ გახდება აშკარად შესამჩნევი რომელიმე პრინციპის ან მოდელის პრიზმის მიღმა. სწორედ ეს იყო კორპორაციული კულტურის ესოდენ ხანგრძლივი იგნორირების მიზეზი მენეჯერების და მეცნიერების მიერ. უმრავლეს სიტუაციაში იგი უბრალოდ ვერ აუღენს თავს აშკარად.

არსებობს მრავალი სახის და დონის კულტურა, რომლებიც მოქმედებს ინდივიდების და ორგანიზაციის ქცევაზე. ყველაზე ფართო გაგებით, უმაღლეს დონედ საჭიროა ჩაეთვალათ ესოლოდური კულტურები, მაგალითად, მსოფლიო რელიგიათა კულტურები ან ადმოსავლეთის კულტურა[1].

იმავდროულად, ჩვენს ქართულ ნიადაგზე კორპორაციული კულტურის ცნებას თავისი სპეციფიკა აქვს. თითქმის ყველა მსხვილი ორგანიზაციის ხელმძღვანელი სიამაყით აცხადებს, რომ მის კომპანიაში „საკუთარი კორპორაციული კულტურაა“. უნდა თქვას, რომ ყოველ კომპანიას აქვს თავისი წარმოდგენა კორპორაციულ კულტურაზე. ამასთან, ეს წარმოდგენა დამოკიდებულია არა მარტო საწარმოს საქმიანობის სფეროზე, არამედ მრავალ სხვა ინდივიდუალურ ფაქტორზეც, რომლებიც ვერ თავსდება ყველასთვის ერთიან საერთო სტრუქტურაში. ასეთივე რწმენით შეიძლება განეცხადოთ, რომ ყოველ თანამშრომელს აქვს საკუთარი გაგება და დამოკიდებულება ამ ცნების მიმართ.

ალბათ, რთული იქნებოდა ჩამოგვეთვალა ამ ცნების ასახსნელად ყველა მიდგომა, მაგრამ მაინც არსებობს ზოგიერთი საერთო ნიშანი, რომლებსაც გამოყოფენ როგორც კომპანიის ხელმძღვანელები და თანამშრომლები, ასევე კონსულტანტები; ამ უკანასკნელთა შესაძლებლობა აქვთ, ორგანიზაციას

შეხედონ გარეშე დამკვირვებლის თვლით, ხოლო ეს ნიშან-თვისებები შეადარონ გარკვეულ კრიტერიუმებს. ასეთი კრიტერიუმების გამოყენის დამსახურება აგრეთვე ეკუთვნით სწორედ კონსულტანტებს ბიზნესის განვითარებაზე, პერსონალის შეფასებაზე და ა.შ. ისინი თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში მუდმივად აწყდებიან კორპორაციული კულტურის განსახლდების და ჩამოყალიბების პრობლემას. პრობლემა იქნეს არა მარტო პრაქტიკულ, არამედ სამეცნიერო ხასიათსაც, წარმოიშობა არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციის მოთხოვნაზე, რაც გარკვეული პრაქტიკის განმავლობაში შექმნავდა. თუმცა ჩვენ აქვს, ამ საკითხთან დაკავშირებით, ვხედავთ აზრთა და მიდგომათა მრავალფეროვნებას[4].

კორპორაციული კულტურის ფენოქსის მკვლევარებს მაგალითად მოყავთ მრავალი ვარიანტი, თუ რაზე იგი დამოკიდებული: ეროვნულ იდენტურობასა და კულტურაზე, თუ, პირიქით- კორპორაციული იდენტურობა საეხსებით ექვემდებარება ინდუსტრიული განვითარების უფრო მძლავრ ლოკუსს.

მეცნიერთა ერთი ნაწილი იკვლევს და აანალიზებს ცალკეული ეროვნული მმართველობითი სტილისა და კულტურის თავისებურებებს: იაპონურს, ამერიკულს, გერმანულს, ბრიტანულს და სხვა. თითოეულ მათგანში გამოვლენილი უნიკალური თვისებები დაკავშირებულია ეროვნული აზროვნების და ქცევის თავისებურებებთან.

სხვა მკვლევარები აღწერენ ამ ფენოქსის კომპანიის საქმიანობის ზომებისა და ტიპის თვალსაზრისით, გამოავლენენ რა მართვის საერთო კანონზომიერებებს. მაგალითად, კომპანიაში, სადაც ნერგავენ ახალ წესებს, მართვის სტილი უფრო რთულია, ვიდრე კომპანიაში, რომლებიც დაკავშირებულია მასობრივ წარმოებასთან. უფრო მეტიც, იგი დამყარებულია სრულიად სხვა პრინციპებზე.

არსებობს კიდევ ერთი – რადიკალური – აზრი. მისი არსი ისაა, რომ კორპორაციული იდენტურობა, რომელიც მიმართულია ადამიანური ქცევის სტანდარტიზაციაზე, და კომპანიის შიგნით ერთგვაროვანი კულტურის შექმნა, საერთოდ მითია. ერთსა და იმავე კომპანიაში შეიძლება აღმოაჩინოთ როგორც მაღალმწარმოებლური, ასევე ნაკლებეფექტიანი თანამშრომლების ჯგუფები. ამიტომ, მართვისას იმდენ ფორმალურ ატრიბუტებსა და წესებსაც კი არ უნდა დაემაყაროთ, არამედ ადამიანური რესურსების ეფექტიან გამოყენებაზე.

საკუთარი კომპანია





უფრო ნაკლებფართო თვალსაზრისით, არსებობს კულტურის ქვეჯგუფები, რომელთაც განესაზღვრათ სქესობრივი ნიშნით, ანუ კაცების და ქალების მიერ საყაროს განსხვავებული ხედვის მიხედვით, ასევე რასის, საქმიანობის სახის, საცხოვრებელი ადგილის (რეგიონის) მიხედვით. ყოველი კულტურა ჩვეულებრივ ვლინდება ენის, სიმბოლიკის, ქცევის ნორმების და ეროვნული გრძობების უნიკალურობაში.

აგერტოა უმრავლესობა თანხმდება იმ მოსაზრებაში, რომ კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია. ამას ეთანხმება ნებისმიერი თანამედროვე ხელმძღვანელი. უთანხმოება იწყება იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაააქეთოთ ეს შუაშ.

შეიძლება ითქვას, რომ ფირმები აშკარად გამოხატული კორპორაციული კულტურით ბევრად ეფექტიანად იყენებენ ადამიანურ რესურსებს. კორპორაციული კულტურა თანამშრომლების მოზიდვისა და მოტივაციისთვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა[6].

ცალკეული ორგანიზაციის კულტურა უფრო ვიწროა. მისი თავისებურებები დამოკიდებულია ინდივიდუალურ ფასეულობებზე, მისი ლიდერობის სტილზე, ენაზე და სიმბოლოებზე, პროცედურებსა და ყოველდღიურ ნორმებზე, აგრეთვე წარმატების გაზომვის მეთოდებზე. მაგრამ ორგანიზაციის მენეჯერები ხშირად დასაშვებ ხდიან კორპორაციული კომუნიკაციების სტრატეგიის განვითარებას, ემყარებიან რა შემთხვევას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი (PR-მენეჯერი) უნდა ეხმარებოდეს მართვას და მიდიოდეს შეთანხმებამდე პერსონალის ინდივიდუალურობის მიხედვით, რომლის განვითარებასაც ესწრაფვის კორპორაცია, ასევე უნდა ახორციელებდეს ურთიერთობას საზოგადოებასთან, რომელიც ხელს უწყობდეს ამ ინდივიდუალურობის მიღწევას.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც გააღვანას ახდენს კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბებაზე, მართვის სტილია. ადამიანური რესურსებით გონივრული მართვა მდგომარეობს ისეთი საკადრო პოლიტიკის დამყარებაში, რომელიც იზიდავს კომპანიის კორპორაციული სულის შესაბამის ადამიანებს. შესაბამისად, ყველა თანამშრომელი უნდა ქნიდეს განმოსწავროს, რომელიც შეესაბამება ამ ორგანიზაციის მენეჯმენტის უმაღლესი რგოლის თვალსაზრისს[4].

კორპორაციული კულტურის თავისებურებები ხშირად საქმიანობის სფეროთი განისაზღვრება. მაგალითად, ფინანსურ სფეროში იგი უფრო განსაზღვრული და მკაცრია, თანამშრომლების ქცევა მკაცრადია გაწერილი, ურთიერთობის სტილი – უფრო ფორმალური. კორპორაციული კულტურა სავაჭრო სფეროში – ხშირად საკმაოდ მრავალფეროვანია, თვითმყოფადი; როგორც წესი, იგი ნაკლებგანსაზღვრულია, უშუალო ბეგრ ვარიაციას ქცევაში, ურთიერთობაში, ურთიერთობის სტილი ნაკლებფორმალურია, უფრო დემოკრატიული; მისასაღმებელია ენერგიულობა, გულდაიბობა, კომუნიკაბელურობა[5].

ამგვარად, კორპორაცია განისაზღვრება როგორც საზოგადოება, ადამიანთა ჯგუფის კავშირი, რომელიც გაერთიანებულია რაღაც საერთო ინტერესების გარშემო. შესაბამისად, კორპორაციული ურთიერთობა სრულიად სამართლიანად განიხილება როგორც ურთიერთქმედების მონაწილეთა მიერ ერთიან საზოგადოებასთან კუთვნილების შეცნობა.

კორპორაციული კულტურა – ეს საზოგადოებრივად პროგრესული ნორმების, წესებისა და სტანდარტების ერთობლიობაა, რომელიც მიღებულია და მხარდაჭერილი კორპორაციულ ურთიერთობათა დარგში. ისევე განსაზღვრავს კორპორაციულ ურთიერთობებს როგორც ურთიერთქმედებას, წინააღმდეგობას ან ორგანიზაციის ელემენტების ნეიტრალურ დამოკიდებულებას მის შიგნით ან გარეთ. მიღებულია ჩაითვალოს, რომ სწორედ ფასეულობებია ბირთვი, რომელიც განსაზღვრავს კორპორაციულ კულტურას მთლიანობაში. ფასეულობები განსაზღვრავს ქცევის სტილსაც და კოლეგებთან და კლიენტებთან ურთიერთობის სტილსაც, ასევე მოტივირულობის დონეს, აქტიურობას და სხვას. ამიტომ არ შეიძლება კორპორაციული კულტურა მივიღოთ მხოლოდ რაღაც გარეშე ნიშნების ნაკრები, ისეთების, როგორებიცაა: უნიფორმა, წეს-ჩვეულებები და ა.შ.

ყველაზე სურმი და ტრეკადი განსაზღვრა, რომელსაც წვენ ვიდეტო ფუქიმდებლურად, არის კორნიენკოს მიერ მოცემული განსაზღვრა: კორპორაციული კულტურა – ესაა საზოგადოებრივად პროგრესული მოღვაწეობის ფორმალური და არაფორმალური წესების და ნორმების, წეს-ჩვეულებების და ტრადიციების, ინდივიდუალური და ჯგუფური ინტერესების, ამა თუ იმ საორგანიზაციო სტრუქტურის პერსონალის ქცევის თავისებურებების, ხელმძღვანელობის სტილის, შრომის პირობებით თანამშრომელთა

ინტერვიუ ალექსანდრე



დაკმაყოფილების მანქნებლების, თანამშრომლებსა (კომპანიის ხელმძღვანელობისგან) ან ძალზე იშვიათად – არაფორმალურებისგან. ამიტომ ურთიერთთანამშრომლობის და თავსებადობის მნიშვნელოვანია, რომ შენეჯერმა, რომელსაც სურს დონის, განვითარების პერსპექტივების სისტემა[4]. კორპორაციული კულტურის ჩამოყალიბება, ჩამოაყალიბოს თავისი ორგანიზაციის ან როგორც წესი, მოდის ფორმალური ლიდერებისგან განყოფილების ძირითადი ფასეულობები.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბიჭაძე ბ., კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები, /მეცნ.-რედ.: გიორგი ცაავა, თბ.: აფხაზეთის მეცნ.აკად., 2006.
2. К. Камерон, Р. Курнн , Диагностика и изменение организационной культуры / Пер. с англ. - СПб.: Питер, 2001.
3. Ностром Дж. В., Дэвис К. организационное поведение: Пер. с англ./Под. ред. Ю.Н. Капуревского - СПб.: Питер, 2000.
4. Корниенко В. И. Команда: формирование, управление, эффективность, Пермь, 1999.
5. [http://ibs.ge/products/soft\\_products/corporate\\_portal](http://ibs.ge/products/soft_products/corporate_portal)
6. [www.education.ge/index.php?do=definition/view&id](http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id)

**FOR THE DEFINITION OF CORPORATIVE CULTURE'S IDEA**

**KARINE BERDZNISHVILI**

**Gori University's teacher**

There are enough definitions of “corporate culture” in modern literature. It has not only one correct explanation like the other terms of organization-law discipline. Most of authors agree that culture of organization is the composition of those important suppositions, which are taken by the member’s of group or the organization, wholly.

Frequently corporative culture is reflected as philosophy and ideology, supposition, value orientation, belief, expectation, mood and standard of govern, that is based on relations and actions as inside the organizations, as outside it and is taken by the most part of organization. It may be said that firms with corporative culture use human resources more effectively. Corporative culture is one of the spectacular ways of bringing and motivating employees. Culture of case organization is more limited. It’s originality is depend on individual value, it’s style of leadership, language and symbols, procedure and everyday norms, also measure of success measurement. To say it in other words, all of those things, which are defining corporative individuality of company.

ახალი ამონაბეჭდი



THE MODERN IMPERATIVE OF ECONOMIC COOPERATION  
BETWEEN REPUBLIC OF ARMENIA AND GEORGIA



ZOYATADEVOSYAN

Doctor of Economy  
State Economic University of Armenia



In the current conditions of deep regional economic cooperation and internationalization of economic relations the main factor of each country's economic stableness becomes the expansion of external economic relations and especially external trade. But the unfavorable geographic position and the limitedness of natural resources, which in Armenia are paralleled with the inconsequent external economic politics and absence of clear action programs makes the meaning of external factors of development more important. On the other hand each unused chance of mutually beneficial cooperation deepens the gap between Republic of Armenia /RA/ and the world economy. Thus the integration of RA with the neighbor countries is an alternative way, in which the most important we consider to be the development of beneficial and long term relations with Republic of Georgia /RG/.

Currently, more than ever, the deepening of relations with Georgia became important not only because the two countries got the chance to fight the world economic crises together, but also because of the necessity to distribute the advantages of regional economic integration in the benefit of two countries.

We think that Georgia continues to be one of the strategic partner of Armenia, as it is a sea and partly a land way which connects Armenia with the rest of the world, and especially with the CIS countries. We have also some other non-economic criteria in common with Georgia, in which we specially give importance to traditions and to the existence of Armenian Diaspora in Georgia.

Thus our primary task must be the expansion of the economic relations with Georgia, regardless


the politic disagreement of Georgia and Russia. The driving force of bilateral cooperation of Armenia and Georgia must be the response to the geo-political and geo-economic challenges by the way of formation of common economic territory.

The starting model of integration with RG could be built on the agreement of free trade. This will allow not only to activate import-export volumes, but also in this stage the absence of custom tariffs will reduce the prices of goods in both markets. At the same time the consumption will increase correspondently increasing the demand on import. The reduction of prices in the internal market will create a fair competition field for the internal producers. The absence of custom tariffs will close the door for smuggling. It is obvious that shadow economy will enter taxing field, increasing budget entries.

